# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 25 ოქტომბერი 2000 №206 (1228) | ფასი 50 თეთრი


## 8 ჰარტვიგმა ბუნდესლიგას კოკა გაუტეხა



რა ჩაიდინა კრისტოფ დაუმმა ისეთი, რაც ჩვენ არ გაგვიკეთებია — უკვირს ძველ ჰამბურგელს

## 13 16 წლის საქართველო მსოფლიოს ჩემპიონია

ზვიად იზორიას და სოფო ხუხაშვილს თანატოლებში დედამიწის ზურგზე მჯობნი არა ჰყავთ

## 14 ფორმულა 1 საუკუნეთა მიჯნაზე

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP



მიხაელ შუმახერი ახალ საუკუნეს და ფერარის ერას იწყებს

# როცა წამები წამებაა




REUTERS ფოტო

ჩემპიონთა ლიგის წუხანდელი მატჩები ერთობ ვნებამოძალებული გახლდათ. ლიდსში თამაში დიდი გაწევ-გამოწევით დასრულდა

UEFA CHAMPIONS LEAGUE

წვიმა და წამატებული მეოთხე წუთი... ცოტაც და „ლიდსი" წინ, შემდეგ ჯგუფში წაიწევდა, წაწამები „ბარსა" კი ლიგას გამოემშვიდობებოდა. მაგრამ წამებში ყველაფერი შეიცვალა, რივალდომ შეაგდო... წუხელ მომდევნო ეტაპზე „მილანი", „პარი სენ ჟერმენი", „ბაიერნი" და „დეპორტივო" გავიდნენ.

იხილეთ მეორე გვერდი

| E ჯგუფი | |
|---|---|
| იუვენტუსი | 1 |
| ჰამბურგი | 3 |
| დეპორტივო | 1 |
| პანათინაიკოსი | 0 |

| F ჯგუფი | |
|---|---|
| პარი სენ ჟერმენი | 7 |
| რუსენბორგი | 2 |
| ბაიერნი | 0 |
| ჰელსინგბორგი | 0 |

| G ჯგუფი | |
|---|---|
| ანდერლეხტი | 2 |
| მანჩესტერი | 1 |
| დინამო | 0 |
| პსვ ეინდჰოვენი | 1 |

| H ჯგუფი | |
|---|---|
| ლიდსი | 1 |
| ბარსელონა | 1 |
| ბეშიქთაში | 0 |
| მილანი | 2 |

# სანამ ზურა მივიდოდა, იგორს ტყავი გააძრეს

## არსენალელი ზურაბ ხიზანიშვილის და ჩელსელი რატი ალექსიძის დუელი გადაიდო

ხიზანიშვილი ცალი ფეხით არსენალელია — ეწერა შაბათის „სარბიელში". ხიზანიშვილი ორივე ფეხით „არსენალშია" — შეიძლება ითქვას დღეს.

მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ თბილისის „ლოკომოტივის" და საქართველოს ნაკრების 19 წლის მცველი ზურაბ ხიზანიშვილი ლონდონური კლუბის სრულუფლებიანი წევრია, ანუ არსენალელია.

შაბათსვე ვწერდით, შესაძლოა ორშაბათს ხიზანიშვილს „ჩელსის" სათადარიგო გუნდის მეტოქეობა და მისი მარცხენაფლანგელის მეურვეობაც მოუწიოსო, მაგრამ ქართველთა ინგლისური დუელი გადაიდო.

იხილეთ მეექვსე გვერდი



ბაჩანა კეთილაძის ფოტო

ზურაბ ხიზანიშვილი ლონდონშია და თავის ჯერს ელის

# გუშინ ჩემპიონთა ლიგის მეხუთე ტური

## E ჯგუფი

### იუვენტუსი 1:3 ჰამბურგი

0:1 პრეგერი (24), 0:2 იებოა (48), 1:2 კოვაჩევიჩი (56), 1:3 პანადიჩი (62)
იუვენტუსი: ვან დერ სარი, ფერარა (ძანკი 55), ტუდორი, იულიანო, პარამატი, დავიდსი, კონტე, პესოტო, ზიდანი, დ. ინძაგი (დელ პიერო 55), ტრეზეგე (კოვაჩევიჩი 55)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
ჰამბურგი: ბუტი, კინცი (მაჰდავიკია 50), ჰერტი, ჰოოგმა, პანადიჩი, ნ. კოვაჩი (მაული 12), ტოფტინგი, ბარბარესი, პრეგერი, იებოა, კეტლაერი (ჰაინცი 74)
მწვრთნელი: ფრანკ პაგელსდორფი
გაძევება: ზიდანი (29), დავიდსი (33)
მსაჯი: სტიუარტ დუგალი (შოტლანდია)
35 209 მაყურებელი

### დეპორტივო 1:0 პანათინაიკოსი

1:0 პანდიანი (82)
დეპორტივო: მოლინა, მანუელ პაბლო, ნაიბეტი, დონატო, რომერო, ჯალმინია (დიეგო ტრისტანი 81), სეზარ სამპაიო, ემერსონი (სკალონი 62), ვიქტორ სანჩესი, ტური ფლორესი (ფერნანდო 60), პანდიანი
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
პანათინაიკოსი: კალკაისი (ნიკოპოლიდისი 64), ჰენრიკსენი, ვოკოლოსი, სარიჩი, ფისასი, გალეტო (პაულუ სოუზა 46), გუმასი, კარაგუნისი (კოლა 60), ბასინასი, ვარიჩა, ლიბეროპულოსი
მწვრთნელი: ანგელოს ანასტასიადისი
მსაჯი: კიმ მილტონ ნილსენი (დანია)
20 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დეპორტივო | 5 | 2 | 3 | 0 | 5:3 | 9 |
| იუვენტუსი | 5 | 1 | 3 | 1 | 8:9 | 6 |
| პანათინაიკოსი | 5 | 1 | 2 | 2 | 3:4 | 5 |
| ჰამბურგი | 5 | 1 | 2 | 2 | 8:8 | 5 |

## F ჯგუფი

### პარი სენ ჟერმენი 7:2 რუსენბორგი

1:0 დეუ (16), 2:0 კრისტიანი (25), 3:0 ანელკა (35), 3:1, 3:2 კრისტერი (36, 38), 4:2 ლეუქსენი (45), 5:2 ლეროა (76), 6:2 რობერი (86პ), 7:2 ანელკა (90)
პარი სენ ჟერმენი: ლეტიზი, ალფერინო, რაბესანდრატანა, მენდი, დისტინი, ლეუქსენი (დიუკრო 61), დეუ, დალმა, რობერი, ანელკა, კრისტიანი (ლეროა 73)
მწვრთნელი: ფილიპ ბერჟერო
რუსენბორგი: ამსტადლი, ბასმა, ბ. იონსენი, სტენსაასი (ბოატენგი 85), ვინსნესი (ბელსვიკი 55), სკამელსრუდი, ო. ბერგი, სორენსენი, კრისტერი, ფ. იონსენი, რ. სტრანდი (ტრონდსენი 71)
მწვრთნელი: ნილს არნე ეგენი
მსაჯი: ხოსე მარია გარსია არანდა (ესპანეთი)
39 536 მაყურებელი

### ბაიერნი 0:0 ჰელსინგბორგი

ბაიერნი: კანი, სანიოლი, სფორცა, ლინკე, ტარნატი, სალიჰამიჯიჩი, იერემისი (ციკლერი 84), შოლი, ფინკი, იანკერი (ელბერი 68), სანტა კრუზი (პაულო სერჯიო 68)
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
ჰელსინგბორგი: ს. ანდერსონი, რ. ნილსონი, ო. ნილსონი, მატოვაცი, კ ანდერსონი, პერსონი (პრიკა 73), ს. იოჰანსენი (მ. ჰანსონი 81), ბ. იოჰანსენი, უ. იანსონი, ი. იანსონი, ალვარო (ეკლუნდი 81)
მწვრთნელი: ბანე ბერგსტადი
მსაჯი: კირიოს ვასარასი (საბერძნეთი)
20 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 5 | 3 | 1 | 1 | 8:3 | 10 |
| პსჟ | 5 | 3 | 0 | 2 | 13:8 | 9 |
| რუსენბორგი | 5 | 2 | 0 | 3 | 12:14 | 6 |
| ჰელსინგბორგი | 5 | 1 | 1 | 3 | 5:13 | 4 |

## G ჯგუფი

### ანდერლეხტი 2:1 მანჩესტერი

1:0, 2:0 რაძინსკი (15, 33), 2:1 ირვინი (36პ)
ანდერლეხტი: დე ვილდე, კრისონი, სტალენსი, დედენი, დე ბოეკი, გოორი, ვანდერეგე, ბასეჯიო, სტოიკა (ოიენი 80), კოლერი, რაძინსკი (დინდანე 90)
მწვრთნელი: ემე ანტუნესი
მანჩესტერი: ბარტეზი, გ. ნევილი, ირვინი (სოლსკიაერი 79), რ. იონსენი, სილვესტრი (ბრაუნი 62), ბათი, ბექჰემი, სქოულზი, გიგზი, იორკი, კოული
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
მსაჯი: სტეფანო ბრასკი (იტალია)
28 000 მაყურებელი

### დინამო 0:1 პსვ ეინდჰოვენი

0:1 ოიერი (45)
დინამო: შოვკოვსკი, ხაცკევიჩი, გოლოვკო, ვაშჩუკი (ფიოდოროვი 18), დმიტრულინი, ქაღლაძე (კუზმიჩევი 55), ბელკევიჩი, გუსინი, ნესმაჩნი, შაცკიხი, დემეტრაძე (იაშკინი 76)
მწვრთნელი: ვალერი ლობანოვსკი
პსვ ეინდჰოვენი: ვატერეუსი, ვან დერ ვეერდენი, ნიკოფოროვი, ოიერი, ჰაინცე, ვან ბომელი, ვოგელი, რამზი, კეჟმანი (კოლკა 90), დე იონგი (ივანი 87), ლუსიუსი (რომედალი 75)
მწვრთნელი: ერიკ გერეტსი
მსაჯი: კონრად პლაუცი (ავსტრია)
40 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ანდერლეხტი | 5 | 3 | 0 | 2 | 8:12 | 9 |
| პსვ ეინდჰოვენი | 5 | 3 | 0 | 2 | 7:6 | 9 |
| მანჩესტერი | 5 | 2 | 1 | 2 | 10:7 | 7 |
| დინამო | 5 | 1 | 1 | 3 | 7:7 | 4 |

## H ჯგუფი

### ლიდსი 1:1 ბარსელონა

1:0 ბოიერი (5), 1:1 რივალდო (94)
ლიდსი: რობინსონი, კელი, ვუდგეიტი, მილსი, ჰარტი, ბოიერი, დაკური (ბარნსი 75), ბაკე, მატეო, ვიდუკა, სმიტი
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
ბარსელონა: დუტრუელი, რაიციგერი (ჟერარდი 66), აბელარდო, პუიოლი, სერხი, კოკუ, ხავი, სიმაო, ლუის ენრიკე (დანი 66), რივალდო, ალფონსო
მწვრთნელი: ლორენს სერა ფერერი
მსაჯი: ტერი ჰუგი (ნორვეგია)
36 729 მაყურებელი

### ბეშიქთაში 0:2 მილანი

0:1 შევჩენკო (39), 0:2 ხოსე მარი (43)
ბეშიქთაში: შორუნმუ, კარპანი, ტაიფური, ბესლერი (ერმანი 46), აჰმეთი, ნიჰათი, მეჰმეთი (აქმანი 71), მიუში, ბოზკურტი, ხლესტოვი (იბრაჰიმი 46), სულუნი
მწვრთნელი: ნევიო სკალა
მილანი: დიდა, როკე ჟუნიორი, კოსტაკურტა, მალდინი, ალბერტინი, გატუზო (ჰელვეგი 83), ამბროზინი, კოკო, ბირინდელი (ბობანი 71), შევჩენკო, ხოსე მარი (სერჯინიო 87)
მწვრთნელი: ალბერტო ძაკერონი
მსაჯი: ჰარტმუტ შტრამპე (გერმანია)
18 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 5 | 3 | 1 | 1 | 11:5 | 10 |
| ლიდსი | 5 | 2 | 2 | 1 | 8:5 | 8 |
| ბარსელონა | 5 | 1 | 2 | 2 | 8:9 | 5 |
| ბეშიქთაში | 5 | 1 | 1 | 3 | 4:12 | 4 |



REUTERS

ტომაშ რაძინსკი: წყვილ-წყვილი გოლი კიევს და მანჩესტერს ერთ კვირაში

**ვიდრე „მანჩესტერ იუნაიტედი" ბრიუსელში აგებდა, ტურინში მსაჯი ზიდანს და დავიდსს აძევებდა, ვიდრე მიუნხენში „ბაიერნი" შვედებს უშედეგოდ უტევდა, ლიდსში [illegible] ფინის საკითხი წყდებოდა, პარიზში ჩემპიონთა ლიგის ორი რეკორდი დამყარდა: ერთ მატჩში ცხრა გოლი ჯერ არ გასულა და ერთ გუნდს მეორისთვის შვიდის გატანა არ უკადრებია.**


REUTERS

პსჟ — რუსენბორგი 7:2. სარეკორდო ათვლა ფრედერიკ დეუს (№13) გოლით დაიწყო



REUTERS

ბელგიური ტაბლო მრავლისმეტყველია: „მანჩესტერი" დიდი საფრთხის წინაშეა


REUTERS

ლიდსი — ბარსელონა 1:1. რივალდო და დენი მილსი

## შვეიცარია

### გადადებული მატჩი

**სიონი 0:0 ივერდონი**

## ინგლისი

### I დივიზიონი

#### XV ტური

ბარნსლი — ვულვერჰემპტონი 1:2; კრიუ — ჰადერსფილდი 1:0; კრისტალ პალასი — გრიმსბი 0:1; ფულემი — პრესტონი 0:1; ნორვიჩი — პორტსმუთი 0:0; შეფილდი — სტოკპორტი 1:0; ვესტ ბრომვიჩი — უიმბლდონი 3:1; უოტფორდი — ბოლტონი 1:0

### II დივიზიონი

#### XV ტური

რექსჰემი — უიკომბი 0:0; ბორნმუთი — ნოტს ქაუნთი 0:1; ბრისტოლი — პიტერბორო 2:1; ბერი — რედინგი 0:2; კემბრიჯი — ნორთჰემპტონი 1:2; კოლჩესტერი — როვერსი 2:1; ოქსფორდი — უიგანი 0:2; პორტვეილი — ბრენტფორდი 1:1; როტერჰემი — სუონსი 4:2; სუინდონი — მილუოლი 0:2; უოლსოლი — სტოკ სიტი 3:0. ოლდემი — ლუთონი გადაიდო

### III დივიზიონი

#### XV ტური

სკანთორპი — შრიუსბერი 2:0; ბლექპული — კარლაილი 3:2; ბრაიტონი — პლიმუთი 2:0; კარდიფი — დარლინგტონი 2:0; ჰალიფაქსი — იორკი 1:3; ჰალი — ჰარტლპული 0:0; კიდერმინსტერი — ჩესტერფილდი 0:2; ლეიტონი — ბარნეტი 1:0; ლინკოლნი — ჩელტენემი 1:0; როჩდეილი — მაკლსფილდი 2:2; საუთენდი — ექსეტერი 1:1; ტორკი — მენსფილდი 2:2

## აზიის თასი

### მეოთხედფინალი

**იაპონია 4:1 ერაყი**

0:1 ჯასიმი (4), 1:1 ნანამი (8), 2:1 ტაკაჰარა (11), 3:1 ნანამი (29), 4:1 ტომოკაზუ (62)

**ქუვეითი 2:3დ.დ.(2:2) საუდის არაბეთი**

0:1 ალ ტემიატი (46), 1:1 აბდულა (61), 2:1 ალ ჰუვაიდი (67), 2:2 ალ მეშალი (72), 2:3 ალ ტემიატი (108, ოქროს გოლი)

## უეფას თასი. II ეტაპი:

### პირველი მატჩები. 24 ოქტომბერი

UEFA CUP

**უდინეზე (იტალია) 1:0 პაოკ (საბერძნეთი)**

1:0 მარჯოტა (90)

**ვერდერი (გერმანია) 4:1 გენკი (ბელგია)**

1:0 ერნსტი (16), 2:0 პერცოვი (28), 2:1 სონკი (35), 3:1 ბაუმანი (56), 4:1 ბოდე (72)
გაძევება: აილტონი (43, ვერდერი)

**ოსიეკი (ხორვატია) 2:1 რაპიდი (ავსტრია)**

1:0 ბიელიკა (27), 1:1 რადოვიჩი (37), 2:1 ბიელიკა (90პ)

საქართველოს ჩემპიონატი უმაღლესი ლიგა პირველი წრე 12

10 ტური ანონსი

# ექვსეული: წინ და უკან

**სამეცხრეტურე** ციებ-ცხელება ჯერაც არ განელებულა და ეროვნული პირველობის მეათე ტური მოგვადგა კარს. ათი მრგვალი რიცხვია და ეგებ ჩვენმა უმაღლესლიგელებმა XII ეროვნულში გატანილი გოლების რაოდენობა დაამრგვალონ კიდეც. საქმე ის გახლავთ, რომ დღემდე თორმეტგუნდა ჩემპიონატის 53 მატჩში 132 გოლი გავიდა. თვრამეტიც და 150 გამოვა, მაგრამ ისიც სათქმელია, რომ ბოლო წლებია, საგრძნობლად იკლო გოლების რაოდენობამ ჩვენს ჩემპიონატებში და არა მგონია, ეს მხოლოდ დაცვაში ნაყოფიერი გარჯის შედეგი იყოს. წვიმიანი ოქტომბერი კი გოლების წვიმას არ გვპირდება, მაგრამ ვინ იცის, ვის როდის გაეხსნება მადა.

წლეულს სხვათაგან შედეგიანობით „ლოკომოტივი", „ტორპედო", და „ვიტ ჯორჯია" გამოირჩევიან. ოღონდ ეგ არის, იმათი შედეგიანობა გარკვეულწილად მეტოქეების შესაძლებლობებზეცაა დამოკიდებული, მეათე ტურში კი გუნდები იმგვარად არიან დაწყვილებული, ზემოთნახსენი სამეულისგან წესით ბევრ გოლს ნაკლებად უნდა ელოდეს კაცი. მეათე ტურის ანონსი ლიდერთა სამეულის მატჩებით დავიწყოთ.

„ვიტ ჯორჯია" — „კოლხეთი" ტურის ცენტრალური დაპირისპირებაა. ოქტომბერი ერთობ დატვირთული გამოდგა ფოთელთათვის. ამ თვის პირველივე დღეს კოლხები „დინამოსთან" დამარცხდნენ, შემდეგ „ბათუმს" უმასპინძლეს. ოთხი დღის წინ მძიმე ბრძოლა გადაიტანეს „ლოკომოტივთან" და ხვალ ისევ თბილისური ბარიერის გადალახვა ელით.

„ვიტ ჯორჯია" — „კოლხეთის" სამწლიანი დაპირისპირება უმთავრესად ზღვისპირელთა გამარჯვებით მთავრდებოდა. ამ გუნდების ექვს ურთიერთშეხვედრაში სამჯერ „კოლხეთმა" იმარჯვა, ორი მატჩი უგოლო ფრით დასრულდა, ერთადერთხელ კი ვეტერინარებმა მოახერხეს გამარჯვება. მაგრამ ამ შემთხვევაში სტატისტიკურ მაჩვენებლებს ბევრად ვერც დავეყრდნობით, „ვიტ ჯორჯია" ხვალინდელი მატჩის ფავორიტია. ვეტერინარების პროგრამა კვლავაც ძალაშია — გუნდი ჩემპიონობისთვის იბრძვის და საამისოდ ჰაერივით სჭირდება ზღვისპირელთა ძლევა. კოლხებს კი ერთი ნაბიჯი უკლიათ ექვსეულში შესაბიჯებლად და სეჭვოა, საამმატჩოდ ყურადღება მოადუნონ. სოსო ფილიას გუნდმა გასულ ტურში „ლოკომოტივთან" დაამტკიცა, რომ ბრძოლა შეუძლია, მაგრამ ყოველივე რამდენად საკმარისი იქნება ვეტერინარებთან მატჩში, ძნელი სათქმელია. ერთი კია, ფოთელთა ყველაზე დიდი პრობლემა თავდასხმის ხაზშია საძიებელი, ამ რგოლში კი შესაძლებელია, კოლხებს ვიტელებთან მატჩში ფეხმტკივანი გვასალიაც გამოაკლდეთ.

რაც შეეხება მასპინძლებს, ვლადიმერ ხაჩიძის გუნდი სრულ მზადყოფნაშია, ვიტელთა უკლებლივ ყველა მოთამაშე ჯამრთელადაა: მათ შორის თსუ-თან დაშავებული ლევან მელქაძე და ბულგარეთიდან დაბრუნებული გიორგი ყიფიანი, რომელიც შესაძლოა, ძირითად შემადგენლობაში ვიხილოთ.

ხუთშაბათს თამაშობს ჩემპიონობის კიდევ ერთი ფავორიტი „ლოკომოტივი". რკინიგზელები გორში ჩადიან და „დილას" დასამარცხებლად „ჯუნგლების" წინაალმდეგობის დაძლევაც მოუწევთ. ისე, „დინამოსთან" ფრედ ნათამაშევი მატჩის შემდეგ „დილამ" ერთგული ქომაგის თვალში გარკვეულწილად აღიდგინა რეპუტაცია. ეს გუნდი კი, ტრადიციისამებრ, რაც უფრო სახელოვანი მეტოქე ჰყავს, მით უფრო კარგად თამაშობს შინაურ კედლებში. სავარაუდოდ, გორში დაცხება. ბრძოლას კი ვინ და „ლოკომოტივი" ნაღდად შეჩვეულია, გორში გამარჯვება ძოძუაშვილის გუნდისთვის მინიმუმ „ტორპედოსთან" ექვსქულიანი ჩამორჩენის შემანარჩუნებელი იქნება. „ლოკომოტივი" სრული შემადგენლობით ეწვევა გორს, მასპინძლებს კი ტრავმირებული კოტორაშვილი და დისკვალიფიცირებული ფეზუაშვილი არ ეყოლებათ. „დილას" ძირითად შემადგენლობას რამაზ სოლოლაშვილი დაუბრუნდა, მან ტრავმა მოიშუშა და ხვალ თავის გუნდს შეეშველება.

დღევანდელი ოთხი მატჩიდან ერთი მცხეთაში გაიმართება. თსუ „ტორპედოს" უმასპინძლებს. საკითხავი კი ისაა, გააგრძელებს თუ არა ქუთაისური კლუბი ძლევამოსილ სვლას.

ჩემპიონის რიგებში სიახლეა, გუნდს ალექსანდრ შტელინი შეუერთდა, კაცი მწვრთნელი და საფეხბურთო მეცნიერებაში ჭიპმოჭრილი. უკრაინელი შტელინი „ტორპედოს" საწვრთნელი პროცესების პროგრამის შემუშავებასთან ერთად გუნდის ტექნიკური დირექტორობის ჭაპანსაც გასწევს და თუ წინა ტურში „გორდას" შესაძლებლობებით იმედგაცრუებული დარჩა, იქნებ დღეს სტუდენტური თსუ-თი მოიხიბლოს.

ბოლო ორი წელია, ქუთაისელები შინ თუ გარეთ უპრობლემოდ ამარცხებენ სტუდენტებს. ლოგიკურად იგივეს გაკეთება ამჯერადაც არ უნდა გაუჭირდეთ, მაგრამ ბურთი მრგვალია, მცხეთური სარბიელი პატარა და ტალახიანი, ახალგაზრდა თსუელები უბრძოლველად არაფერს თმობენ და ვინ იცის, ეგებ დღეს გარკვეული სიურპრიზიც შემოგვთავაზონ. ეგ არის, დღევანდელ ბრძოლაში თბილისელებს ბოლო დროს გოლის საღერღელაშლილი არჩილ ბოკერია ვერ დაეხმარებათ, მას კუნთები აქვს დაჭიმული და ამიტომ ვერ ითამაშებს. კვლავაც ტრავმირებულია კვიციანი, მისი თამაშიც გამორიცხულია. თსუ-ს მთავარ მწვრთნელ თენგიზ კაციას საფიქრალი იმდაც არ ელევა, რომ გუნდის ერთ-ერთი ლიდერი ადამია დაშავებული ჰყავს, თუმც ამ ფეხბურთელის შეცვლაზე გამოჩენას მაინც უნდა ველოდეთ. „ტორპედო" კი ჯანზეა და მეათე მოგებისთვის ემზადება.

ინტერესს იწვევს ავჭალური მატჩიც. „დინამოსგან" შერცხვენილი „მერანი" „ბათუმს" მასპინძლობს. ავჭალელებს ზღვისპირელთა წინაალმდეგ მიხეილ ფოცხვერია დაეხმარება. წესით და რიგით, მასთან ინტერვიუს მკითხველი დღევანდელ „სარბიელში" უნდა გასცნობოდა, მაგრამ „მერანის" პრეზიდენტმა დავით ფურცელაძემ თავაზიანი ბოდიში მოგვიხადა — ფოცხვერიასთან ვერ გალაპარაკებთ, „დინამოსთან" მარცხით შოკში ვართო. ფურცელაძე იმასაც დაგვპირდა, თუ „ბათუმს" მოვუგეთ, მიშას აუცილებლად შეგახვედრებთო. მოკლედ, ვისაც ფოცხვერიას ამბები აინტერესებს, „მერანს" უქომაგოს, ჩვენ კი ჯერჯერობით მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ ეს ფეხბურთელი ორშაბათს ჩაფრინდა ვლადიკავკაზში და იქიდან ეწვია თბილისს.

გასულ ექვს მატჩში „ბათუმმა" „მერანი" ორჯერ დაამარცხა. აქედან ორი წლის წინ ზღვისპირელებმა ავჭალაშიც იმარჯვეს. ბოლოს და დღემდე ერთადერთხელ „მერანმა" X ეროვნულ ჩემპიონატში იმარჯვა დღევანდელ მეტოქესთან და იგივეს გასაკეთებლად დღეს დიდი ძალისხმევა მოუწევს. „ბათუმს" ახლად შემატებული მაჭუტაძე და ტუღუში ვერ დაეხმარებიან (სატრანსფერო პრობლემების გამო), მაგრამ დანარჩენები სრულ მზადყოფნაში არიან და გუნდის ახალი მთავარი მწვრთნელი ასლან ბალაძეც იმედიანად ეწვია თბილისს — „დილას" დამარცხებამ თავდაჯერება შეგვმატა და დიდი დახმარება გაგვიწია ფსიქოლოგიური თვალსაზრისით" — გვითხრა გუშინ ბალაძემ. ისე, „ბათუმს" დღემდე ერთადერთი გოლი აქვს გატანილი (ისიც პირველ ტურში „გორდასთან") გასვლით შეხვედრებში და ქულა რაა, ისიც არ მოუპოვებია ხუთ მატჩში.



„კოლხეთში" დაბრუნებული სოსო ფილია უკვე მესამედ ესტუმრა თბილისს

ქვემოქართლური დერბია რუსთავში. „გორდა" „სიონის" ძლევას შეეცდება. ამ გუნდების მრავალწლიანი ურთიერთობის მანძილზე ბოლნისელებს ქულაც არ წამოუღიათ რუსთავიდან. მათი გზები კი წლეულს ერთიორად გადაიკვეთა. „გორდაც" და „სიონიც" ექვსეულისთვის იბრძვიან და ალბათ დაძაბულობა არ მოაკლდება კონკურენტთა დაპირისპირებას. „სიონს" მაისურაძე და მურმან გოგოლაძე დააკლდება, თუმც სპარტაკ არჩვაძის გუნდს ტრავმირებული დავით პეტრიაშვილი დაუბრუნდა. სრულ მზადყოფნაში არიან გუნდის ლიდერები — ისიანი და სოლოლაშვილი. მასპინძელთაგან კი ალექსანდრე ბურნაძე ავადმყოფობს, თუმც იასონ ალადაშვილი მნიშვნელოვან მატჩში მას მაინც ათამაშებს. ვერა და ვერ მოხერხდა „გორდას" განაცხადში არმაზ ჯელაძის შეყვანა. ტრანსფერი კვლავაც იგვიანებს, მაგრამ თავდასხმის ხაზში ალადაშვილის განკარგულებაში კვლავაც არის ბიძინა ივეჩინი. კლუბის უნებართვოდ მიმტოვებელი ფეხბურთელი „გორდას" მესვეურებმა შეიწყალეს, თუმც, ალადაშვილის თქმით, ივეჩიანი ჩვეულ ფორმაში არ არის და 90 წუთის განმავლობაში მასზე დაყრდნობა შეუძლებელია.

დაბოლოს, „იბერია"-„დინამო". ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მასპინძლებს შინაურ სარბიელზე გოლი ვერ გაუტანიათ ათგზის ჩემპიონისთვის. გოლების გატანა „იბერიას" წლეულსაც უჭირს (ერთი გოლი 9 მატჩში), სოსო ფრუიძის ახალგაზრდული გუნდი ზოგიერთ მატჩებში კარგ შთაბეჭდილებას კი ტოვებს, მაგრამ საეჭვოა იბერიელებმა მაღაზე მოსული ექსიბერიელები შეაჩერონ, თანაც სამტრედიელები ხაშურში მასპინძლობენ მეტოქეს, ამას კი გადამწყვეტი არა, მაგრამ არცთუ მცირე მნიშვნელობა აქვს და მართლაც დიდი მოულოდნელობა იქნაბა, გზადამოკლებულმა თბილისელებმა ქულები რომ დაკარგონ.

**ბაატა ძმანტალიანი**



ფოთის „კოლხეთს" მცხეთაში „ვიტ ჯორჯიასთან" და დატბორილ „არმაზთან" მოუწევს ჭიდილი

რუსთავი. „ფოლადი". 25 ოქტომბერი. 16 საათი

**გორდა — სიონი**

მსაჯები: ა. შალამბერიძე; ნ. რუსიშვილი (ორივე ქუთაისი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); ა. კრიჭაშვილი (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. დურსუნიში

თბილისი. „სინათლე". 25 ოქტომბერი. 16 საათი

**მერანი — ბათუმი**

მსაჯები: ა. მეშკოვი; ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი), ზ. ხუციშვილი (დმანისი); ა. შილაკაძე (თბილისი) სფფ-ის ინსპექტორი: ი. მჭედლიშვილი
დისკვალიფიცირებული: ა. მუჟირი (ბათუმი)

ხაშური. „გრიგოლ ჯომართიძე". 25 ოქტომბერი. 16 საათი

**იბერია — დინამო**

მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ზ. ჯვარიძე, მ. ურუშაძე (ორივე თბილისი); ზ. ანიაშვილი (გორი); სფფ-ის ინსპექტორი: მ. ლაცაბიძე

მცხეთა. „არმაზი". 25 ოქტომბერი. 16 საათი

**თსუ — ტორპედო**

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; ზ. დოლიძე, მ. ელიკაშვილი; მ. მალალურაძე (ყველა თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: გ. გვანცელაძე

მცხეთა. „არმაზი". 26 ოქტომბერი. 16 საათი

**ვიტ ჯორჯია — კოლხეთი**

მსაჯები: პ. დოგრაშვილი; კ. გაბრიაძე, გ. კიკაჩეიშვილი (ყველა ქუთაისი); ა. ორდინიძე (ონი); სფფ-ის ინსპექტორი: მ. კობიაშვილი
დისკვალიფიცირებული: პაპავა (კოლხეთი)

გორი. „ცენტრალური". 26 ოქტომბერი. 16 საათი

**დილა — ლოკომოტივი**

მსაჯები: დ. სანაია; ა. სამხარაძე (ორივე სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); კ. მესხი (ზუგდიდი); სფფ-ის ინსპექტორი: გ. ფირცხალავა
დისკვალიფიცირებული: ფეზუაშვილი (დილა)

საქართველოს ჩემპიონატი 12 უმაღლესი ლიგა პირველი წრე

9 ტური

# მეცნიერება და დიპლომატია ქართულ ფეხბურთში

**არანაირი** მოულოდნელობა, ყველაფერი ლოგიკურად დასრულდა. მოიგო იმან, ვისაც უნდა მოეგო. ექვს მატჩში გატანილი 12 გოლი, ხუთჯერ მასპინძლის ზეობა და სტუმრის ერთადერთი სიხარული. სატურნირო ცხრილში თითქმის არაფერი შეცვლილა, ყოველ შემთხვევაში, ლიდერთა სამეული იგივეა.

ეროვნული ჩემპიონატის კიდევ ერთი ტური მიილია. მყუდროდ და ჩვეულებრივად, ყოველგვარი აყალმაყალის გარეშე. წვიმდა და ისევ წვიმს საქართველოში, ამიტომ საფეხბურთო მინდვრები დასაშვებზე მეტად ატალახდა და დაიტბორა, მაგრამ თამაშების გადადება არავის უფიქრია. უსიტყვოდ ასრულებენ ზემდგომთა მითითებებს ჩვენებური გუნდები.

მიუხედავად არცთუ სახარბიელო სათამაშო პირობებისა, ზოგან დაძაბული ბრძოლა მაინც იყო. წყალში და ლაფში ერთმანეთს არ ერიდებოდნენ მეტოქეები. ზოგმა ტრავმის, ზოგმაც სურდოს ფასად თავის გუნდს სარგებელი მაინც მოუტანა. ...და ასე გაგრძელდება სამი დეკემბრის ჩათვლით. მაშინ მეთორმეტე ეროვნულის მეორე წრე შუა გზაზე შეწყდება და თებერვლის ბოლო დღეს განახლდება.

ახლა ისევ ოქტომბერს დავუბრუნდეთ. მეცხრე ტური მიმოვიხილოთ და ავ-კარგის გარჩევა საკვირაო, ტურის ბოლო მატჩით, „ლოკომოტივ“ — „კოლხეთის“ დაპირისპირებით დავიწყოთ.

„ეროვნულზე“ ურიგო თამაში არ ყოფილა. „კოლხეთმა“ ამჯერადაც პირველმა გაიტანა და თითქმის ნახევარი საათის განმავლობაში ინარჩუნებდა უპირატესობას, მაგრამ ისევე როგორც „დინამოსთან“, კვირასაც წაგებული დარჩა.

ფოთელმა ზაველ ლალანიძემ კიდევ ერთხელ ჩვეულად დააქუხა მეტოქის კარისკენ თავისი საფირმო დარტყმა. ლომაიას ნახტომი ამაო გამოდგა.

რევაზ ძოძუაშვილმა, როგორც ხშირად გვინახავს და გვსმენია, შეცვლები ახლაც ზედმიწევნით გამოიცნო. გოგიჩაიშვილმაც ჩვეულად გაილაღა და რკინიგზელები ისევ მეორე ადგილზე არიან.

სოსო ფილიამ, მგონი, კლიტეს სასურველი გასაღები მოარგო, მაგრამ ახლა სხვა საზრუნავ-საფიქრალი გაუჩნდა. „კოლხეთს“ თურმე ფსიქოლოგიური სტრესი თრგუნავს და მოკლე სათადარიგოთა სკამი გასაქანს არ აძლევს. სერიოზული პრობლემები ჰქონია კოლხთა დამრიგებელს, რომელთა მოგვარება მცირე დროში შეუძლებელია.

რკინიგზელთა თავკაცი დიპლომატიურად მოიქცა. მეტოქე შეაქო, თავისიანებს უკეთესი გარჯისკენ მოუწოდა და ლოგიკური შედეგი ფრე იქნებაო, დააყოლა. ერთი რამ ვერ გაიგო მხოლოდ ძოძუაშვილმა, უკვირდა, მსაჯები ასე რაღამ შეაშინაო.

მაინც თბილისში ვართ და ერთი დღით უკან გადავინაცვლოთ, დინამოელთა ყოჩაღობისა და ავჭალელთა შერცხვენისა ვთქვათ. მათრახი მწარედ გადაუჭირა ათგზის ჩემპიონმა ფერზე, მადაზე და გულზე მოსულ „მერანს“. შაბათს სერგო გაბელაიას შეგირდებს უსიტყვო კაპიტულაცია არ გამოუცხადებიათ, მაგრამ მათ უკანა ხაზში ისეთი საშინელება ტრიალებდა, მტერს არ უსურვებს კაცი.

...და იდგა კარში აკაკი დევაძე. მეკარეობას ლიბეროობასაც უთავსებდა, ხშირად აულებელ დარტყმებსაც უმკლავდებოდა, მაგრამ ყველას და ყველაფერს ვერ გასწვდა და „ეროვნულის“ ტაბლოზეც ლოგიკური შედეგი აინთო.

სერგო გაბელაიას საპრეტენზიო ყველა ფეხბურთელის მიმართ ჰქონდა, მხოლოდ დევაძის მადლიერი ვარო, თქვა მწვრთნელმა.

„დინამო“ კი, როგორც უნდა უჭირდეს, მაინც გუნდია. მასთან პაექრობისას ბევრი წინასწარვე განწირულია დღესაც. ავადმყოფობა „დინამო“ მაინც „დინამოა“, ზოგიერთებისთვის ჯერაც მოურჩენელი სენია და, ალბათ, ასე იქნება კიდევ დიდხანს.

მცხეთაში იყო ერთი მასპინძელი და მეორე პირობითად მასპინძელი. „არმაზზე“ იყო წყალი, ტალახი და მონდომებულ მეტოქეთა ბურთაობა. თსუ ბევრს ეცადა, მეტოქეს რაიმე სახეიროს გამორჩენოდა, წამყვანი თავდამსხმელიც დაუშავა, ერთი გოლიც გაუტანა „ვიტ ჯორჯიას“, მაგრამ გაცილებით უფროსს, ძლიერსა და ჯანმაგარს ვერაფერი დააკლო.

„ვიტ ჯორჯიას“ წაფორთხილების უფლება აღარ ჰქონდა. ვეტერინარებმა ისედაც ბლომად ფანტეს ქულები და ახლა თსუ შემოეხარჯათ.

ვიტელთა ოთხი გოლიდან ორი ნახევარმცველთა, ორიც თავდამსხმელთა ანგარიშზეა. მასპინძელთაგან კი თავი თსუ-ს მთავარმა მეგოლე წუწუნავამ გამოიჩინა.

სტუდენტობას რამდენიმე წამყვანი მოთამაშე ტრავმის გამო აკლდა. ვეტერინარებს კი, მართალია, ძირითადის მეკარე მერლანი მალევე გამოუჯანმრთელდათ, მაგრამ შეტევის ლიდერ მელქაძეს მომდევნო ტურში, ალბათ, მოისაკლისებენ.

რაც დრო გადის, მით უფრო იზრდება და მსხვილდება ქუთაისური საფეხბურთო ინდუსტრია. „ტორპედო“ ისევ დაუმარცხებელია, ლეგიონერი ჩამოუყვანია და წვრთის მეცნიერული მეთოდების დანერგვასაც აპირებს.

ალექსანდრ შტელინი უცხო კაცი არ არის ქართულ ფეხბურთში. დავით ყიფიანმა და ვლადიმერ გუცაევმა მის შესაძლებლობებს სხვებზე მეტად იცნობენ და შტელინის ჩამოყვანაც, ალბათ, „ტორპედოს“ წაადგება.

მომავალში რა იქნება, ამას, რა თქმა უნდა, ვნახავთ, მანამდე კი ქუთაისელთა თამაში ტურიდან ტურამდე უფერულდება. არა, „ტორპედო“ ისევ უსწორდება მეტოქეებს, მაგრამ ჯანაშიას ტრავმამ რიონისპირელთა შემტევ პოტენციალზე უარყოფითად რომ იმოქმედა, ფაქტია.

ძველებურად ვერ ლაღობენ დავით ყიფიანის ბიჭები მეტოქის მცველებში. ამიტომაც უხმეს დასახმარებლად უკრაინელ თავდამსხმელ პოროშინს, რომლის დებიუტსაც მოუთმენლად ელიან არა მარტო ქუთაისელი ქომაგები.

რუსთაველთა ძლევას კი, პირველი და მეორე ტაიმის ბოლო წუთებზე, იონანიძისა და ასათიანის გოლებიც ეყო.

„გორდას“ რიგებში ერთი ფორვარდი მაინც გამოჩნდა. გუნდიდან თვითნებურად წასული ბიძინა ივეჩიანი როგორღაც დაიბრუნეს რუსთაველებმა, ტაიმნახევარიც ათამაშეს „ტორპედოს“ წინააღმდეგ, მაგრამ...

„გორდა“ ცხრილში ჯერაც მეექვსეა, თუმც „სიონი“ თსუ და „კოლხეთიც“ ერთ ნაბიჯზე არიან.

დიპლომატი ვარო, სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის თავკაცმა დაიჩემოს. 21 ოქტომბერი იყო, ალბათ ის ერთადერთი დღე საფეხბურთო ბოლნისში, როცა მსაჯებისთვის აღარ უგინებიათ, პირიქით, მათ ყველა გადაწყვეტილებას მხარს უჭერდა ადგილობრივი ქომაგი.

არადა, ანატოლი მილჩენკოს „თემურ სტეფანიაზე“ გამოჩენა თავიდან ბევრსაც არ გახარებია. მივიდა მსაჯთა უფროსი სტადიონზე, მიიხედ-მოიხედა, ცოტა მოშინაურდა და მასპინძლებმა მაშინვე იგუმანეს, რაც მოხდებოდა. „გადათხრის ახლა აქაურობას, გაწვალდება და გაგვაწვალებს ეს ჩვენი ცოდვით სავსე“. ერთ-ერთ სიონელს სიტყვა დამთავრებული არ ჰქონდა, რომ მილჩენკომ ნიჩაბი მოითხოვა. რაღაცეები მიასწორ-მოასწორა, მერე ნახერხით შემოხაზული საჯარიმოები დაიწუნა და მთელი მოედანი კირით დაახაზვინა ბოლნისელებს.

ცოტაც და მასპინძლებს მოთმინების ძაფი გაუწყდებოდათ, მაგრამ მილჩენკომ მათი დასაამებელი წამალი უმალ გამოძებნა. თავისივე შედგენილი წიგნი, ავტოგრაფით დამშვენებული ბოლნისის გამგებელ ზურაბ ჯაფარიძეს და გულშემატკივართა წინამძღოლ ალას უსახსოვრა. ეს იყო და მთელი „თემურ სტეფანია“ დამშვიდდა.

„სიონს“ კი გაუჭირდა. სამტრედიული თუ ხაშურის „იბერია“ დღეისთვის უიმედო აუტსაიდერი კია, მაგრამ მაინც კერკეტი კაკალია სოსო ფრუიძის გუნდი.

სტუმართა მწვრთნელმა იცის, რომ მის შეგირდებს უკეთ თამაში შეუძლიათ. ფრუიძემ ისიც კარგად უწყის, რომ ნორმალურ პირობებში მართლაც გუნდი ეყოლებოდა, მაგრამ თავს ზემოთ ძალა არ არის და იმითაც კმაყოფილია, რაც ხელთ აქვს.

„სიონის“ თავკაცი „იბერიასთან“ გამარჯვების შემდეგ თამამად ალაპარაკდა ექვსეულზე. სპარტაკ არჩვაძემ, უძლიერესთა რიგებში მოხვედრის კარგი შანსი გვაქვს და უნდა გამოვიყენოთო. ბოლნისელები კი მეათე ტურში გამარჯვებაზე ფიქრობენ და ვნახოთ, რა გამოუვათ.

როგორც იქნა, მოიგო „ბათუმმა“, მართალია, დიდი ანგარიშით, მაგრამ გამარჯვება მთლად იოლადაც არ მოსულა. „დილამ“ პირველი ტაიმი გაუძლო მეტოქეს, მეორეშიც საწყისი ათი წუთი მაგრად იდგა, ამირან მუჯირის ჯარიმიდან გატანილმა კი წელში გატეხა სტუმრები.

თამაშის შემდეგ განაწყენებულები წამოვიდნენ გორელები ბათუმიდან. არავინ იცის, რატომ, მაგრამ როგორც თავად თქვეს, გულდაწყვეტილები მხოლოდ დიდი ანგარიშით წაგების გამო როდი იყვნენ. ვეცდებით, სიმართლე გავარკვიოთ და მერე მკითხველს ვაახლოთ, თუ თქმად ეღირება, რა თქმა უნდა.

ბათუმელთა ახალდანიშნულმა მწვრთნელმა ასლან ბალაძემ კი საკუთარი ქომაგის წინაშე სადებიუტო მატჩი მოიგო. მწვრთნელი სეზონის დასაწყისში გუნდიდან გაძევებული მოთამაშეებიდან რამდენიმეს დაბრუნებაზეც ალაპარაკდა და...

დღეს უკვე მეათე ტური იწყება. 21 ოქტომბრის ხუთი სტუმარი მასპინძლად იქცევა, მხოლოდ თსუ დარჩება ისევ საკუთარ კედლებში. ჰო, კიდევ „კოლხეთი“ იქნება ზედიზედ მეორედ სტუმარი და ისევ აღმოსავლეთ საქართველოში.

**გამუკა ძგანტალიანი**



ბოლნისელი ჰამლეტ წივწივაძის შეტევა სამტრედიელმა მცველებმა ჩაშალეს



ლოკომოტიველ მამუკა რუსიას სტუმართა მეკარე მამუკა გვასალიამ დაასწრო

საქართველოს ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
პირველი წრე
12

# 9 ტური
სტატისტიკა

## ჩემპიონატის სტატისტიკა

| | |
|---|---|
| ტური | 9 |
| მატჩი | 53 |
| გოლი | 132 |
| გოლი საშუალოდ მატჩში | 2,49 |
| მასპინძელთა მოგება | 30 (57%) |
| ფრეები | 8 (15%) |
| სტუმართა მოგება | 15 (28%) |
| საერთო დასწრება | 71 200 |
| საშუალო დასწრება მატჩზე | 1 343 |
| საუკეთესო დასწრება ტურზე | III: 6 000 |
| მწირი დასწრება ტურზე | VII: 50 |

| დაჯარიმდა | | სემ |
|---|---|---|
| მასპინძელი | 83 | 13,85 |
| სტუმარი | 88 | 14,65 |
| სულ | 171 | 28,50 |
| **კუთხური** | | **სემ** |
| მასპინძელი | 30 | 5,00 |
| სტუმარი | 21 | 3,50 |
| სულ | 51 | 8,50 |
| **კარისკენ დარტყმა** | | **სემ** |
| მასპინძელი | 35 | 5,85 |
| სტუმარი | 24 | 4,00 |
| სულ | 59 | 9,85 |
| **კარში დარტყმა** | | **სემ** |
| მასპინძელი | 31 | 5,15 |
| სტუმარი | 22 | 3,65 |
| სულ | 53 | 8,80 |
| **თამაშგარე** | | **სემ** |
| მასპინძელი | 18 | 3,00 |
| სტუმარი | 12 | 2,00 |
| სულ | 30 | 5,00 |

სემ - საშუალოდ ერთ მატჩში

### ლოკომოტივი 2:1 კოლხეთი

| | | |
|---|---|---|
| 12 | დაჯარიმდა | 16 |
| 7 | კუთხური | 2 |
| 8 | კარისკენ დარტყმა | 4 |
| 4 | კარში დარტყმა | 3 |
| 3 | თამაშგარე | 0 |

### ბათუმი 3:0 დილა

| | | |
|---|---|---|
| 17 | დაჯარიმდა | 15 |
| 3 | კუთხური | 4 |
| 3 | კარისკენ დარტყმა | 3 |
| 4 | კარში დარტყმა | 0 |
| 3 | თამაშგარე | 1 |

### თსუ 1:4 ვიტ ჯორჯია

| | | |
|---|---|---|
| 13 | დაჯარიმდა | 11 |
| 6 | კუთხური | 5 |
| 6 | კარისკენ დარტყმა | 3 |
| 2 | კარში დარტყმა | 9 |
| 5 | თამაშგარე | 5 |

### დინამო 4:0 მერანი

| | | |
|---|---|---|
| 13 | დაჯარიმდა | 16 |
| 4 | კუთხური | 7 |
| 6 | კარისკენ დარტყმა | 4 |
| 9 | კარში დარტყმა | 6 |
| 2 | თამაშგარე | 2 |

### სიონი 1:0 იბერია

| | | |
|---|---|---|
| 19 | დაჯარიმდა | 17 |
| 4 | კუთხური | 2 |
| 6 | კარისკენ დარტყმა | 9 |
| 3 | კარში დარტყმა | 2 |
| 1 | თამაშგარე | 1 |

### ტორპედო 2:0 გორდა

| | | |
|---|---|---|
| 9 | დაჯარიმდა | 13 |
| 6 | კუთხური | 1 |
| 6 | კარისკენ დარტყმა | 1 |
| 9 | კარში დარტყმა | 2 |
| 4 | თამაშგარე | 2 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| 7 - დ. გოდერძიშვილი | მერანი |
| 6 - იონანიძე | ტორპედო |
| 4 - გ. შენგელია | ლოკომოტივი |
| რუსია | ლოკომოტივი |
| ა. მუჯირი | ბათუმი |
| წუწუნავა | თსუ |
| 3 - მელქაძე | ვიტ ჯორჯია |
| ფანჩულიძე | კოლხეთი |
| შავგულიძე | კოლხეთი |
| გონჩაროვი | ლოკომოტივი |
| იმედაძე | ტორპედო |
| მიშველიძე | გორდა |



ბათუმელთა ეს შეტევა ხვიჩა გაგნიძემ (№6) და „დილას“ დაცვამ მოიგერიეს

თბილისი
22 ოქტომბერი
16 საათი
ეროვნული
1 500 (ტევადობა 70 900)

### ლოკომოტივი 2:1 კოლხეთი

0:1 ღალანიძე (39), 1:1 ქიქველიშვილი (65), 2:1 გოგიჩაიშვილი (76)
**ლოკომოტივი:** ლომაია, ბალაშვილი, ლევან სილაგაძე, აბრამიძე, თოდუა, გ. კვარაცხელია, ქიქველიშვილი, გოგიჩაიშვილი, დავითაშვილი (გონჩაროვი 46), გ. შენგელია (პარამონოვი 46), რუსია (გილაური 78)
სათადარიგონი: ივარდავა; დ. არჩვაძე, ძოძუაშვილი
**კოლხეთი:** მ. გვასალია, გოროზია, ტორჩინავა, ქუნთელია, პაპავა, კიკლიაშვილი (შალვაძელიძე 69), ხუჭუა, ფანჩულიძე, კვირკველია (შავგულიძე 52), ახალკაცი (კრასოვსკი 74), ღალანიძე
სათადარიგონი: ჩემია; გ. ჩიტაია, ქანტურიძე, ბურკაძე
**გაფრთხილება:** სილაგაძე (31), რუსია (41), ქუნთელია (44), ფანჩულიძე (50), ხუჭუა (51), პაპავა
**მსაჯები:** ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ზ. დოლიძე, მ. ელიკაშვილი; ა. მეშკოვი (ყველა თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ლ. ციციანი

ბათუმი
21 ოქტომბერი
16 საათი
დინამო
500 (ტევადობა 18 000)

### ბათუმი 3:0 დილა

1:0 მუჯირი (56), 2:0 აფხაზავა (60), 3:0 ყულეჯიშვილი (68)
**ბათუმი:** ბედიაშვილი, ჩიჩუა, მინდაძე, ბახტაძე (თედორაძე 46), მეკვანაძე, გელა ქორიძე, ლლონტი, დარჩიძე, ყულეჯიშვილი, აფხაზავა (სოხაძე 88), ა. მუჯირი (რომანაძე 63)
სათადარიგონი: ჯაში; სიხარულიძე, ჩოხელი, ქურაშვილი
**დილა:** თ. ილურიძე, აკოფიანი, გრიგალაშვილი, გაგნიძე (ა. ხმალაძე 63), ლ. გოჩაშვილი, ლომიძე (საცვარელიძე 70), რევაზიშვილი, ციციშვილი (დ. მაისურაძე 65), ფეზუაშვილი, კოტორაშვილი, ხორგუაშვილი
სათადარიგონი: სოლოლაშვილი; ხოხობაშვილი, გ. ტულუში, მ. ბურნაძე
**გაფრთხილება:** მუჯირი (5), ლომიძე (44), ფეზუაშვილი (50), თედორაძე (52)
**მსაჯები:** კ. მესხი (ზუგდიდი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); ბ. დოგრაშვილი (ქუთაისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ბ. ქარქაშაძე

მცხეთა
21 ოქტომბერი
16 საათი
არმაზი
150 (ტევადობა 3 000)

### თსუ 1:4 ვიტ ჯორჯია

0:1 ქორიძე (8), 0:2 დეკანოსიძე (60), 0:3 დოლმელაშვილი (62), 0:4 გოჩაშვილი (74), 1:4 წუწუნავა (88პ)
**თსუ:** მამარდაშვილი, ხარებავა, ებრალიძე, ე. ბლადაშვილი (ზვ. ლაბაძე 55), სვანაძე, რ. გოცირიძე, წუწუნავა, ახალაძე (ადამია 58), მესხი, ერაძე (არეშიძე 73), ვადაჭკორია
სათადარიგონი: გუგუნავა; ბ. ნოზაძე, მორჩილაძე
**ვიტ ჯორჯია:** მერლანი, ჯ. მუჯირი, ქანკოტაძე, კობიაშვილი, საჯაია, ლ. ნოზაძე, დოლმელაშვილი, დ. დოლიძე, დეკანოსიძე (ზ. გვაზავა 73), ლ. მელქაძე (ვ. გოჩაშვილი 54), გიორგი ქორიძე (სულთანიშვილი 63)
სათადარიგონი: სტურუა; ინწკირველი, თაყაძე, ციფიანი
**გაფრთხილება:** სვანაძე (37), დოლიძე (43), ხარებავა (48), მესხი (75), სულთანიშვილი (87)
**მსაჯები:** ა. ორდინიძე (ონი); კ. თბილელი, ო. ხეცაძე; ა. კრიჟაშვილი (ყველა თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. დურსუნიში

თბილისი
21 ოქტომბერი
16 საათი
ეროვნული
500 (ტევადობა 70 900)

### დინამო 4:0 მერანი

1:0 სიჭინავა (13), 2:0 დათვაძე (28), 3:0, 4:0 ზირაქიშვილი (63, 64)
**დინამო:** ჩიხრაძე (ბათიაშვილი 69), ქემოკლიძე, ვაშაკიძე, ა. სახვაძე (მაზიაშვილი 65), შაშიაშვილი, ზამთარაძე, დათვაძე (რუხაძე 66), სიჭინავა, გადელია, ზირაქიშვილი, ჯინჭარაძე
სათადარიგონი: კანდელაკი, კ. გოგოლაძე, ბურდული, გ. ვ. მიქაძე
**მერანი:** დევაძე, პოდლესნი, გუჯაბიძე (გ. კვეტენაძე 46), ცქიფურიშვილი, დევიძე, დ. გოდერძიშვილი, ხორხელი, ქინქარაული (კაკუბავა 48), მინაშვილი, მუხინი, ბოლქვაძე (როსტიაშვილი 82)
სათადარიგონი: ნაჭყებია; კობესაშვილი, ბაჯელიძე
**მსაჯები:** ა. შალამბერიძე; კ. გაბრიაძე (ორივე ქუთაისი), ლ. მიქელაძე (სამტრედია); ა. შილაკაძე (თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** კ. ყრუაშვილი

ბოლნისი
21 ოქტომბერი
16 საათი
თეიმურ სტეფანია
700 (ტევადობა 3 000)

### სიონი 1:0 იბერია

1:0 მოსეშვილი (61)
**სიონი:** ვოლკოვი, კ. გოდერძიშვილი, ასპინძელაშვილი, ირემაშვილი, დიმიტრიშვილი (გამცემლიძე 83), მოსეშვილი, მინდიაშვილი (კ. მეტრეველი 46), ბარნოვი, სოლოლაშვილი, ისიანი (დ. ჯაფარიძე 90), წიქწივაძე
სათადარიგონი: დალაქიშვილი; სვანიძე, ჩაგელიშვილი
**იბერია:** ვარდანიძე, ჟვანია, გ. ნოზაძე, სანიკიძე, მიქელთაძე, ნ. გიორგაძე, ხმალაძე, ბიწაძე, ონიანი, ოდიკაძე, გიგიაძე
სათადარიგონი: ჩომახიძე; ყურაშვილი, მუმლაძე, კ. ბობოხიძე, ბანძელაძე
**გაფრთხილება:** სანიკიძე (5), ჟვანია (54), ასპინძელაშვილი (59), ოდიკაძე (65), გიორგაძე (68), ბიწაძე (80)
**მსაჯები:** მ. მალალურაძე; ი. შალამბერიძე, მ. ჟურუშაძე; მ. მაისურაძე (ყველა თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. მილჩენკო

ქუთაისი
21 ოქტომბერი
16 საათი
ტორპედო
2 000 (ტევადობა 19 432)

### ტორპედო 2:0 გორდა

1:0 იონანიძე (41), 2:0 ასათიანი (80)
**ტორპედო:** ზოიძე, იონანიძე, კ. კვეტენაძე (შენგელაძე 86), შალამბერიძე, ჩხეტიანი, თურმანიძე, გუჩუა, მ. ბობოხიძე (ასათიანი 57), ახვლედიანი (თავბერიძე 88), იმედაძე, ხვადაგიანი
სათადარიგონი: ქანტურია; მახვილაძე, ჩხაიძე, კვერნაძე
**გორდა:** ნიკურაძე, გაბელაია, ბექაური, ა. ბურნაძე, ბერიძე, მელაძე, კ. ბლადაშვილი (ბაჩილავა 82), ზ. ლაბაძე, ა. ბუკია (კიტეიშვილი 46), მიშველიძე, ლაშა სილაგაძე (ივეჩიანი 27)
სათადარიგონი: გონგაძე, მ. სახვაძე, მჭედლიძე, პატარიძე
**გაფრთხილება:** მელაძე (34), იმედაძე (57), გაბელაია (68)
**მსაჯები:** ზ. ანიაშვილი; ლ. რაზმაძე (ორივე გორი), ზ. ჯავარიძე (თბილისი); დ. სანაია (სოხუმი);
**სფფ-ის ინსპექტორი:** ნ. კაკულია

### სიმბოლური ნაკრები

| | |
|---|---|
| ზაზა ზირაქიშვილი | დინამო |
| შალვა აფხაზავა | ბათუმი |
| დავით სოლოღაშვილი | სიონი |
| გივი კვარაცხელია | ლოკომოტივი |
| გიორგი დეკანოსიძე | ვიტ ჯორჯია |
| კახა გოგიჩაიშვილი | ლოკომოტივი |
| არჩილ სახვაძე | დინამო |
| კახა მჭედლიძე | ბათუმი |
| ვახტანგ ხვადაგიანი | ტორპედო |
| კახა გოდერძიშვილი | სიონი |
| ოთარ ვარდანიძე | იბერია |

გუნდი: ლოკომოტივი
მწვრთნელი: რევაზ ძოძუაშვილი

### უმაღლესი ლიგა

| № | გუნდები | სულ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ტორპედო | 9 | 9 | 0 | 0 | 17:2 | 15 | 27 | 5 | 5 | 0 | 0 | 9:2 | 7 | 15 | 4 | 4 | 0 | 0 | 8:0 | 8 | 12 |
| 2 | ლოკომოტივი | 9 | 7 | 0 | 2 | 21:6 | 15 | 21 | 4 | 3 | 0 | 1 | 11:2 | 9 | 9 | 5 | 4 | .0 | 1 | 10:4 | 6 | 12 |
| 3 | ვიტ ჯორჯია | 9 | 6 | 2 | 1 | 15:4 | 11 | 20 | 4 | 3 | 0 | 1 | 3:1 | 2 | 9 | 5 | 3 | 2 | 0 | 12:3 | 9 | 11 |
| 4 | დინამო | 9 | 5 | 1 | 3 | 14:12 | 2 | 16 | 4 | 3 | 0 | 1 | 9:5 | 4 | 9 | 5 | 2 | 1 | 2 | 5:7 | -2 | 7 |
| 5 | მერანი | 9 | 3 | 3 | 3 | 11:13 | -2 | 12 | 5 | 3 | 2 | 0 | 7:3 | 4 | 11 | 4 | 0 | 1 | 3 | 4:10 | -6 | 1 |
| 6 | გორდა | 9 | 2 | 5 | 2 | 9:14 | -5 | 11 | 5 | 2 | 3 | 0 | 7:4 | 3 | 9 | 4 | 0 | 2 | 2 | 2:10 | -8 | 2 |
| 7 | სიონი | 9 | 3 | 1 | 5 | 7:8 | -1 | 10 | 4 | 2 | 0 | 2 | 5:4 | 1 | 6 | 5 | 1 | 1 | 3 | 2:4 | -2 | 4 |
| 8 | თსუ | 9 | 3 | 1 | 5 | 12:18 | -6 | 10 | 5 | 2 | 0 | 3 | 6:11 | -5 | 6 | 4 | 1 | 1 | 2 | 6:7 | -1 | 4 |
| 9 | კოლხეთი | 9 | 3 | 0 | 6 | 10:13 | -3 | 9 | 4 | 3 | 0 | 1 | 6:4 | 2 | 9 | 5 | 0 | 0 | 5 | 4:9 | -5 | 0 |
| 10 | ბათუმი | 9 | 3 | 0 | 6 | 10:13 | -3 | 9 | 4 | 3 | 0 | 1 | 9:4 | 5 | 9 | 5 | 0 | 0 | 5 | 1:9 | -8 | 0 |
| 11 | დილა | 9 | 2 | 2 | 5 | 8:17 | -9 | 8 | 5 | 1 | 2 | 2 | 6:9 | -3 | 5 | 4 | 1 | 0 | 3 | 2:8 | -6 | 3 |
| 12 | იბერია | 9 | 0 | 1 | 8 | 1:15 | -14 | 1 | 5 | 0 | 1 | 4 | 0:8 | -8 | 1 | 4 | 0 | 0 | 4 | 1:7 | -6 | 0 |



მერანელი სოსო დევიძე (მარცხნივ) და დინამოელი პაატა ჯინჭარაძე

# სანამ ზურა მივიდოდა, იგორს ტყავი გააძრეს


ზურაბ ხიზანიშვილი

დასაწყისი პირველ გვერდზე

ზურაბ ხიზანიშვილი სარეზერვო „არსენალის" თავკაც ჯორჯ არმსტრონგს არც ძირითად შემადგენლობაში ჰყოლია და არც თადარიგში. ალექსიძის წინააღმდეგ თამაშმა „არსენალის" კიდევ ერთ პოსტსაბჭოელ ახალწვეულს, ლატვიელ იგორ სტეპანოვსს მოუწია. როგორ გაართვა ლატვიელმა თავი დაკისრებულ მოვალეობას, თავად განსაჯეთ — მეორე ტაიმის შუაწელში ალექსიძემ გაბრიელე ამბროზეტის მეტოქის დაცვაში სივრცე გაუთავისუფლა და მისი დარტყმულით გამარჯვების გოლი გავიდა.

„ჩელსის" რეზერვებს ამჯერადაც ძირითადი გუნდის ახალი თავკაცი კლაუდიო რანიერი წვრთნიდა, „არსენალის" ფრანგმა თავკაცმა არსენ ვენგერმა კი არ იჩქარა ნამგზავრი ზურაბ ხიზანიშვილის საქმეში ნახვა და ქართველი ჯერ მხოლოდ ავარჯიშა. მიზეზის გასაგებად გუშინ ზურას მამას, წარსულში თბილისის დინამოელს, თასების თასის მფლობელ **ნოდარ ხიზანიშვილს** დავუკავშირდით.

— ზურამ გუშინ დამირეკა, მაგრამ ჯერჯერობით მნიშვნელოვანი სიახლე არაფერია. ის „არსენალში" რამდენიმე დღით დარჩება და როგორც მითხრა, სათადარიგო გუნდში დღეს ითამაშებს — გვიპასუხა უფროსმა ხიზანიშვილმა.

„არსენალის" რეზერვებს მორიგი კალენდარული მატჩი ორშაბათს „საუთჰემპტონთან" ელით, თუმცა იქამდე მოცდა რა აუცილებელია. ინგლისელებს უამრავი ასაკობრივი გუნდი ჰყავთ და თავად რეზერვებიც რიგგარეშე მატჩებს ხშირ-ხშირად მართავენ. ამ გუნდებში თამაშს კი, გინდ გასასინჯად იყოს, გინდ ტრავმის მერე ფორმის აღსადგენად, ბრიტანეთის სამეფოში მუშაობის უფლება არ სჭირდება.

ერთი სიტყვით, ლონდონიდან მორიგი სიახლის შესატყობად ხვალამდე მოგიწევთ მოცდა. იმედია, ეს სიახლე სასიამოვნო იქნება.

**ვახტანგ ჭყიძაძე**

# გაიოზ დარსაძემ გორში ამოყვინთა

## დილას ხაჩირაშვილი უთავკაცებს

**მეხუთე** დღეა, გორის „დილას" მწვრთნელი გამოეცვალა. ქართლელებმა გუნდის მწვრთნელთა როქი გააკეთეს.

ამიერიდან „დილას" მერაბ ხუციშვილის ყოფილი თანაშემწე იქნება — გვითხრა გუშინ გორული კლუბის პრეზიდენტმა გურამ ნოზაძემ.

მართალია, გორელებმა ახალი გადაწყვეტილება ხუთი დღის წინ მიიღეს, შაბათს ბათუმთან მაინც ძველმა თავკაცმა დამოძღვრა გუნდი და ახალმა მწვრთნელმა მერეღა ჩაიბარა, რაც „დილამ" ეს გარდამავალი მატჩი წააგო.

ამ ცვლილებას ერთი ისეთი ფაქტიც დაერთო, რამაც ჭორები შვა, „დილას" მწვრთნელი საქართველოს თასის ფინალში წყალტუბოს „სამგურალის" გამყვანი გაიოზ დარსაძე გახდებაო. ვერ ვიტყვით, რომ ჭორი მთლად უსაფუძვლო იყო. გორელებისგან შემოთავაზება დარსაძეს ადრეც ჰქონია და ახლახან, მას შემდეგაც დაუკავშირდნენ, რაც გუნდის მთავარი მწვრთნელი მისი მეგობარი ვაჟა ხაჩირაშვილი გახდა.

ცხადია, სიმართლის დადგენა დარსაძესთან დაკავშირებით ვცადეთ და მისგან პასუხად ეს მივიღეთ:

— გორელთათვის და მათი კლუბის პრეზიდენტ გურამ ნოზაძისთვის მადლობის მეტი რა მეთქმოდა, ორშაბათს გუნდი მოვინახულე და მიუხედავად იმისა, თითქმის გამორიცხულია „დილას" წინადადებას დავთანხმდე, ერთი ვარჯიშიც ჩავატარე. ჭორიც, ალბათ ამან შვა, არადა, მოედანზე პირველ რიგში იმიტომ გავედი, წელიწადნახევარია უმუშევარი ვარ და, რაკი კოლეგებიც ყაბულს იყვნენ, მსურდა გუნდთან მუშაობის სიამოვნება გამეხსენებინა — გორის „დილასთან" გატარებული ორიოდ საათი ჩემთვის ისეთივე შაუცვლელი იყო, როგორც ვთქვათ, წყალში დაყვინთულისთვის ჟანგბადის მარაგი.

ერთი სიტყვით, „დილას", რომელიც „ლოკომოტივთან" ხვალინდელი მატჩის წინ ბოლოდან მეორე, მეთერთმეტე ადგილზეა და ზეექვსეულში მოხვედრის ბუნდოვანი პერსპექტივა აქვს, ვაჟა ხაჩირაშვილი გაწვრთნის. გორელთა ახალ თავკაცთან ინტერვიუს ერთ-ერთ უახლოეს „სარბიელში" იხილავთ.

„დილა" მეოთხე გუნდია, „ვიტ ჯორჯიას", „კოლხეთის" და „ბათუმის" კვალდაკვალ, რომელმაც წლევანდელ ჩემპიონატში მთავარი მწვრთნელი გამოიცვალა.

**დათო დანელია**


ვაჟა ხაჩირაშვილი


გაიოზ დარსაძე

საქართველოს ჩემპიონატი — პირველი ლიგა — პირველი წრე

# 11 ტური

# აუტსაიდერის სენსაცია

**პირველი** ლიგის ბინადართა უმრავლესობისთვის ჩემპიონატის მეოთხედი გაილია. დარჩენილია ერთი გამოტოვებული მატჩი „გურიასა" და „მილანს" შორის და თორმეტეული სამეორეწრეო ალმართს შეუყვება.

მკითხველისთვის ალბათ ნათელია, რომ ყოველი ტურის შემდეგ ერთიორად იძაბება მდგომარეობა სატურნირო ცხრილში. ნიშანდობლივია თუნდაც ის ფაქტი, რომ სამეორეეტაპო ექვსეულისთვის ერთბაშად ცხრა გუნდი იბრძვის, თანაც ისე, წინასწარ გაჭირდება ვარაუდი, მათგან ვინ უწევს მიზანს.

მეთერთმეტე ტურის ცენტრალური მატჩი ძველ ანაგაში გაიმართა, „მილანმა" „ზუგდიდს" უმასპინძლა. შინაურ სარბიელზე ასპროცენტიან შედეგიანი მასპინძლები 62-ე წუთზე მარცხის წინაშე დადგნენ — ზუგდიდელმა გედენიძემ თავისი გუნდის მიერ პირველ ტაიმში მოპოვებულ მცირე უპირატესობას მეტად საჭირო გაგრძელება მოუნახა და ახლო მანძილიდან დალაშქრა მეტოქის კარი. „მილანი" გოლს შოკში არ ჩაუგდია და საკუთარი ქომაგის ყიჟინით გამხნევებულმა ოთხ წუთში გაქვითა. ათი წუთის შემდეგ ისევ პირველი გოლის ავტორმა, ვლადიმერ ლუდუშაურმა გამოიჩინა თავი და მატჩის ბედი თავისიანთა სასარგებლოდ შემოატრიალა. ამან სტუმრები საბოლოოდ გატეხა და ბოლოსკენ „მილანის" ბომბარდირმა ტოკლიკიშვილმა მესამეც გაიტანა. აქვე ისიც ვთქვათ, რომ 23 ოქტომბერს „მილანმა" V ტურის გამოტოვებულ მატჩში „ივერიას" უმასპინძლა, 4:0 გაიმარჯვა და სატურნირო ცხრილში ერთბაშად ექვსი საფეხურით აინაცვლა.

სწორედ „ივერია" გახდა XI ტურის (და ალბათ ჩემპიონატისაც) სენსაციის სულისჩამდგმელი. აუტსაიდერმა ხაშურელებმა „გრიგოლ ჯომართიძეზე" პირველადგილოსანი და ამბიციური „შუქურა" შეარცხვინეს. თანაც ხაშურელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ არ შეუშინდნენ დებიუტში დაწინაურებულ მეტოქეს და პირველ ტაიმშივე მოახერხეს ორი გოლის გატანა. მართალია, ამ მოგებამ „ივერია" სატურნირო ცხრილის ფსკერს ვერ ააცილა, მაგრამ თუ ხაშურელებმა ასე გააგრძელეს, იქნებ რეგიონულ ლიგაში ჩაქვეითებასაც გადაურჩნენ.

მსაჯობით უკმაყოფილონი დარჩნენ წყალტუბოელები ლანჩხუთში. „გურია"—„სამგურალის" მატჩის უმეტესი დრო ორმხრივ იერიშებში გაილია, თუმცა ლორიას გოლის შემდეგ (სწორედ ეს ეპიზოდი გახდა დავის მიზეზი, წყალტუბოელები თამაშგარეს ითხოვდნენ) „გურია" საგულდაგულოდ გამაგრდა თავის ნახევარზე და გაჭირვებით, მაგრამ მაინც შეძლო სასურველი ანგარიშის შენარჩუნება. ახლა „გურია" სატურნირო ცხრილში გაუმეზობლდა „სამგურალს" და მხოლოდ ქულითღა უსწრებს მას.

ზესტაფონს ჩასვლა დააგვიანდა „თბილისს" და შედეგად მატჩი დათქმულზე თხუთმეტი წუთით გვიან დაიწყო. მასპინძლები მეტოქისგან მძაფრ წინააღმდეგობას წააწყდნენ და მხოლოდ ტაიმის მიწურულს გვაზავას თერთმეტმეტრიანით გატანილს დასჯერდნენ. ისე, კაცმა არ იცის, რა მოხდებოდა, მეორე ნახევარში შილაკაძეს თბილისელი კოხრეიძე რომ არ გაეგდო მოედნიდან. არბიტრმა გინება არ აპატია ფეხბურთელს და ამიტომაც აუნთო წითელი.

„ცხინვალმა" მოლოდინისამებრ უპრობლემოდ დაიმორჩილა „ოკეანე". მასპინძელთაგან დუბლით გამოირჩა აწ უკვე ლიგის უპირველესი ბომბარდირი გვირჯიშვილი. მის გარდა სტუმრები მარლიშვილმა და მაისურაძემაც დაამწუხრეს. „ცხინვალი" პირველია და სამთაგან ერთ-ერთი, უკლებლივ ყველა საშინაო მატჩში რომ უმარჯვია.

მეთერთმეტე ტურის ხუთი მატჩი მასპინძლების გამარჯვებით დასრულდა, მხოლოდ ერთი შეხვედრა დამთავრდა ფრედ და, რაღა თქმა უნდა, მასში 0:0-ების ოსტატის, „ხობის" ხელი ერია. ხობელები ამ ანგარიშით უკვე მეოთხედ დაუზავდნენ მეტოქეს შინაურ კედლებში. მასპინძლები მცირე უპირატესობას კი ფლობდნენ, მაგრამ „თორის" მსგავსად გოლამდე ვერა და ვერ მიიყვანეს საქმე და ექვსეულში მოსახვედრი გზა ერთიორად დაიგრძელეს.

მეთორმეტე ტური პარასკევს, 27 ოქტომბერს ჩატარდება.

**ბაატა ქვანტალიანი**

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| 11 - გვირჯიშვილი | ცხინვალი |
| 9 - ქუთათელაძე | სამგურალი |
| 8 - კალანდაძე | შუქურა |
| ბოჭორაძე | ცხინვალი |
| 6 - ზ. გვაზავა | მეტალურგი |
| მარლიშვილი | ცხინვალი |
| 5 - კუტალია | ზუგდიდი |

ზესტაფონი
20 ოქტომბერი
16.15 საათი
მეტალურგი
300 (ტევადობა 10 000)

### მეტალურგი 1:0 თბილისი

1:0 გვაზავა (44პ)
**მეტალურგი:** ოდიკაძე, გოგაძე, პ. ლურსმანაშვილი, მერებაშვილი, გურეშიძე (აბაზაძე 21), ორმოცაძე (მემარნიშვილი 81), კაციაშვილი, აქბარაძე, ამაშუკელი, ზ. გვაზავა (მოდებაძე 87), ფირცხალეიშვილი
სათადარიგონი: ნიქაბერიძე, ბაქრაძე
**თბილისი:** კუპატაძე, ფირცხალაიშვილი (ნათობიძე 67), აბრამიშვილი, დ. ტყებუჩავა, მანაგაძე (მანჯგალაძე 46), პ. ფირცხალავა, გუშარაშვილი, ქუხილავა, კოხრეიძე, გოგმაჩიძე (ლ. კაპანაძე 46), გ. კაპანაძე
სათადარიგო: კოდალაევი
**გაფრთხილება:** მერებაშვილი (64)
**გაძევება:** კოხრეიძე (59)
**მსაჯები:** ა. შილაკაძე; ი. შალამბერიძე, ვ. ჩოჩიშვილი; მ. მალალურაძე (ყველა თბილისი)

ლანჩხუთი
20 ოქტომბერი
16 საათი
ევგრაფი შევარდნაძე
300 (ტევადობა 22 000)

### გურია 1:0 სამგურალი

1:0 ლორია (67)
**გურია:** მერკვილიშვილი, ვოსკანოვი, გაბრიჭიძე, მ. ჯღარკავა (გ. სამხარაძე 82), სულაკაძე, განევი (ორბელაძე 79), ჯულელი, ჩხეტია (ძნელაძე 78), ენდელაძე, ფაცურია, ლორია
სათადარიგონი: შეყრილაძე, კუკულაძე, შველიძე, კირკიტაძე
**სამგურალი:** ბოდოკია, ბერაძე, ჭელიძე, თირქია, ლ. ქობულაძე (დ. ჯიქია 80), მ. ჯინჭარაძე, ბაბუნაშვილი, დარსაძე, ზ. ფხაკაძე, შ. ფუტკარაძე (კიკვიძე 90), ქუთათელაძე
სათადარიგონი: გიორგაძე, ტეხოვი, გოლეთიანი, ლვინჯილია, მაჭარაძე
**გაფრთხილება:** ლორია (60)
**მსაჯები:** ა. მეშკოვი; ზ. მენთეშაშვილი (ორივე თბილისი), ზ. ხუციშვილი (დმანისი); ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)

ხაშური
20 ოქტომბერი
16 საათი
გრიგოლ ჯომართიძე
400 (ტევადობა 8 000)

### ივერია 2:1 შუქურა

0:1 კვირკველია (11), 1:1 ჩალაძე (27), 2:1 ჯაფარაშვილი (35)
**ივერია:** ხვედელიძე, ვაჩლავაშვილი, მელაძე, პავლიაშვილი (ულუმბელაშვილი 14), ნევერაშვილი, გოგალაძე, ჯობაძე, ვლასოვი, გ. ხაჩიძე (ვ. ხაჩიძე 88), ჯაფარაშვილი, ნ. ჩალაძე
სათადარიგონი: ბალიანი; ვეშაპიძე, მინაძე
**შუქურა:** გაბუნია, კოროტკოვი (ბაჟუნაშვილი 58), ქუტიძე, კვეკვესკირი, გეგეშიძე (ოქრობირიძე 41), ჩადუნელი, ბ. ფუტკარაძე, ვალიჩავა, კალანდაძე, კაკალაძე, კვირკველია
სათადარიგონი: გოგუა; ჩახუნაშვილი, ჩელებაძე
**გაფრთხილება:** ხვედელიძე (28), ჯობაძე (31), ვლასოვი (37), ვალიჩავა (61), ქუტიძე (87)
**მსაჯები:** ა. კრიჭაშვილი; ა. ნონიკაშვილი (ორივე თბილისი), ი. აფციაური (დუშეთი); ზ. ანიაშვილი (გორი)

ქვილი ანაგა
20 ოქტომბერი
16 საათი
ცენტრალური
1 000 (ტევადობა 3 000)

### მილანი 3:1 ზუგდიდი

0:1 გედენიძე (62), 1:1, 2:1 ლუდუშაური (66, 76), 3:1 ტოკლიკიშვილი (87)
**მილანი:** გ. სომხიშვილი, ტარუღაშვილი, ვ. ლუდუშაური, კობაიძე, თელიაშვილი, მელქაძე (სოსელია 84), ჭყონია (ზავშიშვილი 88), ინასარიძე, გოძიაშვილი (მ. სომხიშვილი 72), მედოევი, ტოკლიკიშვილი
სათადარიგონი: მეტონიძე; დ. კაპანაძე, ჩიტაური, კიკვაძე
**ზუგდიდი:** ნაცოფია, ლურწკაია, ჭითანავა, გედენიძე, დიდიძე (ჭურღულია 30), ონიანი, ყოლბაია, კუტალია, თოლორაია, თორია, ან. ჯიქია
სათადარიგონი: კვარაცხელია; გამსახურდია, გოგიტაძე, ჩიქობავა
**გაფრთხილება:** ყოლბაია (32), გედენიძე (54), თორია (76)
**მსაჯები:** ჯ. ბუიშვილი (ქიათურა); ზ. ჯვარიძე, ზ. დოლიძე (ორივე თბილისი); ბ. ბრეგვაძე (ქიათურა)

ხობი
20 ოქტომბერი
16 საათი
ცენტრალური
500 (ტევადობა 12 000)

### ხობი 0:0 თორი

**ხობი:** შ. გოგია, ფიფია, ლ. ჯაბუა, ი. ჯაბუა, აბაკელია (ჯამბურია 77), ხურცილავა, ვართაგავა, ქაშიბაძე, ჭეფია, არ. ჯიქია, ზაზა აიანადი
სათადარიგონი: თოლორდავა; ხორავა, ჭიჭინაძე, ბერაია, მიქავა
**თორი:** ლაბაძე, ქობესაშვილი, გ. ლომიძე, ელისაშვილი, წიქარიშვილი, ვ. ფირცხალავა, ჯანაშია, სეფერთელაძე (დ. ლეკიშვილი 87), თალაკვაძე, ვარდიაშვილი, გლუნჩაძე
სათადარიგონი: სულავა; ზაქარეიშვილი, ზარანდია, ტარიელაშვილი, ხოსროშვილი
**გაფრთხილება:** ქობესაშვილი (15), წიქარიშვილი (28), ლ. ჯაბუა (36), ვართაგავა (40), ჯიქია (82), გლუნჩაძე (89)
**მსაჯები:** პ. დოგრაშვილი; გ. კიკაჩეიშვილი, ნ. რუსიშვილი; კ. გაბრიაძე (ყველა ქუთაისი)

გორი
20 ოქტომბერი
16 საათი
ქართლი
150 (ტევადობა 2 000)

### ცხინვალი 4:0 ოკეანე

1:0 მარლიშვილი (24), 2:0 მაისურაძე (67), 3:0, 4:0 გვირჯიშვილი (74, 80)
**ცხინვალი:** ქქსანაშვილი, არუთინიანი, რ. ხაჭაპურიძე, ტყემალაძე, ვაჩლავაშვილი, მოსიაშვილი (ზ. მაისურაძე 56), ცხადაძე (მურადელი 46), მარგიევი, მარლიშვილი (ჩაჩიბაია 82), ნასუაშვილი, გვირჯიშვილი
სათადარიგონი: დ. მაისურაძე; წიქარიძე
**ოკეანე:** თავაძე, ტონია, თოდაძე, მალლაკელიძე, ს. გოგია, ლორთქიფანიძე, გაბედავა, რ. ცომაია (გოგიბერიძე 44), კრავეიშვილი (ო. ფხაკაძე 14), კაცაძე, მესიაჩენკო
სათადარიგონი: ჭკუასელი; ჩიგოგიძე, მალალურაძე, ფირცხალაიშვილი
**გაფრთხილება:** ცხადაძე (9), გაბედავა (52), თოდაძე (70), მესიაჩენკო (75)
**მსაჯები:** მ. მაისურაძე; ვ. ელისაბედაშვილი, ე. ნარმანია (ყველა თბილისი); ა. შალამბერიძე (ქუთაისი)

| პირველი ლიგა | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ცხინვალი | 11 | 7 | 1 | 3 | 31:11 | 20 | 22 | 5 | 5 | 0 | 0 | 22:2 | 20 | 15 | 6 | 2 | 1 | 3 | 9:9 | 0 | 7 |
| 2 მილანი | 10 | 6 | 2 | 2 | 13:6 | 7 | 20 | 5 | 5 | 0 | 0 | 11:2 | 9 | 15 | 5 | 1 | 2 | 2 | 2:4 | -2 | 5 |
| 3 შუქურა | 11 | 6 | 2 | 3 | 15:7 | 8 | 20 | 6 | 5 | 1 | 0 | 12:0 | 12 | 16 | 5 | 1 | 1 | 3 | 3:7 | -4 | 4 |
| 4 ზუგდიდი | 11 | 6 | 1 | 4 | 18:13 | 5 | 19 | 6 | 5 | 1 | 0 | 15:6 | 9 | 16 | 5 | 1 | 0 | 4 | 3:7 | -4 | 3 |
| 5 მეტალურგი | 11 | 5 | 3 | 3 | 12:10 | 2 | 18 | 5 | 5 | 0 | 0 | 9:1 | 8 | 15 | 6 | 0 | 3 | 3 | 3:9 | -6 | 3 |
| 6 გურია | 10 | 5 | 3 | 2 | 11:13 | -2 | 18 | 4 | 3 | 1 | 0 | 6:2 | 4 | 10 | 6 | 2 | 2 | 2 | 5:11 | -6 | 8 |
| 7 სამგურალი | 11 | 5 | 2 | 4 | 17:10 | 7 | 17 | 6 | 5 | 1 | 0 | 15:4 | 11 | 16 | 5 | 0 | 1 | 4 | 2:6 | -4 | 1 |
| 8 თორი | 11 | 5 | 2 | 4 | 12:10 | 2 | 17 | 5 | 3 | 1 | 1 | 9:5 | 4 | 10 | 6 | 2 | 1 | 3 | 3:5 | -2 | 7 |
| 9 ხობი | 11 | 3 | 4 | 4 | 7:9 | -2 | 13 | 6 | 2 | 4 | 0 | 2:0 | 2 | 10 | 5 | 1 | 0 | 4 | 5:9 | -4 | 3 |
| 10 თბილისი | 11 | 2 | 1 | 8 | 4:19 | -15 | 7 | 6 | 2 | 0 | 4 | 3:6 | -3 | 6 | 5 | 0 | 1 | 4 | 1:13 | -12 | 1 |
| 11 ოკეანე | 11 | 1 | 3 | 7 | 8:22 | -14 | 6 | 6 | 1 | 2 | 3 | 3:8 | -5 | 5 | 5 | 0 | 1 | 4 | 5:14 | -9 | 1 |
| 12 ივერია | 11 | 1 | 2 | 8 | 5:23 | -18 | 5 | 5 | 1 | 2 | 2 | 4:6 | -2 | 5 | 6 | 0 | 0 | 6 | 1:17 | -16 | 0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თქვენს წასვლას და ჩვენს მოსვლას...



## ბლაჟევიჩი პოლიტიკამ შეიწირა

ვის არ ახსოვს, ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატის დროს როგორ ამაყად იჯდა სათადარიგოთა სკამზე მიროსლავ ბლაჟევიჩი, რომელსაც ფრანგი ჟანდარმის ქუდი ეხურა. ჰქონდა კიდეც სიამაყის საფუძველი — მან ხომ ხორვატია მესამე ადგილზე გაიყვანა.

საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ორი წელი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში ხორვატულ ფეხბურთში ბევრი რამ შეიცვალა და არცთუ სასიკეთოდ. ბლაჟევიჩმა ხორვატია ევრო 2000-ზე ვერ გაიყვანა — ბალკანელთათვის ეს ტრაგედია იყო.

დაიწყო ახალი შესარჩევი ეტაპი 2002 წელს კორეა-იაპონიაში მოსახვედრად. პირველ ტურში ხორვატები ბელგიას ესტუმრნენ და 0:0 ითამაშეს. მეორე ტურში, როცა იტალია საქართველოს მასპინძლობდა, ხორვატია სქოთებს ეჯიბრებოდა — ისევ ფრე, ოღონდ 1:1. ორი მატჩი, ორი ფრე. ზოგისთვის ეგებ ურიგო შედეგი არ იყოს, მაგრამ არა ხორვატთათვის — გუნდი ხომ მსოფლიოს ჩემპიონატის პრიზიორია.

გასულ კვირაში უკმაყოფილებამ პიკს მიაღწია. კრიტიკა იქამდეც იყო, მაგრამ არასდროს დასმულა კითხვა: გვჭირდება ბლაჟევიჩი? ბოლო დღეებმა ამ კითხვას ცალსახად უპასუხა: ხორვატიას ბლაჟევიჩი აღარ სჭირდება.

„პრესამ ყველაფერი იღონა ჩემი ავტორიტეტის შესალახად. სამწუხაროდ, დღეს არ ვარ ისე ძლიერი, რომ შემოტევას წინააღმდეგობა გავუწიო, რის გამოც ერთადერთი გამოსავალი მრჩება — უნდა წავიდე“ — თქვა ბლაჟევიჩმა და გადადგა.

...ბლაჟევიჩის გადადგომას მხოლოდ საფეხბურთო საფუძველი როდი აქვს. რამდენიმე კვირის წინ მწვრთნელმა ფეხბურთელებს სთხოვა, ხელი მოეწერათ პეტიციაზე, რომელშიც ხორვატიის პრეზიდენტ შტიპე მესიჩს სთხოვდნენ, არ მოეხსნა ხორვატიის არმიის რამდენიმე გენერალი. ამბობენ, ბლაჟევიჩის წასვლაში პოლიტიკაც ურევიაო.

## ხავიერ უიღბლო

** შავი** მაგიაა ჩარეული თუ უფრო მიწიერი მიზეზის ბრალია, აბა, რა გითხრათ, მაგრამ ფაქტია — ხავიერ კლემენტეს გაწვრთნილი გუნდების საქმე უკან-უკან მიდის.

ჯერ იყო, ესპანეთის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატზე ჯგუფში ჩარჩა. კლემენტეს ის წარუმატებლობა აპატიეს — ბოლოს და ბოლოს, ესპანეთი „სასიკვდილოდ“ წოდებულ ჯგუფში იყო მოხვედრილი. მერე კლემენტეს ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის პირველ მატჩში კვიპროსთან დამარცხდა და მოთმინების ფიალა აივსო — მოხსნეს.

ბასკი ბასკურმა კლუბმა შეიფარა. ხეირი? არანაირი: „სოსიედადი“ წინა სეზონში მხოლოდ მე-14 ადგილს დასჯერდა. ესაც აპატიეს. დაიწყო ახალი სეზონი, ჩატარდა ექვსი ტური. სადაა „სოსიედადი?“ არცთუ საპატიო მე-18 ადგილზე და თან 18 გაშვებული გოლით. სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ ამ 18-დან 6 „სოსიედადს“ „ბარსელონამ“ გაუტანა. მაგრამ არც ესაა მაინცდამაინც მყარი არგუმენტი კლემენტეს გასამართლებლად. სანსებასტიანელები 1968 წლის მერე („რეალთან“ 1:5) ასე არ განადგურებულან, ხოლო „ბარსელონასაც“ რა ხანია, ექვსი უპასუხო გოლი არავისთვის შეუგდია. კარგი, „ბარსელონას“ თავი დავანებოთ, გასულ კვირას „რაიო ვალეკანოსთან“ 1:4 რაღა იყო?

ხავიერ კლემენტე გაათავისუფლეს. კლუბის პრეზიდენტმა ლუის ურანგამ მოკლე, დიპლომატიური განცხადება გააკეთა: „კლუბი მადლობას უხდის ხავიერ კლემენტეს გაწეული მუშაობისთვის და შემდგომ წარმატებებს უსურვებს“.

„მე ბებერი ძაღლივით ვარ, არაფერი მაკვირვებს — თქვა კლემენტემ — „რაიოსთან“ წაგებისთანავე მივხვდი, რომ გუნდიდან გამიშვებდნენ და ასეც მოხდა. ფეხბურთში ხომ ყოველთვის ასე ხდება — ცუდი თამაში მწვრთნელს ბრალდება“.

ბოლოს დავუმატოთ, რომ ხავიერ კლემენტეს უიღბლობა რამდენიმე წელია, დასჩემდა, თორემ ადრე დიდი წარმატებებისთვის მიუღწევია — 80-იან წლებში პრიმერადივიზიონი ბილბაოს „ატლეტიკს“ ზედიზედ ორჯერ მოაგებინა.

## ერთი ნებით, ორი ძალით

**ბოლო** ორ დღეში ორმა ბრაზილიურმა კლუბმა გაათავისუფლა მწვრთნელი, ერთიც თავისი ნებით წავიდა.

„სანტოსიდან“ გაუშვეს გაბა, რომელსაც მეორეადგილოსან „გოიაშთან“ წაგება არ აპატიეს, თუმცა მწვრთნელის მოკვეთის უფრო მართებული მიზეზი „სანტოსის“ მე-13 ადგილზე ყოფნა უნდა იყოს. დადის ხმები, რომ პელეს ოდინდელი კლუბის თავკაცად იმ სპეციალისტს დანიშნავენ, რომელზეც ვთქვით, თავისი ნებით წავიდაო. ესაა კარლოს ალბერტო პარეირა, კაცი, რომელმაც 1994 წელს ბრაზილია მეოთხედ გახადა მსოფლიოს ჩემპიონი.

პარეირას ბოლო სამუშაო ადგილი ბელუ ორიზონტის „ატლეტიკო მინეირო“ იყო, წასვლის მიზეზი კი კლუბის ხელმძღვანელობის მიერ დანაპირების შეუსრულებლობა. „როცა კლუბი ჩავიბარე — ამბობს პარეირა — პრეზიდენტი მეუბნებოდა, ახალ ფეხბურთელებს ვიყიდი, ხელფასებს დროზე დავარიგებ და საერთოდ, კლუბში არსებულ ყველა პრობლემას მოვაგვარებო. არაფერი შეუსრულებია.“

აღსანიშნავია, რომ პარეირა, ბორა მილუტინოვიჩის მსგავსად, მსოფლიოს ჩემპიონატებზე ოთხ სხვადასხვა ნაკრებს წვრთნიდა: ქუვეითს — 1982 წელს, არაბთა გაერთიანებულ საამიროებს — 1990-ში, საუდის არაბეთს — ორი წლის წინ, ბრაზილიაზე კი უკვე ვთქვით.

ამასობაში კი „ფლამენგოში“ მარიო ზაგალო მიიწვიეს. ძველი მწვრთნელის, კარლინიუშის თაოსნობით „ფლამენგომ“ ზედიზედ ხუთი თამაში წააგო და მისი შეცვლა სავსებით ბუნებრივია. შეგახსენებთ, რომ ჟოაო ავლანჟის თასის გათამაშების მეორე ეტაპზე ბრაზილიის პირველი დივიზიონის 12 საუკეთესო გუნდი გადის, „ფლამენგო“ კი, ლიდერობას ვინ ჩივის, მე-16 ადგილზეა.

ზაგალოს ბიოგრაფიას თუ გავიხსენებთ, მისი „ფლამენგოში“ მისვლა რიო დე ჟანეიროული კლუბისთვის შველას უნდა ნიშნავდეს — სხვა რომ არაფერი, კაცი სამგზის მსოფლიოს ჩემპიონია.

მარიო ჟორჟე ლობო ზაგალომ ორ მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშა (1958 და 1962 წლებში) და ორჯერვე ჩემპიონი გახდა. ამასთანავე, 1958 წლის ჩემპიონატის ფინალში მან გოლიც გაიტანა. ზაგალო-მწვრთნელმა ბრაზილიის ნაკრები სამ მსოფლიოს ჩემპიონატზე გაიყვანა და შედეგიც ჩინებული აქვს — 1970 წელს ჩემპიონი, 1974-ში მეოთხე ადგილი, 1998-ში — ფინალისტი.

აღსანიშნავია, რომ მარიო ზაგალო არც „ფლამენგოშია“ უცხო. ამ კლუბში ეს მისი მესამე მისვლაა. „ფლამენგოში პირველად 16 წლის წინ მივედი და მიხარია, რომ ისევ აქ ვარ“ — ამბობს ზაგალო. გუნდში მისი დაბრუნება არცთუ შორეული წარსულის ამბავია: საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატის მერე „ფლამენგოში“ მისული მწვრთნელი გასულ დეკემბერში პაულუ სეზარ კარპეჯანით შეცვალეს, რომელმაც ამ პოსტზე მხოლოდ 19 მატჩის გამართვა მოასწრო და „ვასკუ და გამასთან“ 1:5 წაგების შემდეგ მოხსნეს. კარპეჯანი კარლინიუშმა შეცვალა, ის თავის მხრივ ისევ ზაგალომ. წრე შეიკრა — „ფლამენგოში“ ყველაფერი თავიდან იწყება.

**გიორგი დარჯანია**

## ჩელსი — ბაბილონის გოდოლი



ინგლისურზე ხომ არ მაგვიანდება?

**„ჩელსიში“** ახალი მწვრთნელი მივიდა. თითქოს სიტუაცია უკეთესობისკენ უნდა შეიცვალოს, მაგრამ... რანიერის ხელში ლონდონურმა კლუბმა ხუთი შეხვედრიდან მხოლოდ ორი მოიგო. აბა, რა გამოდის, რა აზრი ჰქონდა ჯანლუკა ვიალის გაშვებას? ან იქნებ კლაუდიო რანიერია არაკომპეტენტური? რანიერის გამოუცდელობას ვერ დავწამებთ. უფრო მართებული „ჩელსის“ ურუგვაელი ლეგიონერის, გუსტავო პოიეტის სიტყვები უნდა იყოს: „რანიერიმ ინგლისური არ იცის, ფეხბურთელებმა კი ესპანური და იტალიური. ჰოდა, როგორ უნდა გაუგონ ერთმანეთს?“

პოიეტის ეს სიტყვები უფრო დეტალურად გავარჩიოთ. რანიერის მშობლიური ენა იტალიურია, რომელიც მხოლოდ მარსელ დესაის ესმის (ცხადია, იტალიელთა გარდა), რაკი წლების მანძილზე აპენინებზე თამაშობდა. ესპანურად მოლაპარაკენი უფრო ბევრნი არიან: ესპანელი ალბერტ ფერერი, გუსტავო პოიეტი და ესპანური კლუბებიდან გადმოსულები — ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკი, უინსტონ ბოგარდი და სლავიშა იოკანოვიჩი. სხვებს, მათ შორის ჩვენს რატი ალექსიძეს, კლაუდიო რანიერი ვერაფერს აგებინებს.

ისევ პოიეტს მოვუსმინოთ: „ვარჯიშის დროს იძულებული ვარ, თარჯიმნობა შევითავსო და მწვრთნელის იტალიურ-ესპანური ნარევი თანაგუნდელებს გავაგებინო. ძალიან რთული საქმეა. თან, მარტო სიტყვების თარგმნა ხომ არ კმარა? აი, მაგალითად: მიუბრუნდება რანიერი რომელიმე ფეხბურთელს და უხსნის, რომ „მან რაღაც უნდა გააკეთოს, თუ არა, ცუდ დღეში ჩავვარდებით“ და ასე შემდეგ. აქ დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ინტონაციასაც, რომლითაც მწვრთნელი ამას ამბობს, მე კი მხოლოდ მშრალად ვთარგმნი, რაც საკმარისი არაა. ვიალის დროს ამგვარი პრობლემა არ გვქონია. ის ინგლისურად თავისუფლად ლაპარაკობდა“.

ენობრივი ბარიერის პრობლემა, ცხადია, უპირველესად თავად რანიერის აწუხებს: „ძალიან მიჭირს. ინგლისურად სულ რამდენიმე სიტყვა ვიცი, მაგრამ არა უშავს, ყოველდღიურად ორ საათს ვმეცადინეობ“.

იმედი ვიქონიოთ, რომ კლაუდიო რანიერი ენას მალე ისწავლის, „ჩელსი“ კი — ათამაშდება.

**გიორგი დარჯანია**



I ვარიანტი: არაფერი გამიგია. II ვარიანტი: ყურებზე ხახვი არ დამაჭრათ!

## დამნაშავეა დელ ბოსკე

### რატომ არ ჩაიშალა „ბარსელონა“ — „რეალი“?

**ესპანეთის** ფეხბურთის ფედერაციაში განაცხადეს, რომ სადისციპლინო კომიტეტი ამ კვირაში „ბარსელონა“ — „რეალის“ მატჩის დროს მომხდარ ინციდენტებზე იმსჯელებს. თუ გავიხსენებთ, რამდენი ბოთლი, სანთებელა და მობილური ტელეფონიც კი ისროლეს ბარსელონელმა ქომაგებმა მინდორზე, უნდა ველოდოთ, რომ კატალონიურ კლუბს სოლიდურ ჯარიმას დააკისრებენ. ისე, რაა ხუან გასპარისთვის რამდენიმე ათეული ათასი დოლარი, როცა მისმა გუნდმა „რეალს“ მოუგო.

თუმცა ამბობენ, სასჯელი არც ისე მკაცრი იქნებაო, რასაც მატჩის არბიტრის, ალფონსო პერეს ბურულის მოხსენებითი ბარათით ხსნიან. მსაჯი მატჩის ოქმში წერს, ტრიბუნებიდან უცხო საგნებს კი ისროდნენ, მაგრამ არც ერთი ფეხბურთელი არ დაშავებულა და მატჩის მსვლელობაც არ შეფერხებულაო. გეხსომებათ, ფერნანდო იერო ამაოდ მიუთითებდა ბურულს მოედანზე ნასროლ ბოთლებზე.

მადრიდში დაბრუნებულმა ვისენტე დელ ბოსკემ მსაჯის მოხსენებითი ბარათის პასუხად თქვა: „მატჩის წინ ფიგუს ვუთხარი, კუთხურები არ ჩაეწოდებინა. ვიცოდი, რაღაც-რაღაცეების სროლას რომ დაუწყებდნენ და ვშიშობდი, არ დაშავებულიყო. აბა, წარმოიდგინეთ, თავში ბოთლი რომ მოხვედროდა. ვინ იცის, ეგებ შეხვედრა საერთოდ ჩაშლილიყო“.

„ძალიანაც კარგი, თუ ჩაიშლებოდა! — აღშფოთებას ვერ მალავს მადრიდული პრესა — პლასტმასის ბოთლი ფიგუს ვერაფერს დააკლებდა და თუ ვინმე დაზარალდებოდა, მხოლოდ „ბარსელონა“. ჩვენც ეს არ გვინდოდა?“

საქმის ამგვარ შემობრუნებას დელ ბოსკე არ ელოდა და თავის მართლება მოუხდა: „ნუთუ გგონიათ, თამაში იმიტომ წავაგეთ, რომ ფიგუ კუთხურებს არ აწვდიდა? ნუთუ იმაში მადანაშაულებთ, რომ ყველაფერი ვიღონე, რათა ჩემი ფეხბურთელებისთვის გაუსაძლისი ატმოსფერო ონდავ შემემსუბუქებინა?“

მსაჯის მოხსენებით ბარათს გამოეხმაურა რობერტო კარლოსიც: „ვერ გამიგია, აუცილებლად თავი უნდა გაეხეთქათ ჩემთვის? რომ ამბობს, ბოთლების სროლას მატჩის შედეგზე ზეგავლენა არ მოუხდენიაო, ბურთის ნაცვლად ტრიბუნებს რომ ვუყურებდი, თავში არ მომხვდეს-მეთქი, არაფერს ნიშნავს? დარწმუნებული ვარ, მსგავსი ამბები რომელიმე სხვა სტადიონზე რომ მოხდარიყო, გრძელვადიან დისკვალიფიკაციას მისცემდნენ, მაგრამ „ბარსელონას“ და „კამპ ნოუს“, საქმეს ისეთი პირი უჩანს, ვერ გაუბედავენ. მაქსიმუმ რამდენიმე ათასით დააჯარიმონ. საერთოდ კი ბარსელონას ქომაგებს ფეხბურთისა არაფერი ესმით — კარგი ფეხბურთის ყურებას ლუიშის ლანძღვა ამჯობინეს“.

საინტერესო უნდა იყოს „რეალის“ საპატიო პრეზიდენტის, ალფრედო დი სტეფანოს მოსაზრებაც. მასაც აქვს პრეტენზია ვისენტე დელ ბოსკეს მიმართ, ოღონდ მადრიდელი ჟურნალისტებისგან რამდენადმე განსხვავებული: „დელ ბოსკე შეცდა, მას არ უნდა გაეყვანა ფიგუ მინდორზე. მეტიც, საერთოდ არ უნდა წაეყვანა ბარსელონაში. მაშინ ჩვენი ფეხბურთელებიც უფრო თავისუფლად ითამაშებდნენ და იქაურ გულშემატკივრებსაც პირჩალაგამოვლებულებს დავტოვებდით“.

**გიორგი დარჯანია**

## უზაპოვიჩოდ

CHAMPIONS LEAGUE

**ბერძნული** „ოლიმპიაკოსის“ ქომაგებს კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ: ესპანური „ვალენსია“ პირეოსს ჩემპიონთა ლიგის C ჯგუფის მატჩის ჩასატარებლად სლოვენიელი ზაპოვიჩის გარეშე ეწვია.

შარშან ამ დროს ზლატკო „ოლიმპიაკოსის“ გულშემატკივრების კერპი იყო. სლოვენიელ ნახევარმცველს ბერძნები ეთაყვანებოდნენ, ჰქონდათ კიდეც მიზეზი — ზაპოვიჩს ამ კლუბის მაისურით ბევრი გოლი გაჰქონდა. სეზონის ბოლოს კი ვითარება შეიცვალა. ფეხბურთელსა და კლუბის მთავარ მწვრთნელ ალბერტო ბიგონს შორის შავმა კატამ გაირბინა. ამასობაში ევროპის ჩემპიონატიც დაიწყო და ზაპოვიჩმა ჩინებული თამაშით ბევრს მოაწონა თავი. „ვალენსიასაც“ მაშინ მოუვიდა თვალში. სლოვენიელს ბევრი არ უფიქრია — „ოლიმპიაკოსი“ ესპანურ კლუბში გაცვალა.

გასულ კვირაში ზაპოვიჩის მობილურ ტელეფონზე რამდენიმე ანონიმური ზარი გაისმა — პირეოსში „ოლიმპიაკოსის“ წინააღმდეგ სათამაშოდ თუ ჩამოხვალ, უკან ცოცხალი ვერ დაბრუნდებიო, ემუქრებოდნენ ფეხბურთელს.

„კუპერმა მკითხა, რას ვფიქრობდი ამასთან დაკავშირებით. ვუთხარი, რომ ეს ამბავი არ მაღელვებს და „ოლიმპიაკოსის“ წინააღმდეგ თამაში მინდა“ — ზაპოვიჩის ამ სიტყვებს შაბათის „სარბიელშიც“ წაიკითხავდით. ფეხბურთელის ასეთი დამოკიდებულების მიუხედავად, „ვალენსიის“ ხელმძღვანელობა მაინც შეშფოთებული იყო, სლოვენიელისთვის პირადი მცველების დაქირავებასაც აპირებდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც მუქარა უფრო გაძლიერდა, ახალი გადაწყვეტილება მიიღო: ზაპოვიჩი ესპანეთში დარჩა.

სიფრთხილეს თავი არ სტკივაო, ხომ გაგიგიათ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აი, იუბილე!

## ისევ დაუმზე და კოკაინზე



**დიეგო მარადონა** კოკაინის მომხმარებელია, ავსტრიელი მოთხილამურე ანდი გოლდბერგერიც აქტიურად ეტანება ნარკოტიკებს, ნბა-ს კალათბურთელებზე ხომ აღარაფერს ვამბობთ. აგერ გაზეთი „ნიუ იორკ თაიმზი" ამტკიცებს, რომ მათი 70 პროცენტი მარიხუანის გარეშე ერთი დღეც ვერ ძლებს. რა უშავდებათ ამით? ერთი შეხედვით, არც არაფერი. მარადონა ახლა კუბაშია, ჰავანის კლინიკაში ინკურნება, ამავდროულად კი არგენტინის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ხულიო გრონდონა ეროვნული ნაკრების ერთ-ერთ მწვრთნელობას სთავაზობს. ამერიკელი კალათბურთელები კი თავიანთ საქმეს მოედანზე ჩინებულად აკეთებენ, სანაცვლოდ მილიონებს იჯიბავენ, თანაც დიდი პოპულარობითაც სარგებლობენ.

მაშ, კრისტოფ დაუმმა რაღა დააშავა? კაცს ფლორიდაში გასაქცევად გაუხადეს საქმე. ეგ კი არა, გერმანიის პროკურატურა იმაზე მსჯელობს, ქვეყნიდან გაქცევის მოტივით სისხლის სამართლის საქმე ხომ არ აღგვეძრაო. დაუმზე სასამართლოში საჩივარია შესული, „ლევერკუზენის" მწვრთნელყოფილს შემოსავლის მალვასა და სხვა ფინანსურ მაქინაციებში დებენ ბრალს. ჰოდა, გერმანელი სამართალდამცავებიც ეჭვობენ, დაუმი სინამდვილეში ამ ამბავს ხომ არ გაექცაო.

გუშინ გერმანიაში კიდევ ერთი სკანდალური ინტერვიუ გამოქვეყნდა. უფრო სწორად, ისეთი ადამიანი გამოჩნდა, ვინც დაუმის ნარკომანობას ამტკიცებს, თანაც ამბობს, თუ საჭირო იქნება, მოწმედაც წამოვალო. ეს კაცი ყოფილი ფეხბურთელი ჯიმი ჰარტვიგია, რომელსაც ერთ დროს დაუმის მხარდამხარ უთამაშია და მისი მეგობარიც ყოფილა (აი, მეგობარი!). ჰოდა, ჰარტვიგმა ინტერვიუ მისცა „ბერლინერ ცაიტუნგს", სადაც ამბობს, დაუმის ამბები სულ ზეპირად ვიცი, ჩემი თვალით მაქვს ნანახი, კოკაინს როგორ ყნოსავდა, კარგად მახსოვს, როდის იყო ეს და რომელ სასტუმროშიო. იმასაც აღიარებს, კოკაინს მეც მაგრად ვეტრფოდიო.

ჰარტვიგმა სხვაც ბევრი თქვა, კერძოდ:

„მინდა დაუმს მივმართო: კრისტოფ, ტყუილად თავის მართლებას, ჯობს, ადგე და ყველაფერი აღიარო. თქვი, რომ კოკაინს ეტანები. მერე რა, ეგ ხომ ყველას გაუსინჯავს, მათ შორის მეც. შენი საქციელით თავს იტყუებ.

გერმანიის საფეხბურთო კავშირმა რომ ბუნდესლიგის კლუბებში გამაგზავნოს, ვისაც უნდა დავენიძლავები, მინიმუმ 20-30 ისეთ ფეხბურთელს ვიპოვი, ვინც კოკაინით სარგებლობს. რატომ ვხუჭავთ თვალს და ვემალებით რეალობას, ჩემთვის გაუგებარია. მე შემიძლია, მათ დავეხმარო. ამას სიამოვნებით გავაკეთებ, რადგან ვიცი, ეს რა სენია, მე ხომ ორი წელი ვიყავი მაგით დაავადებული. ადამიანი თუ ამ სიგიჟეს დროზე არ მიხედავს, ისევე დაენგრევა კარიერა, როგორც დაუმს. იგი თვითონვეა ყველაფერში დამნაშავე. მინდა, ჩემი სიტყვები ყველასთვის გაფრთხილება იყოს.

გაოცებული ვარ, როგორ გაიკეთა დაუმმა ანალიზი. ეს ამბავი რომ შევიტყვე, ჩემს მეუღლეს მაშინვე ვუთხარი, ნუთუ მისი გონება მთლიანად კოკაინით გაიჟღინთა, ამას რას აკეთებსმეთქი? აი, შედეგი".

მართალია, დაუმის ამერიკაში გამგზავრებას პროკურატურა ეჭვის თვალით უყურებს, მაგრამ როგორც გაირკვა, ქვეყნიდან წასვლა კრისტოფისთვის მეგობრებს და კეთილისმსურველებს ურჩევიათ, რომლებიც მწვრთნელს თურმე კიდევ ბევრი შემორჩენია.

„გაეცალე, კრისტოფ, აქაურობას" — უთქვამს დაუმისთვის „ლევერკუზენის" მენეჯერსა და მის დიდი ხნის მეგობარ რაინერ კალმუნდს. მწვრთნელმაც დაუჯერა. თანაც წასასვლელად ამერიკა ირჩია, ქვეყანა, სადაც ნაკლებად იცნობენ (თუ საერთოდ იცნობენ). დაუმს დახმარება ყოფილმა მეუღლემ, ურსულამაც შესთავაზა, რომელსაც ქმარი მას შემდეგ გაეყარა, რაც მან მალიორკაზე, ერთ-ერთ ღამის კლუბში მომავალი მეგობარი გოგონა, ანჟელიკა კამი გაიცნო. კამი ბარში მუშაობდა — მომღერალ-მოცეკვავე იყო. დაუმს დაუნახავს თუ არა სცენაზე, აღფრთოვანებული მისულა და უთქვამს — მინდა, ჩემი გახდეო. გახდა კიდეც, ოღონდ ეს ამბავი ჰერ კრისტოფს ძალიან ძვირად დაუჯდა. მეუღლის წართმევით გამწარებულმა კამის ქმარმა იოხენ კრესმა 26 სექტემბერს ხმამაღლა განაცხადა, დაუმი უძრავი ქონების მაქინაციაშია გარეულიო. მწვრთნელის პირადი ცხოვრების გამოძიებაც ამის შემდეგ დაიწყო. შედეგს კი თავადაც კარგად ხედავთ.

ვინ დარჩა გამარჯვებული ამ სკანდალში? არავინ. დაუმის მდგომარეობაში ყოფნას მტერს არ უსურვებს კაცი. იმასაც ამბობენ, იგი სერიოზულად არის ავად, მოკლე ხანში ექვსი კილო დაიკლოო. არც მთავარი ბრალმდებელი, „ბაიერნის" მენეჯერი ული ჰიონესი გრძნობს თავს მოგებულად. იგი ანალიზის პასუხის გამოცხადების შემდეგ საერთოდ გაქრა სცენიდან, ყოველგვარ კომენტარზე უარს ამბობს, დუმილს არჩევს.

დაუმის ჩამოცილებით რუდი ფიოლერს გზა კი გაეხსნა, მაგრამ ისიც გაორებულია. არ იცის, ნაკრების მწვრთნელად დარჩეს თუ „ლევერკუზენი" ამჯობინოს. ორივე მხარე თავისკენ ექაჩება. კალმუნდმა, ფიოლერი გუნდს სჭირდება და არასდიდებით არ გავუშვებთო. იგივე აზრზეა გერმანიის საფეხბურთო კავშირის ვიცე-პრეზიდენტი ფრანც ბეკენბაუერი. მან გუშინაც თქვა ამის თაობაზე. გადაწყვეტილი ჯერჯერობით არაფერია, თუმცა უფრო სარწმუნოდ ფიოლერი-სკიბეს დუეტის „ლევერკუზენში" მისვლასა და ნაკრების იუპ ჰაინკესისთვის ჩაბარებას თვლიან.



**კრისტოფ დაუმის უსიამოვნებები ანჟელიკა კამის გაცნობით დაიწყო**

გუშინ გავრცელებულ კიდევ ერთ ამბავზეც ვთქვათ. გერმანიის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტი ოფიციალურად ეგიდიუს ბრაუნია, მაგრამ იგი ავადაა, თანაც ისე, ეგებ სამსახურს ვერც დაუბრუნდეს. მის მოვალეობას კავშირის ვიცე-პრეზიდენტი გერჰარდ მაიერ-ფორფელდერი ასრულებს. ჰოდა, გუშინ მის წინააღმდეგაც აღიმაღლეს ხმა — კრისტოფ დაუმს უჭერდი მხარს და შენ რა თანამდებობაზე გასაჩერებელი ხარო. პაულ ბრაიტნერმა თქვა, ამ საქმეს წერტილი მაშინ დაესმება, მაიერ-ფოლფელდერიც რომ გადადგებაო. პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელიც თურმე დიდ უარზე არ ყოფილა, ოღონდ ახალი სკანდალი ნუ აგორდება და წავალო. და იცით, ვის ასახელებენ მის შემცვლელად? ვის და ფრანც ბეკენბაუერის მარჯვენა ხელს, წარსულში ასევე სახელგანთქმულ ფეხბურთელ კარლ-ჰაინც რუმენიგეს, რომელიც ამჟამად „ბაიერნის" ვიცე-პრეზიდენტია (პრეზიდენტი თავად ბეკენბაუერია). ნეტავ, რას ნიშნავს ეს?

ბოლოს კი ისევ დაუმს დავუბრუნდეთ. იცით, რა დღე იყო გუშინ? 24 ოქტომბერი კრისტოფ დაუმის დაბადების დღეა. გუშინ იგი 47 წლის გახდა, მაგრამ რა ეზეიმებოდა საწყალს.

**და მაინც:**

**„დიდი იმედი მაქვს, კრისტოფი, როგორც ადამიანი, გამოვა ამ მდგომარეობიდან. ამისთვის მას დახმარება სჭირდება. მზად ვარ, დავეხმარო" — თქვა ოტმარ ჰიცფელდმა, „ბაიერნის" მწვრთნელმა. მეტიას ორი სიტყვა მათიას ზამერმაც შეაწია: „დაუმი ჩემი მეგობარი იყო, არის და იქნება"...**

**ვანო ოქრობირიძე**



**კრისტოფ დაუმი ჟურნალისტებს ფლორიდის სამხრეთში მდებარე ამ ვილაში ემალება**

## უეფას თასი. II ეტაპი. პირველი მატჩი. 23 ოქტომბერი

UEFA CUP

### ირაკლისი (საბერძნეთი) 1:3 კაიზერსლაუტერნი (გერმანია)

0:1 კლოსე (7), 0:2 ხრისტოვი (35), 1:2 კონსტანტინუ (47პ), 1:3 ტავლარიდისი (64ს.კ)

**ანდრეას ბრემეს** ხელმძღვანელობით „კაიზერსლაუტერნმა" ორშაბათს მესამე მატჩი გამართა და კვლავ მოიგო. 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში გადამწყვეტი გოლის ავტორს ევროტურნირებზეც წარმატებული დებიუტი გამოუვიდა. გერმანულმა კლუბმა ამ გამარჯვებით შემდგომ ეტაპზე გასვლის საკითხიც, ფაქტობრივად, გადაწყვიტა.

სტადიონზე მისულ 12 ათას ქომაგს მატჩამდე გულის სიღრმეში პატარა იმედი ულვიოდა (ჩვენ გვეიმედებოდა იტალიასთან და ბერძნების რა გასაკვირია), იქნებ სასწაული მოხდესო...

სასწაული არ მოხდა. სტუმრებმა დებიუტშივე ისე ააწყვეს თამაში, ცხადი გახდა, „ირაკლისს" საქმე შავად ჰქონდა. გოლიც მალე გავიდა: მე-7 წუთი იყო, როცა მიროსლავ კლოსე პარასკევს „ვერდერის" კარში გატანილ პირველ ბუნდესლიგურ ბურთს არ დასჯერდა და მარიო ბასლერის ჩაწოდებული თავით ბერძნების კარში გაგზავნა. სხვათა შორის, კლოსემ „კაიზერსლაუტერნის" ყოფილ მეკარეს, ანდრეას რაინკეს გაუტანა, რომელიც ბერძნულ კლუბში ამ ზაფხულს გადავიდა. ანგარიშში სხვაობა პირველ ნახევარშივე გაორდა, როცა ხრისტოვმა საჯარიმოს მოსადგომებიდან ძლიერად და ზუსტად დაარტყა.

პირველ ტაიმში მასპინძლებს ერთი მომენტიც არ შეუქმნიათ, შესვენების შემდეგ კი თავიდანვე შეუტიეს და შედეგიანადაც. სტუმართა მეკარე გეორგ კოხი საჯარიმოში კონსტანტინუს ფეხებში ჩაუვარდა და წააქცია. პენალტი თავად კონსტანტინუმ გამოიყენა. ბერძნების „შტურმი" ამით დასრულდა, თუმცა ერთი გოლის გატანა მათ კიდევ შეძლეს: ბასლერის ჯარიმიდან ჩაწოდებული ტავლარიდისმა საკუთარ კარში ჩაჭრა — 1:3.

„გუნდის პროგრესი აშკარაა. ძალიან კმაყოფილი ვარ, რადგან ბიჭები დავალებას ზედმიწევნით ასრულებენ. მთავარია, კვლავ ასე გავაგრძელოთ" — თქვა ბრემემ ნამატჩევს.

## ინგლისი

### X ტური

**საუთჰემპტონი 0:2 მანჩესტერ სიტი**

0:1 დიკოვი (38), 0:2 ტიატო (90)

საუთჰემპტონი: პ. ჯონსი, დოდი, ლუნდეკვამი, ლე ტისიე (დევისი 46), ოკლი (მარსდენი 46), რიპლი (ბიტი 72), პახარსი, ბრიჯი, ელ ხალეჯი, კაჩლოული, სოლტვედტი

მწვრთნელი: გლენ ჰოდლი

მანჩესტერ სიტი: ვაივერი, უიტლი, ჰაალანდი, ვიკენსი, პრიორი, ჰაუე, რიჩი, დანი, ვანჩოპე (გოტერი 68), დიკოვი, ტიატო

მწვრთნელი: ჯო როილი

გაფრთხილება: ელ ხალეჯი, ჰაუე, დიკოვი

15 056 მაყურებელი

**ამ მოგებით** სტუმრები ერთბაშად ოთხი საფეხურით აღზევდნენ და „არსენალთან" სტუმრობის წინ ხასიათი გამოიკეთეს. ანგარიში შოტლანდიელმა პოლ დიკოვმა გახსნა კარიერაში საიუბილეო, 50-ე გოლით, ბოლო წუთზე კი ავსტრალიელმა მცველმა დენი ტიატომ ულამაზესი დარტყმით გლენ ჰოდლის იმედი საბოლოოდ მოსპო. ისე, „საუთჰემპტონს" ჰოდლის მისვლამდეც უჭირდა „სიტისთან" შინ თამაში და ბოლო 6 მატჩია, მანჩესტერელები ვერ დაუმარცხებია.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 10 | 6 | 3 | 1 | 26:8 | 21 |
| არსენალი | 10 | 6 | 3 | 1 | 17:10 | 21 |
| ლივერპული | 10 | 5 | 3 | 2 | 17:13 | 18 |
| ნიუკასლი | 10 | 5 | 1 | 4 | 11:9 | 16 |
| ლესტერი | 10 | 4 | 4 | 2 | 7:6 | 16 |
| იფსვიჩი | 10 | 4 | 3 | 3 | 14:11 | 15 |
| ჩარლტონი | 10 | 4 | 3 | 3 | 16:16 | 15 |
| ტოტენჰემი | 10 | 4 | 2 | 4 | 15:14 | 14 |
| ლიდსი | 9 | 4 | 2 | 3 | 14:13 | 14 |
| სიტი | 10 | 4 | 2 | 4 | 14:14 | 14 |
| ჩელსი | 10 | 3 | 4 | 3 | 19:14 | 13 |
| ასტონ ვილა | 9 | 3 | 4 | 2 | 11:8 | 13 |
| სანდერლენდი | 10 | 3 | 4 | 3 | 8:11 | 13 |
| ევერტონი | 10 | 3 | 3 | 4 | 13:16 | 12 |
| ქოვენთრი | 10 | 3 | 2 | 5 | 11:21 | 11 |
| მიდლსბრო | 10 | 2 | 4 | 4 | 15:16 | 10 |
| საუთჰემპტონი | 10 | 2 | 4 | 4 | 12:15 | 10 |
| ვესტ ჰემი | 10 | 1 | 5 | 4 | 12:14 | 8 |
| ბრედფორდი | 10 | 1 | 3 | 6 | 4:16 | 6 |
| დერბი ქაუნთი | 10 | 0 | 5 | 5 | 15:26 | 5 |

## იუგოსლავია

მე-9 ტური: ჰაიდუკი — ცრვენა ზვეზდა 0:0; პარტიზანი — ზეტა 4:1; რადნიჩკი (ნიში) — მილიციონარი 1:0; ოფკ — სუტიესკა 3:0; ვოივოდინა — ჩუკარიჩკი 1:0; ბუდუჩნოსტი — რადნიჩკი (კრაგუევაცი) 1:2; ობილიჩი — ჟელეზნიკი 3:1; სარტიდი — ნაპრედაკი 3:0; ზემუნი — რადი 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ობილიჩი | 9 | 7 | 0 | 2 | 16:10 | 21 |
| ცრვენა ზვეზდა | 8 | 6 | 2 | 0 | 17:3 | 20 |
| პარტიზანი | 8 | 6 | 0 | 2 | 21:8 | 18 |
| ჰაიდუკი | 9 | 4 | 2 | 3 | 19:8 | 14 |
| ვოივოდინა | 9 | 4 | 2 | 3 | 10:5 | 14 |
| ოფკ | 9 | 4 | 2 | 3 | 12:8 | 14 |
| ჟელეზნიკი | 9 | 4 | 1 | 4 | 14:17 | 13 |
| სარტიდი | 9 | 4 | 1 | 4 | 10:14 | 13 |
| კრაგუევაცი | 9 | 4 | 0 | 5 | 9:16 | 12 |
| ზემუნი | 9 | 2 | 5 | 2 | 9:9 | 11 |
| მილიციონარი | 9 | 3 | 2 | 4 | 8:11 | 11 |
| ჩუკარიჩკი | 9 | 3 | 1 | 5 | 12:12 | 10 |
| ზეტა | 9 | 2 | 4 | 3 | 12:12 | 10 |
| ბუდუჩნოსტი | 9 | 3 | 1 | 5 | 6:9 | 10 |
| რადი | 9 | 3 | 1 | 5 | 10:17 | 10 |
| სუტიესკა | 9 | 3 | 1 | 5 | 9:17 | 10 |
| ნიში | 9 | 2 | 3 | 4 | 9:17 | 9 |
| ნაპრედაკი | 9 | 1 | 2 | 6 | 6:21 | 5 |

## ჩეხეთი

მე-11 ტური: სიგმა — პლზენი 4:0; ტეპლიცე — ბოჰემიანსი 3:0; ბანიკი — ბლშანი 1:1; იაბლონეცი — ბუდეიოვიცე 1:1; პრჟიბრამი — სინოტი 4:1; ბრნო — დრნოვიცე 0:0; სპარტა — ლიბერეცი 4:1; ჟიჟკოვი — სლავია 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 9 | 8 | 0 | 1 | 28:8 | 24 |
| ლიბერეცი | 11 | 7 | 2 | 2 | 21:10 | 23 |
| ტეპლიცე | 10 | 5 | 3 | 2 | 15:10 | 18 |
| სიგმა | 9 | 5 | 2 | 2 | 17:8 | 17 |
| სლავია | 8 | 5 | 2 | 1 | 13:8 | 17 |
| სინოტი | 10 | 4 | 4 | 2 | 17:11 | 16 |
| პრჟიბრამი | 10 | 5 | 1 | 4 | 15:12 | 16 |
| ბოჰემიანსი | 11 | 3 | 6 | 2 | 15:12 | 15 |
| ჟიჟკოვი | 10 | 3 | 2 | 5 | 14:19 | 11 |
| ბანიკი | 11 | 2 | 5 | 4 | 9:16 | 11 |
| ბლშანი | 10 | 2 | 4 | 4 | 10:12 | 10 |
| დრნოვიცე | 11 | 3 | 1 | 7 | 10:17 | 10 |
| ბუდეიოვიცე | 9 | 1 | 4 | 4 | 9:18 | 7 |
| იაბლონეცი | 10 | 1 | 4 | 5 | 9:19 | 7 |
| პლზენი | 11 | 1 | 4 | 6 | 9:26 | 7 |
| ბრნო | 8 | 1 | 2 | 5 | 7:12 | 5 |

## შვედეთი

24-ე ტური: გაის — ჰამარბი 2:4; ნორჩიოპინგი — იორგრიტე 1:1; ფრიოლუნდა — იორებრო 0:4; გიოტებორგი — ტრელებორგი 3:0; სუნდსვალი — ჰაკენი 3:3; ჰელსინგბორგი — ელფსბორგი 1:1; აიკ — ჰალმსტადი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰალმსტადი | 24 | 15 | 4 | 5 | 44:22 | 49 |
| აიკ | 24 | 13 | 4 | 7 | 35:27 | 43 |
| ელფსბორგი | 24 | 13 | 3 | 8 | 42:34 | 42 |
| ჰელსინგბორგი | 24 | 12 | 4 | 8 | 45:29 | 40 |
| გიოტებორგი | 24 | 10 | 8 | 6 | 38:30 | 38 |
| იორგრიტე | 24 | 11 | 4 | 9 | 30:26 | 37 |
| იორებრო | 24 | 9 | 6 | 9 | 41:35 | 33 |
| ჰამარბი | 24 | 9 | 6 | 9 | 32:36 | 33 |
| ნორჩიოპინგი | 24 | 7 | 11 | 6 | 38:27 | 32 |
| ტრელებორგი | 24 | 8 | 8 | 8 | 25:27 | 32 |
| სუნდსვალი | 24 | 6 | 8 | 10 | 31:38 | 26 |
| ჰაკენი | 24 | 4 | 12 | 8 | 36:44 | 24 |
| გაის | 24 | 3 | 8 | 13 | 23:41 | 17 |
| ფრიოლუნდა | 24 | 2 | 6 | 16 | 15:59 | 12 |

## თურქეთი

მე-9 ტური: ბეშიქთაში — გალათასარაი 3:1; ისთანბული — სამსუნი 0:0; დენიზლი — ქოჯაელი 2:1; გენჩლერბირლიგი — ბურსა 0:1; იოზგათი — ტრაბზონი 1:1; რიზე — ანკარაგიუჯიუ 1:1; იეთფა — ერზურუმი 1:1; ადანა — ფენერბაჰჩე 1:1; ანთალია — გაზიანთეფი 2:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტრაბზონი | 9 | 6 | 2 | 1 | 17:6 | 20 |
| გალათასარაი | 9 | 6 | 1 | 2 | 25:9 | 19 |
| ბეშიქთაში | 9 | 6 | 1 | 2 | 21:11 | 19 |
| ფენერბაჰჩე | 9 | 6 | 1 | 2 | 17:10 | 19 |
| გაზიანთეფი | 9 | 5 | 3 | 1 | 22:11 | 18 |
| გენჩლერბირ. | 9 | 5 | 1 | 3 | 12:11 | 16 |
| დენიზლი | 9 | 4 | 2 | 3 | 13:13 | 14 |
| ანთალია | 9 | 3 | 4 | 2 | 13:10 | 13 |
| სამსუნი | 9 | 3 | 3 | 3 | 11:12 | 12 |
| ანკარაგიუჯიუ | 9 | 3 | 3 | 3 | 10:14 | 12 |
| ისთანბული | 9 | 3 | 3 | 3 | 9:13 | 12 |
| ადანა | 9 | 2 | 4 | 3 | 15:14 | 10 |
| იოზგათი | 9 | 2 | 3 | 4 | 9:12 | 9 |
| ერზურუმი | 9 | 2 | 2 | 5 | 12:19 | 8 |
| რიზე | 9 | 1 | 4 | 4 | 6:9 | 7 |
| ბურსა | 9 | 1 | 3 | 5 | 7:20 | 6 |
| ქოჯაელი | 9 | 1 | 1 | 7 | 5:16 | 4 |
| იეთფა | 9 | 0 | 3 | 6 | 11:25 | 3 |

# ქუჩის ინტელიგენტი

„არსენალის" ქორორა მცველი, ფრანგი ჟილ გრიმანდი კვლავ დასჯილია — ამჯერად უეფამ სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერა იდაყვებით ხალხის ცემის ოსტატს.

გასულ კვირაში „ლაციო" — „არსენალის" მდუღარე მატჩის ერთ-ერთი კონფლიქტი ესეც იყო: გრიმანდიმ იდაყვით მოიშორა მაისურაზე დაკიდებული ლაციოელი დიეგო სიმეონე და ეს მოშორება არგენტინელს გაზეთქილ მარცხენა წარბად და ექვს ნაკერად დაუჯდა. მსაჯს ეს მომენტი არ დაუნახავს და ფრანგი მინდორზე დარჩა. სამაგიეროდ, გასახდელიდან გამოსვლა გაუჭირდა: სიმეონე და მისი დოსტი ხუან ვერონი მუშტებშეკრულნი ელოდნენ. ჩხუბი, რა თქმა უნდა, არ მოხდა — თამაშის ორგანიზატორებმა სიმეონე დააშოშმინეს და იქაურობას გაარიდეს.

და რა გახდა ეს გრიმანდი? მეთოფე თანამემამულეებისგან იმით გამოირჩევა, რომ არც მსოფლიოს ჩემპიონია და არც ევროპისა. 30 წლისა მოყრილა და „არსენალის" ძირითადში მაინც არ არის მტკიცედ ფეხმოკიდებული. თუმცა, საკმაოდ ხშირად რომ თამაშობს, იქიდანაც ჩანს, რომ წარამარა მისი იდაყვის ქნევისა და გაძევების ამბავი გვესმის.

დიახ, დააბიჯებს ჟილ გრიმანდი ინგლისისა და ევროპის სტადიონებზე და ხალხს მტრად იკიდებს.

მხოლოდ ბოლო სეზონნახევრის ამბებიც კმარა, რომ ვიკითხოთ — რის დამტკიცებას აპირებს მშვიდი ახალგაზრდა კაცი თავისი იდაყვით და წიხლებით?

სიმეონეს ლაშქარს ალბათ სიამოვნებით შეუერთდებიან ლიდსელი ალან სმიტი, რომელსაც ჟილი ქალაქური თავურით გაუმასპინძლდა; „ლივერპულის" ბერიკაცი გარი მაკალისტერი, რომელსაც მარჯვენა ხელზე ახლაც ეტყობა ფრანგის ქაცვების კვალი (გრიმანდიმ ეს ხელი „ჰაიბერის" მიწას ფეხით დაასრისა); ბარსელონელი ხოსეპ გვარდიოლა, ვინც ასევე იცის მისი იდაყვის ძალა და დეპორტივოელი ჯალმინია, ვისაც გრიმანდისთან ძიძგილაობა ბოლოსდაბოლოს გაძევებად დაუჯდა.

იმ კაცისთვის, ვინც მეოთხე სეზონია გუნდშია და ასამდე თამაშიც არ გამოსულა ძირითადში თუ შეცვლაზე, დანაშაულებათა ასეთი სია ნამდვილად შთამბეჭდავია.

რომში მართლაც ცხელი თამაში გამოვიდა. სიმეონეს მთელი მსოფლიო იცნობს, როგორც ვერაგ და ეშმაკ ფეხბურთელს. „ლაციოც" არ არის ის გუნდი, მინდორზე თეთრი ხელთათმანებით რომ დაიარება (თუმცაღა მწვრთნელად სწორუპოვარი ჯენტლმენი და რბილი კაცი ჰყავს), მაგრამ როცა ასეთ გუნდთან თამაშში ისეთ თავზეხელაღებულ და ხისტ მოთამაშეებს, როგორებიც მარტინ კიოუენი და პატრიკ ვიეირა არიან, თავი უჭირავთ, გრიმანდი რატომ უნდა გადაირიოს?

გრიმანდი ყოველთვის გაოცებულია ხოლმე, ეს რა უხერხულობა გამომივიდა, სულაც არ მინდოდა ამ კაცის დაშავებაო. ამჯერადაც ასე იყო — სიმეონე არც კი დამინახავს, ვიღაც მებლაუჭებოდა და ჩამოვიცილეო — თქვა.

ასეა თუ ისე, მეტად საკვირველი სურათი კი იკვეთება: ერთის მხრივ, გადარეული და უხეში ფეხბურთელი, მეორეს მხრივ ძალიან წესიერი და განათლებული კაცი.

იქნებ არავინ იცის, რომ 1997 წელს მშობლიური „მონაკოდან" „არსენალში" გადასული გრიმანდი ლამის ერთადერთია დღევანდელ ევროპულ ფეხბურთში, უნივერსიტეტში რომ უსწავლია და თუმც დიპლომი არ აუღია, დიდად ნასწავლი ვინმეა. პროფესიონალიც დღევანდელი ფეხბურთისთვის მეტად გვიან შეიქნა — 21 წლისა. ის ბევრად მაღალი ინტელექტუალური დონისაა, ვიდრე ზოგადად ფეხბურთელები არიან ხოლმე. მინდორს გარეთ მშვიდი და



ჟილ გრიმანდის შეჩერება ზოგჯერ მსაჯებსაც უჭირთ

მხიარულია, მედიდურობის ნატამალს ვერ უპოვნით.

ისევე როგორც ბევრი სხვა, ჟილ გრიმანდიც მოთამაშედ არსენ ვენგერმა აქცია, რომელიც მაშინ „მონაკოს" წვრთნიდა. ეს არ იყო ფეხბურთელი, რომლის შესახებაც გაზეთები წერენ. ექვსი სეზონის განმავლობაში ხანდახან თუ ჩნდებოდა ძირითად შემადგენლობაში, მაგრამ იაპონიიდან „არსენალში" მისულმა ვენგერმა „მონაკოდან" მანიუ პეტისთან ერთად ისიც წაიყვანა. ეს საკვირველი იყო, თუმცა ფეხბურთელისთვის, რომელმაც კარიერა ძირითადად რეზერვში გაატარა, უკეთესი რა უნდა ყოფილიყო.

პრინციპში, ვენგერმა გახსნა გრიმანდი. ამ სამ სეზონში ის ისეთ მოთამაშედ აქცია, რომელსაც არა მხოლოდ „არსენალისთვის" უპრობლემო დაცვის ცენტრში შეუძლია თამაში, არამედ საყრდენ ნახევარმცველადაც მშვენივრად ირჯება.

წყეულმა იდაყვმა კი მგონი მას უფრო წაუხდინა საქმე, ვიდრე სიმეონეს. როგორც იქნა ძირითადში ფეხმოკიდებული გრიმანდი ჩემპიონთა ლიგაში მეორე ფინალური ჯგუფის მეორე მატჩამდე გამოაკლდება გუნდს. კვლავ რეზერვში ყოფნა კი 30 წლის კაცს უჭირს.

ბედი არ გინდა? ვენგერი ამ დღეებში წყვეტს, ვინ იქნება ვიეირას მუდმივი პარტნიორი ნახევარდაცვაში...

ასეა, როცა ინტელიგენტი გადაირევა და მაგარი ბიჭობის დამტკიცებას ცდილობს.

**ირაკლი გამყრელიძე**

## ფეხბურთის რუბრიკა



ბულგარეთის ჩემპიონატში წარუმატებელი შედეგების გამო „ლოვეჩმა" მწვრთნელი მიჰაი სტოიჩიტა და რუმინელი მეკარე ფლორინ პრუნია გაათავისუფლა. კლუბმა ახალი თავკაცი მალევე მოძებნა — ბულგარელი ფერარიო სპასოვი. „ლოვეჩი" 1997 და 1998 წლებში ქვეყნის ჩემპიონი გახდა, თუმცა წლეულს ერთობ სუსტად თამაშობს და მერვე ადგილზეა. სტოიჩიტას ხელმძღვანელობით გუნდმა ახალ სეზონში სამი მატჩი მოიგო, სამჯერ ფრედ ითამაშა და ამდენჯერვე წააგო. წინა კვირაში ექს-ჩემპიონები აუტსაიდერ „ჩერნო მორესთან" 2:3 დამარცხდნენ.

**რუსულ „ანჟის" სამი მატჩით აუკრძალეს თავის სტადიონზე თამაში. მახაჩყალაში 14 ოქტომბერს „დინამოსთან" შეხვედრის დროს მოხდარი ინციდენტია. ორი დაუდგენელი პიროვნება მსაჯის, იური ჩებოტარიოვის და ოფიციალური დელეგატის ნიკოლაი კოზაკოვის ოთახში შეიჭრა და არბიტრს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. „შევეცადე შემეჩერებინა, მაგრამ მათ ჩემზეც გამოიწიეს" — განაცხადა დელეგატმა. მახაჩყალურ კლუბს ახლა ნეიტრალური სტადიონის ძებნა მოუწევს. აქვე აღვნიშნოთ, რომ „ანჟიმ" წლევანდელ სეზონში მხოლოდ ერთი საშინაო მატჩი უნდა ჩაატაროს — 5 ნოემბერს „ჩერნომორეცს" უმასპინძლებს. „ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია და ფულადი სასჯელი ალბათ უფრო სამართლიანი იქნებოდა" — განაცხადა დაღესტნელთა მწვრთნელმა გაჯი გაჯიევმა. მატჩზე მივლენილი დელეგატი კი პირიქით ფიქრობს — „ანალოგიური ინციდენტისთვის მოლდოვური „კონსტრუქტორული" უეფამ ხუთწლიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა".**

ინგლისური „საუთჰემპტონის" მცველი პატრიკ კოლეტერი საფრანგეთის მეორე დივიზიონის „კანში" ერთკვირიან შემოწმებას გაივლის. „არ არის გამორიცხული, იგი საფრანგეთში დარჩეს" — განაცხადა „საუთჰემპტონის" თავმჯდომარემ. 34 წლის კოლეტერი ინგლისურ კლუბში 1998 წელს 300 ათას გირვანქად ჩაირიცხა, თუმცა ამ სეზონში ძირითადში საერთოდ არ უთამაშია.

**ინდოეთის ფეხბურთის ფედერაციის განცხადებით, 10-დან 25 იანვრამდე ქვეყანა 16 ერის პირველობას უმასპინძლებს. ევროპიდან ამ ტურნირზე იუგოსლავია და ისლანდია ითამაშებენ, სამხრეთ ამერიკიდან — ურუგვაი, ჩილე და კოლუმბია, კონკაკაფის ზონიდან — ტრინიდადი და იამაიკა, აფრიკიდან — სამხრეთ აფრიკა და კამერუნი, აზიიდან — იაპონია, ერაყი, იორდანია, უზბეკეთი, ბაჰრეინი და მასპინძელი ინდოეთი, ხოლო ოკეანეთიდან — ახალი ზელანდია**

ინგლისური „ბრედფორდის" მწვრთნელმა კრის ჰაჩინგსმა შესაძლოა თანამდებობა დაკარგოს, რადგან გუნდი უხეიროდ თამაშობს და პრემიერლიგაში ბოლოსწინა ადგილზეა. „სწრაფი და ეფექტური გამოსავალი უნდა ვეძებოთ" — განაცხადა თავმჯდომარე ჯეფრი რიჩმონდმა, რომლის გუნდსაც განსაკუთრებით შეტევაში უჭირს: 10 ტურში მხოლოდ 4 გოლი გაიტანა. გასულ უქმეებზე ბრედფორდელები შინ „იფსვიჩთან" 0:2 დამარცხდნენ.

**რუმინულმა „რაპიდმა" მწვრთნელად ნაკრების ყოფილი თავკაცი მირჩა რადუციოიუ დანიშნა. მან ანგელ იორდანესკუ შეცვალა, რომელიც არადამაკმაყოფილებელი შედეგების გამო წინა კვირაში გაათავისუფლეს. 38 წლის რადუციოიუ რუმინეთის ეროვნულ გუნდში 14 წელი თამაშობდა და სულ 80 მატჩი ჩაატარა. აღსანიშნავია, რომ იგი ნაკრებში ახლა მწვრთნელის თანაშემწეა. „მირჩა „რაპიდს" სულ მცირე, სეზონის პირველ ნახევარში გაწვრთნის, თუმცა არ გამოვრიცხავთ, მასთან კონტრაქტი გავახანგრძლივოთ. შეთანხმების პირობით იგი ნაკრებშიც გააგრძელებს მუშაობას" — განაცხადა ბუქარესტული კლუბის პრესატაშემ.**

რუსული „ზენიტის" მეკარე რომან ბერეზოვსკი, რომელიც ორი წლის წინ ქვეყნის საუკეთესო გოლკიპერად დაასახელეს, ალბათ კლუბს გამოიცვლის. პეტერბურგელები მასთან კონტრაქტის გახანგრძლივებას არ აპირებენ, ამბობენ, ჩვეულ ფორმაში ვერააო. შეგახსენებთ, რომ სომეხმა მეკარემ „სენტ ეტიენთან" ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა, თუმცა შემდეგ შეთანხმება ჩაიშალა და რუსეთში დაბრუნდა.

**ინგლისურმა „ლესტერმა" ირლანდიური „კორკ სიტის" ფეხბურთელი დემიენ დილანი შეიძინა. სააგენტოების ცნობით, 19 წლის მოთამაშე „ფილბერ სტრიტზე" 50 ათას გირვანქად გადაბარგდა. იგი ამპლუით მცველია, თუმცა არ გამორიცხავენ, რომ მწვრთნელმა პიტერ ტეილორმა ნახევარდაცვაში ათამაშოს და უახლოეს ოფიციალურ მატჩებში შეუშვას მინდორზე.**

ბელარუსი ფორვარდი მიროსლავ რომაშჩენკო მოსკოვის „დინამოდან" „გაზიანთეფში" გადავიდა და თურქულ კლუბთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ახალ გუნდში იგი თავის თანამემამულე მცველ ერიკ იახიმოვიჩს შეუერთდა, რომელმაც „დინამო" წინა თვეში დატოვა.

**ნორვეგიელმა ნახევარმცველმა ოივინდ ლეონარდსენმა ტრავმა მიიღო და დაახლოებით ოთხ კვირას ვერ ითამაშებს. „ტოტენჰემის" ლეგიონერმა „დერბისთან" ბოლო ტურის მატჩში ორი გოლი გაიტანა, თუმცა საფინალო სასტვენამდე 20 წუთით ადრე დაშავდა და შეცვალეს. „ბურთი უნდა მიმეღო, როცა საშინელი ტკივილი ვიგრძენი და თამაში ველარ გავაგრძელე. მოგვიანებით ექიმებმა დაადგინეს, რომ კუნთი დამეხიანდა" — თქვა ლეონარდსენმა.**

## უკრაინა

მე-12 ტური: ცსკა — ტავრია 0:0; სტალი — ვორსკლა 0:1; შახტარი — კარპატი 3:2; მეტალისტი — ზაპოროჟიე 1:1; მარიუპოლი — დნიპრო 0:1; ნივა — მეტალურგი 2:3; კრივბასი — დინამო გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დნიპრო | 12 | 8 | 2 | 2 | 13:8 | 26 |
| შახტარი | 9 | 7 | 1 | 1 | 29:9 | 22 |
| მეტალურგი | 11 | 6 | 3 | 2 | 15:12 | 21 |
| დინამო | 9 | 6 | 2 | 1 | 19:9 | 20 |
| კარპატი | 12 | 6 | 0 | 6 | 21:18 | 18 |
| ტავრია | 11 | 4 | 5 | 2 | 13:10 | 17 |
| მარიუპოლი | 12 | 4 | 4 | 4 | 12:13 | 16 |
| ცსკა | 11 | 3 | 6 | 2 | 11:8 | 15 |
| ზაპოროჟიე | 11 | 4 | 2 | 5 | 13:17 | 14 |
| მეტალისტი | 11 | 3 | 4 | 4 | 10:16 | 13 |
| კრივბასი | 10 | 3 | 2 | 5 | 10:12 | 11 |
| ნივა | 12 | 2 | 3 | 7 | 14:24 | 9 |
| ვორსკლა | 11 | 2 | 1 | 8 | 4:14 | 7 |
| სტალი | 12 | 1 | 1 | 10 | 8:22 | 4 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ვორობეი (შახტარი) | 10 |
| დემეტრაძე (დინამო) | 7 |

თასის მეოთხედფინალის წყვილები: კრივბასი (კრივოი როგი) — შახტარი (დონეცკი); დნიპრო (დნეპროპეტროვსკი) — ლვოვი; ცსკა (კიევი) — სპარტაკი (სუმი); მეტალურგი (დონეცკი) — მეტალურგი (მარიუპოლი)

მატჩები გაიმართება 2 ნოემბერს

## გერმანია

II ბუნდესლიგა. IX ტური

მიონხენგლადბახი 1:2 ალენი

1:0 ასანინი (70), 1:1, 1:2 ფაინბერი (76, 83)

## იტალია

სერია B. VII ტური

ტრევიზო 1:0 სალერნიტანა

1:0 პიცი (19)

სერია C1/b. VIII ტური

პალერმო 5:1 კატანია

## არგენტინა

მე-11 ტური: ბოკა ხუნიორსი — ველეს სარსფილდი 3:1; არგენტინოს ხუნიორსი — რივერ პლეიტი 2:2; ხიმნასია ლა პლატა — ურაკანი 4:3; სან ლორენსო — როსარიო სენტრალი 4:1; ლოს ანდესი — ინდეპენდიენტე 1:2; ჩაკარიტა ხუნიორსი — კოლონი 2:1; უნიონი — ლანუსი 0:0; ტალერესი — ესტუდიანტესი 3:0; რასინგი — ბელგრანო 0:0; ნიუელს ოლდ ბოიზი — ალმაგრო 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოკა ხუნიორსი | 12 | 9 | 3 | 0 | 27:11 | 30 |
| ლა პლატა | 11 | 7 | 3 | 1 | 24:17 | 24 |
| ტალერესი | 11 | 7 | 2 | 2 | 20:11 | 23 |
| რივერ პლეიტი | 11 | 6 | 4 | 1 | 23:11 | 22 |
| სან ლორენსო | 11 | 6 | 1 | 4 | 22:13 | 19 |
| კოლონი | 11 | 5 | 2 | 4 | 16:14 | 17 |
| ესტუდიანტესი | 10 | 4 | 4 | 2 | 12:11 | 16 |
| ველესი | 11 | 4 | 4 | 3 | 12:11 | 16 |
| ურაკანი | 11 | 4 | 3 | 4 | 15:13 | 15 |
| ჩაკარიტა | 11 | 4 | 3 | 4 | 8:10 | 15 |
| უნიონი | 11 | 3 | 4 | 4 | 8:10 | 13 |
| ოლდ ბოიზი | 10 | 3 | 4 | 3 | 12:15 | 13 |
| ბელგრანო | 11 | 1 | 8 | 2 | 15:14 | 11 |
| არგ. ხუნიორსი | 11 | 1 | 8 | 2 | 11:12 | 11 |
| ინდეპენდიენტე | 11 | 2 | 4 | 5 | 9:13 | 10 |
| ლოს ანდესი | 12 | 2 | 3 | 7 | 12:29 | 9 |
| ლანუსი | 11 | 2 | 3 | 6 | 14:17 | 9 |
| როსარიო | 11 | 1 | 4 | 6 | 16:24 | 7 |
| რასინგი | 11 | 0 | 6 | 5 | 5:15 | 6 |
| ალმაგრო | 11 | 0 | 5 | 6 | 5:15 | 5 |

## პოლონეთი

მე-11 ტური: რაძიონკოვი — სტომილი 0:0; გროცლინი — პოლონია 0:0; გურნიკი — პოგონი 1:0; პლოცკი — ამიცა 2:6; ლეგია — შლიონსკი 3:1; ვისლა — რუხი 2:0; ზაგლებე — კატოვიცე 1:0; ვიძევი — ოდრა 4:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვისლა | 11 | 9 | 1 | 1 | 27:6 | 28 |
| პოგონი | 11 | 7 | 2 | 2 | 15:7 | 23 |
| ლეგია | 11 | 6 | 4 | 1 | 14:6 | 22 |
| ამიცა | 11 | 6 | 3 | 2 | 24:14 | 21 |
| პოლონია | 11 | 6 | 3 | 2 | 14:8 | 21 |
| ზაგლებე | 11 | 6 | 1 | 4 | 16:12 | 19 |
| ვიძევი | 11 | 4 | 3 | 4 | 18:19 | 15 |
| ოდრა | 11 | 4 | 2 | 5 | 11:17 | 14 |
| სტომილი | 11 | 4 | 2 | 5 | 10:16 | 14 |
| გროცლინი | 11 | 3 | 3 | 5 | 12:16 | 12 |
| პლოცკი | 11 | 3 | 2 | 6 | 13:19 | 11 |
| კატოვიცე | 11 | 1 | 7 | 3 | 4:7 | 10 |
| შლიონსკი | 11 | 2 | 3 | 6 | 11:18 | 9 |
| რუხი | 11 | 2 | 3 | 6 | 10:18 | 9 |
| გურნიკი | 11 | 2 | 2 | 7 | 10:16 | 8 |
| რაძიონკოვი | 11 | 2 | 1 | 8 | 9:19 | 7 |

## ლიტვა

34-ე ტური: ეკრანასი — ჟალგირისი 1:2; ინკარასი — კაუნასი 1:2; დაინავა — ბანგა 2:0; პოლონია — ნევეჟისი 0:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჟალგირისი | 34 | 24 | 7 | 3 | 102:27 | 79 |
| კაუნასი | 32 | 22 | 8 | 2 | 95:22 | 74 |
| ატლანტასი | 33 | 21 | 3 | 9 | 67:37 | 66 |
| ეკრანასი | 33 | 17 | 7 | 9 | 54:27 | 58 |
| კარედა | 34 | 16 | 9 | 9 | 52:45 | 57 |
| ნევეჟისი | 33 | 11 | 12 | 10 | 31:39 | 45 |
| დაინავა | 34 | 8 | 8 | 18 | 33:64 | 32 |
| პოლონია | 34 | 6 | 6 | 22 | 27:81 | 24 |
| ინკარასი | 34 | 4 | 6 | 24 | 24:87 | 18 |
| ბანგა | 33 | 2 | 6 | 25 | 17:73 | 12 |

## ლატვია

26-ე ტურის მატჩები: მეტალურგსი — სკონტო 1:3; პოლიციასი — ვალმიერა 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სკონტო | 26 | 22 | 3 | 0 | 82:9 | 69 |
| ვენტსპილსი | 26 | 18 | 7 | 1 | 50:17 | 61 |
| მეტალურგსი | 26 | 15 | 6 | 5 | 47:22 | 51 |
| დინაბურგი | 26 | 8 | 5 | 13 | 26:31 | 29 |
| რიგა | 26 | 8 | 4 | 14 | 33:45 | 28 |
| ვალმიერა | 26 | 5 | 9 | 12 | 23:43 | 24 |
| პოლიციასი | 26 | 4 | 4 | 18 | 13:57 | 16 |
| დაუგავა | 26 | 2 | 6 | 18 | 19:69 | 12 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| კოლესნიჩენკო (სკონტო) | 15 |
| ბეზბოროდოვსი (ვენტსპილსი) | 13 |
| მიხოლაპსი (სკონტო) | 12 |

**რიგის** „სკონტო" ზედიზედ მეცხრედ გახდა ლატვიის ჩემპიონი. ამრიგად იგი შოტლანდიურ „სელტიკსა" და „რეინჯერსს", აგრეთვე ნორვეგიულ „რუსენბორგს" გაუტოლდა, რომლებმაც თავიანთ ქვეყნებში ზუსტად ასეთივე შედეგს მიაღწიეს. თუმცა ისიც აღვნიშნოთ, რომ ამ მაჩვენებლით მათ ჯერ თბილისის „დინამო" სჯობია — დედაქალაქური კლუბი ხომ საქართველოს ათგზის ჩემპიონია.

ლატვიაში ეროვნული ჩემპიონატი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აღდგა და 1991 წლიდან მოყოლებული „სკონტოს" გზა ვერავინ გადაუღობა. ისიც გავიხსენოთ, რომ „სკონტოს" საქართველოს ნაკრების თავკაცი რევაზ ძოძუაშვილი წვრთნიდა და რიგაში ახლაც თამაშობს ოთხი ქართველი — ალექსანდრე რეხვიაშვილი, ზურაბ მენთეშაშვილი, დავით ჩალაძე და ლევან კორღალიძე.

ლატვიის პირველობაში სულ რვა გუნდია, ისინი სეზონში ოთხჯერ ხვდებიან ერთმანეთს. ჯერ 26 ტურია ნათამაშევი, მაგრამ „სკონტო" უახლოეს მდევარ „ვენტსპილს" უკვე 8 ქულით უსწრებს და, ცხადია, ველარავინ დაეწევა. რიგელთა ჩემპიონობა ამ უქმეებზე გადაწყდა, როცა მათ სტუმრად „მეტალურგი" დაამარცხეს, მდევარი კი „პოლიციასთან" ფრეს დაჯაბულდა.

# სხვა ნაცვლიშვილი

## ნაკრების კაპიტანი გემის კაპიტანივით წინ იყურება და ჰორიზონტზე იმედის კონცხს ხედავს

უიღბლობა რომ არა, არავინ იცის, სად იქნებოდა დღეს ვახტანგ ნაცვლიშვილი. ეროვნული გუნდის კაპიტანი ბოლო დროს ტრავმებმა გატანჯა და ლამის ორი წელია, კალათბურთი არ უთამაშია, თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო ქართველი კალათბურთელი იძულებითმა დასვენებამ საგრძნობლად დახია უკან, წალმა დატრიალდა ვატოს ბედის ბორბალი და მისი კარიერაც მნიშვნელოვნად შეფერხდა.

ყოველივე ეს ახლა უკვე ავადმოსაგონარი წარსულია, ნაცვლიშვილი გამოჯანმრთელდა და ბოლოს და ბოლოს თამაშიც დაიწყო. დიდი ფიქრის შემდეგ მან გადაწყვიტა, საქართველოში გაეგრძელებინა კარიერა, უცხოურ წინადადებებს აქ დარჩენა ამჯობინა და ახალ სეზონს ბათუმის „ბასკოში“ შეხვდა.

ნაცვლიშვილმა უკვე ექვსი შეხვედრა ჩაატარა „ბასკოს“ შემადგენლობაში და მიუხედავად იმისა, რომ მანამდე ბევრი გაუცდა მაინც ერთ-ერთი საუკეთესო იყო მოედანზე. მაგრამ ეს ვატოსა და მის გულშემატკივრებს დამშვიდების საბაბს არ აძლევს. უსაზღვროა ნაცვლიშვილის ნიჭი და უნარი, გაცილებით მაღალ დონეზე თამაშს იმსახურებს და თუ მოინდომა, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, წინ ვერაფერი დაუდგება. მონდომება კი არ აკლია კაპიტანს, კალათბურთთან იძულებითმა განშორებამ ბევრ რამეზე დააფიქრა ვატო, ახლა სულ სხვაა ნაცვლიშვილი, მოვლენებს სხვაგვარად აფასებს და ერთთავად იმაზე ფიქრობს, ისეთი კალათბურთი ითამაშოს, როგორსაც ქომაგი ელის მისგან. — ჩემს ცხოვრებაში ახალი ეტაპი იწყება, შეცდომის უფლება აღარ მაქვს — გულწრფელად ესაუბრება „სარბიელს“ ვახტანგ ნაცვლიშვილი...



— რაც იყო, იყო, წარსულის გახსენებაც არ მინდა, დრომ ბევრი რამ მასწავლა და ახლა უკვე ვიცი, რა და როგორ ვაკეთო. იმედი მაქვს, ეს პერიოდი ჩემი შემდგომი კარიერის ალმავლობის საწყისი იქნება, 24 წლის ვარ, მიმაჩნია, რომ ჯერ კიდევ წინ მაქვს ყველაფერი და რა შემიძლია, ახლა უნდა დავამტკიცო.

**— ბოლო ორ წელში თქვენ ორი უმძიმესი ტრავმა გადაიტანეთ, როგორ ფიქრობთ, ეს მხოლოდ უიღბლობის ბრალი იყო, თუ სხვა რამისაც?**

— იღბალმაც რომ მიმტყუნა, მაგას ლაპარაკი არ უნდა, თუმც პირველი ტრავმა, რომელიც თურქეთში მივიღე, ვაღიარებ, ჩემი ბრალიც იყო. მაგ შემთხვევაში არაპროფესიონალიზმში ვადანაშაულებ ჩემ თავს. აუზში ცურვისას წინდაუხედავად მოვიქეცი. მეორედ, ისრაელში რომ დავშავდი, ნამდვილად ბედის ირონია იყო, სეზონს კარგი ნავარჯიშევი, მაქსიმალურად მომზადებული შევხვდი, მაგრამ ჩემი გუნდის, „ბნეი ჰერცელიას“ პირველივე ოფიციარულ მატჩში საშინლად დავიზიანე ფეხი. ექიმებმა წინა ჯვარედინი მყესის გაწყვეტა, მუხლის ხრტილის მოტეხილობა და მენისკი დამიდგინეს. სხვათა შორის, ქართველი კალათბურთელებიდან ქარაბაკსა და უსტიაშვილს აქვთ გაკეთებული ზუსტად ჩემნაირი ოპერაცია. სამივემ საზღვარგარეთულ კლუბებში ყოფნისას მივიღეთ ეს ტრავმა, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ იქაური ფიზიკური დატვირთვები აქაურისგან განსხვავდება.

**— ვარჯიშს როდის შეუდექით?**

— ერთხანს ინდივიდუალურად ვემზადებოდი, 20 ივლისს კი „ბასკოსთან“ ერთად დავიწყე ვარჯიში. თავიდან ტრავმირებული ფეხის გამო გარკვეული კომპლექსი მქონდა, მაგრამ ჩემდა გასაკვირად, მალევე გამიქრა. ბათუმელებს ბორჯომში და ურეკში ვახლდი შეკრებაზე, სადაც ფიზიკურ წვრთნას გავდიოდით. ნატკენი ფეხი რაც შემეძლო, დავტვირთე და საერთოდ აღარ შევუწუხებივარ. სხვა წვრილ-წვრილმა ტრავმებმა შემახსენა თავი, რაც, როგორც წესი, დიდი ხნის უთამაშებლობას მოსდევს-ხოლმე. შემდეგ ბურთიან ვარჯიშზე რომ გადავედით, ფსიქოლოგიურად გამიჭირდა, ტრავმის გამიზეზების შიშით ორთაბრძოლებს ვარიდებდი ფეხს. ამას მე ნაკლებად ვგრძნობდი, სხვები მეუბნებოდნენ, ვინც გარედან უყურებდა ჩემს თამაშს. ვფიქრობ, ნელ-ნელა ფსიქოლოგიურადაც მოვემზადები და ჩვეულ ფორმას აღვიდგენ, დროის ფაქტორია, დანავსულ პერიოდს სათამაშო პრაქტიკის შემატებით თუ დავივიწყებ.

**— ნუთუ საქართველოს ჩემპიონატში შეძენილ პრაქტიკას ეყმარებთ, თუ უბრალოდ სხვა არჩევანი არ გქონდათ?**

— სულ სამი ვარიანტი გამომიჩნდა, მაკედონიელთა წინადადება თავიდანვე არ მივიღე, რადგან ხელს არ მაძლევდა. დამრჩა ორი არჩევანი, ან აქ, „ბასკოში“ უნდა დავრჩენილიყავი, ან ისევ ისრაელში უნდა გავმგზავრებულიყავი — „ბნეი ჰერცელიას“ ხელმძღვანელობა არაერთხელ დამიკავშირდა.

**— რატომ არ წახვედით საზღვარგარეთ?**

— არ გავრისკე, რადგან ჩემს შესაძლებლობებში ბოლომდე არ ვიყავი დარწმუნებული. ისრაელში უვარჯიშებელს, სრულიად მოუმზადებელს მიწევდა ჩასვლა, რა გარანტია მქონდა, რომ ამდენი ხნის უთამაშებელი „ბნეი ჰერცელიაში“ არსებულ კონკურენციას გავუძლებდი და გუნდში ადგილს დავიმკვიდრებდი. აქედან გამომდინარე, ჩემს იმიჯს გავუფრთხილდი და ამიტომაც ვამჯობინე საქართველოში დარჩენა.

**— ესე იგი, ეს ნაბიჯი პროფესიული თვალსაზრისით გადადგით.**

— და, ვფიქრობ, სწორი გადაწყვეტილებაც მივიღე. ის, რომ აქ დავრჩი, სულაც არ ნიშნავს, რომ უფრო მაღალ დონეზე თამაშის პრეტენზია აღარ მაქვს. ვიმედოვნებ, როცა მომესურვება, მაშინ წავალ საზღვარგარეთ. ამაში, ალბათ, ჩრდილოურ ლიგაში თამაშიც შემიწყობს ხელს. „ბასკო“, მოგეხსენებათ, საქართველოს ჩემპიონატის გარდა წლეულს ჩრდილოურ ლიგაშიც იასპარეზებს და იქ თუ შესაძლებლობები ბოლომდე წარმოვაჩინე, წინადადებაც მრავლად მექნება.

**— გამოდის, თქვენს აქ დარჩენაში ჩრდილოურმა ლიგამაც დიდი როლი ითამაშა...**

— თავისთავად, ერთ-ერთი მიზეზი ესეც იყო, თუმც ისე ნუ გამიგებთ, რომ მხოლოდ ამიტომ დავრჩი საქართველოში. მინდა, ყველა ეჭვი გავფანტო და გულწრფელად ვთქვა: არანაკლებ მსურს, მესამედ გავხდე ჩემი ქვეყნის ჩემპიონი.

**— ამ სეზონს უეჭველად „ბასკოში“ ჩაამთავრებთ?**

— რა თქმა უნდა, კლუბის ხელმძღვანელობა და მე სწორედ ასე შევთანხმდით. სასწაული უნდა მოხდეს, სხვაგან რომ წავიდე.

**— ქართულ კლუბში სამი წელი არ გითამაშიათ. რა განსხვავებას ხედავთ „ბასკოსა“ და იმ ჩვენებურ გუნდებს შორის, სადაც ადრე გამოდიოდით?**

— არც „კაქტუსში“ და არც „ვითაში“ კალათბურთელებს ისეთი პირობები არ გვქონია, როგორიც ახლა „ბასკოშია“. ვფიქრობ, ბათუმელები მაქსიმუმს აკეთებენ, რაც შესაძლებელია. შესაბამისად, საქმისადმი დამოკიდებულებაც პროფესიული გახდა და ცხადია, მოთხოვნაც მეტია. ჩვენში „ბასკოსავით“ ფინანსურად წელგამართული კიდევ სამი-ოთხი კლუბი რომ არსებობდეს, მერწმუნეთ, გაცილებით მაღალი დონის ჩემპიონატი გვექნებოდა. ყველაფერი მაინც ფულზეა დამოკიდებული, თავის დროზე „კაქტუსში“ ვინმეს ფინანსები რომ დაებანდებინა, დარწმუნებული ვარ, დღეს ქართველებს ევროპაში თითით საჩვენებელი კლუბი გვეყოლებოდა. „კაქტუსს“ ჰქონდა უდიდესი პოტენცია, მაგრამ უსახსრობას შეეწირა. თუნდაც „ვითა“ ავიღოთ, ამ კლუბის სტრუქტურულ ჩამოყალიბებაში შეცდომები რომ არ დაშვებულიყო, დღეს „ვითა“ ასეთ სავალალო დღეში არ იქნებოდა. მაგალითების მოყვანა კიდევ მრავლად შეიძლება, მთავარია, ყოველივე ამისგან სათანადო დასკვნები გავაკეთოთ. აი, „ბასკოს“, ვფიქრობ, დიდი მომავალი აქვს, რადგან აქ სტრუქტურაც მოწესრიგებულია, პირობებიც კარგია და ყველამ თავისი საქმე იცის.

**— ბოლო დროს ჩვენ ჩემპიონატში ლეგიონერები მომრავლდნენ. ამაზე რას იტყვით?**

— ეს, რა თქმა უნდა, მისასალმებელია. ძლიერი კლუბი და მით უმეტეს, ჩემპიონატი წარმოუდგენელია ლეგიონერების გარეშე. თუკი დღეს ევროპაში ვინმე კალათბურთს თამაშობს და წარმატებებს აღწევს, სწორედ ლეგიონერების ხარჯზეა. უცხოელებისგან ბევრი რამის სწავლება შეიძლება, ღირსეული მეტოქედა პარტნიორი რომ გყავს, ერთიორად იმაღლებ დონეს. მთლიანობაში კი ყოველივე ეროვნულ ნაკრებზეც სასიკეთოდ იმოქმედებს, მთელი ყურადღება სწორედ აქეთკენ უნდა იყოს მიმართული. მაგრამ საბოლოო ჯამში ყველაფერს ისევ ფინანსებთან მივყავართ, უცხოელი იქ მხოლოდ ფულისთვის ჩამოდის და არა იმიტომ, რომ ქართული კალათბურთი მძიმე დღეშია და გადაარჩინოს.

**— რაკი თავად ჩამოაგდეთ სიტყვა ნაკრებზე, მოდით, თემა განვავრცოთ და ჩვენი ეროვნული გუნდის სამომავლო პერსპექტივაზეც ვთქვათ. ნაკრების კაპიტნის შეხედულებები ხომ ერთიორად საინტერესოა...**

— ნაკრებს ურთულესი დრო უდგას, ყველაფერი წავაგეთ, ამის უკან აღარაფერია. დღეს უპირველესად იმაზე უნდა ვიფიქროთ, რომ რაც გვქონდა, ის მაინც დავიბრუნოთ, როგორმე საკვალიფიკაციო ეტაპი დავძლიოთ და შესარჩევ ტურნირში მოვხვდეთ. აი, ეს უნდა იყოს როგორც მწვრთნელების, ასევე კალათბურთელების უმთავრესი მიზანი.

პირადად მე ოპტიმისტურად ვარ განწყობილი, მჯერა, საქართველოს ნაკრებს მომავალი აქვს. დაღმასვლა აღმასვლამ უნდა შეცვალოს, მოვიდა დრო, საკალათბურთო ელიტაში ქართულმა კალათბურთმაც დაიმკვიდროს საკუთარი ადგილი. პოტენცია ნამდვილად გვაქვს, ბრწყინვალე თაობა მოდის, ფაჩულია, ცქიტიშვილი, ბოისა, უგრეხელიძე — ეს ბიჭები, მოგეხსენებათ, უცხოურ ქვეყნებში თამაშობენ, მუდმივ კონკურენციაში არიან, ბრძოლაში იწრთობიან და ოსტატდებიან. აგერ მეც გამოვჯანმრთელდი და ყველანაირად მხარში ამოვუდგები ნაკრებს, თავი არასდროს დამიზოგავს. გამორიცხული არაა, სტეფანია ევროპაში წამოვიდეს და, წარმოიდგინეთ, ვოვას სახით რამხელა ძალა დაგვემატება. კიდევ მრავლად არიან გამოცდილი და პერსპექტიული კალათბურთელები, ამ ბირთვს მაღალი მიზნებისთვის ბრძოლაც ძალუძს.

**გიორგი ბიჭიკაშვილი**

## ესპანეთი

II ტური

**კანტაბრია — ხირონა 91:73, რეალი — უნიკახა 81:77, კახა სან ფერნანდო — ფუენლაბრადა 79:81, ხიხონი — კანარიასი 87:69, ხუვენტუდი — ტაუ 86:78, კასერესი — პამესა 70:72, ორენსე — კოსტაბლანკა 73:75, ბარსელონა — ბრეოგანი 92:75, ფორუმი — ესტუდიანტესი 86:99**

ესპანეთში კვლავ გაურკვევლობაა. ჯერ კიდევ არ გაცხადებულა, რომელი ქვეყნიდან ჩამოსულ ლეგიონერს მიენიჭება უცხოელის სტატუსი. არეულობა კი ჩემპიონატის დაწყებამდე ერთი დღით ადრე დაიწყო, როცა ესპანეთის სპორტის საბჭომ არაუცხოელებად მხოლოდ ევროკავშირის წევრი ქვეყნების მოქალაქე კალათბურთელები მიიჩნია. ამ გადაწყვეტილების თანახმად, ესპანეთის ლიგაში მოთამაშე ჩეხები, სლოვენიელები, ლიტველები და თურქები უცხოელებად ითვლებიან. ესპანეთში უცხოელი მოთამაშეების ლიმიტია დაწესებული, ამიტომ ზოგიერთ გუნდს პრობლემები შეექმნა — ამერიკელთა გარდა მათ რიგებში აღნიშნული ოთხი ქვეყნის წარმომადგენლებიც გამოდიან და ისინი ლიმიტის გადაჭარბების საფრთხის წინააღმდეგ დადგნენ. ესპანეთის საკალათბურთო ლიგამ სიტუაცია არ გაამწვავა და ვითარების გარკვევამდე პირველი ტურის სამი მატჩი გადადო. ამ მატჩებში კი ის გუნდები მონაწილეობდნენ, რომლებშიაც ბევრმა უცხოე[illegible]ბმა მოიყარეს თავი — მადრიდის „[illegible]“, „ბარსელონა“ და ვიტორიის „ტა[illegible]“.

პარასკევს ესპანეთის საკალათბურთო ლიგის, ქვეყნის კალათბურთის ფედერაციის და მოთამაშეთა ასოციაციის წარმომადგენლები მოსალაპარაკებლად დასხდნენ, მაგრამ შეთანხმება ვერ მოახერხეს. ახლა ყველაფერი ევროკავშირის ერთ-ერთი კომისიის გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული, რომელიც ამ დღეებში უნდა გამოქვეყნდეს.

მანამდე კი ესპანეთის საკალათბურთო ლიგამ მეორე ტურის სრულად ჩატარება გადაწყვიტა, თან გუნდებს უთხრა, უცხოელთა ლიმიტს ნუ დაარღვევთო. ამით ყველაზე მეტად მადრიდის „რეალმა“ იზარალა, რომელსაც ესპანელი მოთამაშეები დაშვებული ჰყავს, ხოლო ჩეხი სტაროსტა და სლოვენიელი მილიჩი აღნიშნული შეზღუდვის გამო ვერ ათამაშა. სამაგიეროდ მალაგის „უნიკახას“ დაუპირისპირდა ჩეხი ირჟი ზიდეკი, ისიც იმიტომ, რომ იუგოსლავიელმა ალექსანდრ ჯორჯევიჩმა ფეხი იტკინა. „რეალმა“ გაჭირვებით მოიგო, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ განაცხადში სულ რვა კალათბურთელი ჰყავდა.

შედარებით კარგ დღეში იყო „ბარსელონა“, რომელსაც სულ სამი უცხოელი ჰყავს. „ბრეოგანის“ წინააღმდეგ ლიბანელმა რონი საიკლიმ და ლიტველმა შარუნას იასიკევიჩუსმა ითამაშეს, ხოლო მეორე ლიტველს, არტურას კარნიშოვასს მოედანზე არც ელოდნენ — იგი დაშავებულია და მკურნალობს. მოლოდინისამებრ, „ბარსამ“ იოლად გაიმარჯვა.

„ტაუ“ კი ერთ დროს ძლევამოსილ ბადალონის „ხუვენტუდთან“ დამარცხდა. გუნდის მწვრთნელმა ივანოვიჩმა მხოლოდ ორი უცხოელის, ამერიკელი უკანახაზელების ბენეტის და კორჩიანის გამოყვანა შესძლო. ლიტველ ფორვარდებს შტომბერგასს და ტიმინსკასს ასპარეზობის უფლება არ ჰქონდათ, ამიტომ ვიტორიელები წინა ხაზში ორად-ორი მოთამაშის — ვიდალის და ფუარეს (ფრანგია, ესე იგი, ევროკავშირელი და უცხოელად არ ითვლება) იმედად დარჩნენ.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **პამესა** | 2 | 2 | 0 | 157:136 | 4 |
| **უნიკახა** | 2 | 1 | 1 | 182:143 | 3 |
| **კასერესი** | 2 | 1 | 1 | 138:131 | 3 |
| **ორენსე** | 2 | 1 | 1 | 158:159 | 3 |
| **ფორუმი** | 2 | 1 | 1 | 171:174 | 3 |
| **კოსტაბლანკა** | 2 | 1 | 1 | 134:141 | 3 |
| **ხუვენტუდი** | 2 | 1 | 1 | 152:163 | 3 |
| **კანარიასი** | 2 | 1 | 1 | 150:163 | 3 |
| **კანტაბრია** | 2 | 1 | 1 | 153:178 | 3 |
| **ხიხონი** | 1 | 1 | 0 | 87:69 | 2 |
| **ბარსელონა** | 1 | 1 | 0 | 92:75 | 2 |
| **ესტუდიანტესი** | 1 | 1 | 0 | 99:86 | 2 |
| **რეალი** | 1 | 1 | 0 | 81:77 | 2 |
| **ფუენლაბრადა** | 1 | 1 | 0 | 81:79 | 2 |
| **სან ფერნანდო** | 2 | 0 | 2 | 155:162 | 2 |
| **ბრეოგანი** | 2 | 0 | 2 | 159:177 | 2 |
| **ხირონა** | 2 | 0 | 2 | 148:176 | 2 |
| **ტაუ** | 1 | 0 | 1 | 78:86 | 1 |

## სლოვენია

# მომარაგეთ უგრეხელიძე!

V ტური

**ლოკა კავა — ზაგორიე 65:86, პივოვარნა — კრკა 89:91, ოლიმპია — როგლა 118:64, კემოპლასტი — სავინსკი 102:103, ჰელიოსი — ტრიგლავი 91:85**

**კრაშკი ზიდარი 73:95 სლოვანი**

**კრაშკი ზიდარი: მუგოშა (4), სილა (5), ლიკარი (11), დ. პეტროვიჩი (4), ბოლჩიჩი (4), პირცი (2), პეშიჩი (13), ვ. პეტროვიჩი (2), დრობნიაკი (5), მეზგეცი, რაზიჩი (7), შუშიჩი (16)**
**სლოვანი: ნოვაკი (8), ლაკოვიჩი (13), ჟაკელი, გრბეშიჩი (5), უგრეხელიძე (16), კოკალი (5), კოვაჩი (10), პავიჩი (6), ბოისა (13), მარავიჩი (7), ცქიტიშვილი (12)**

**ლიუბლიანის** „სლოვანი" სეჟანის „კრაშკი ზიდათან" მატჩისთვის საგანგებოდ მოემზადა. ჯერ ერთი, სეჟანელები აქამდე დაუმარცხებელნი იყვნენ და ლიუბლიანის „ოლიმპიასა" და ნოვო მესტოს „კრკასთან" ერთად ჩემპიონატს ლიდერობდნენ. მეორეც, „სლოვანს" შარშანდელი ბოლმა აზრჩობდა, მაშინ ერთ-ერთმა აუტსაიდერმა „კრაშკი ზიდარმა" საპრიზო სამეულისთვის მებრძოლ ლიუბლიანელებს მოუგო.

სანამ მატჩს მიმოვიხილავდეთ, აღვნიშნოთ, რომ „სლოვანის" ქართველებს ასე კარგად ჯერ არ უთამაშიათ. განსაკუთრებით დავით უგრეხელიძეს, რომელიც პაველ ჯურკოვიჩის ტრავმის გამო გუნდის ძირითად ცენტრად იქცა. დათომ 20 წუთი დაჰყო მოედანზე და 16 ქულა გააკეთა. ეს სლოვენიის ჩემპიონატში უგრეხელიძის პირადი რეკორდია. ამასთან ერთად, ქართველმა ცენტრმა შვიდი მოხსნა და თითო-თითო ჩაჭრა-დაფარებაც მიითვალა. შესანიშნავ ფორმაშია ვლადიმერ ბოისა, რომელიც ბოლო დროს დაცვასთან ერთად შეტევისთვისაც იცლის. „კრაშკი ზიდართან" ბოისამ 23 წუთი ითამაშა და ამ ხანში 13 ქულა, ხუთი მოხსნა, ორი დაფარება და ერთი ჩაჭრა გააკეთა. თავი გამოიჩინა ნიკა ცქიტიშვილმაც: 12 ქულა, რვა მოხსნა, ორი დაფარება და ერთი ჩაჭრა ჩინებული მაჩვენებელია, თან, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ბოლო მატჩებში ნიკა მთლად კარგად ვერ გამოიყურებოდა.

„სლოვანმა" სასტარტო ხუთეულში ბოისა და უგრეხელიძე დააყენა. ლიუბლიანელების ტაქტიკა ერთი შეხედვით მარტივი იყო — ცენტრის, ანუ უგრეხელიძის პასებით მომარაგება და მეტოქის კალათის ფარქვეშიდან შეტევა. „სლოვანმა" პირველი მეოთხედი 21:18 მოიგო, ხოლო ტაიმის ბოლოს ანგარიში 38:38 იყო. ქართველთა გუნდის მწვრთნელმა ტომო მაჰორიჩმა არჩეულ გზას არ უღალატა და მისმა გადაწყვეტილებამ მესამე მეოთხედში ნაყოფი გამოიღო: უგრეხელიძე უფრო მძლავრად ათამაშდა (სულ მატჩში ათი ორქულიანიდან შვიდი ჩააგდო), ნოვაკმა და ლაკოვიჩმა გარღვევებს მოუხშირეს, ბოისას და ცქიტიშვილს ფარი საიმედოდ გადაეკეტათ („სლოვანმა" 32:15 მოუგო „კრაშკი ზიდარს" მოხსნებში). შემდეგად „სლოვანმა" მეოთხედი 29:13 მოიგო და მატჩის ბედიც გადაწყვიტა. დარჩენილ დროში „კრაშკი ზიდარმა" ღირებული ვერაფერი შექმნა და ამ სეზონში პირველად დამარცხდა.

მეხუთე ტურის მთავარი მატჩი ლაშკოში გაიმართა, სადაც შარშანდელმა მესამე პრიზიორმა „პივოვარნამ" ჩემპიონ „კრკას" უმასპინძლა. თავიდან „პივოვარნა" დაწინაურდა და ტაიმიც 44:40 მოიგო. შესვენების შემდეგ ჩემპიონმა მდგომარეობა გამოასწორა და მესამე მეოთხედის ბოლოს უკვე თავად იყო წინ — 62:58. ძირითადი დრო თითქოს ფრით უნდა დასრულებულიყო, მაგრამ „კრკას" საშა დონჩიჩმა ბოლო წამზე ჩააგდო და თავის გუნდს ზედიზედ მეხუთედ მოაგებინა. კრკაელი ხორვატი ვლადიმირ ანზულოვიჩი ამ მატჩში ყველაზე შედეგიანი იყო 30 ქულით, ხოლო ტურის ბომბარდირი „სავინსკისთან" დამარცხებული „კემოპლასტის" ჩოვიჩი გახდა — 36 ქულა.


VECER
პივოვარნა — კრკა. ბენეტ დევისონი პივოვარნელთა კალათს უტევს

მომდევნო ტურში, შაბათს, „სლოვანი" სწორედ „კემოპლასტს" უმასპინძლებს, ხოლო კვირას სლოვენიის ჩემპიონატს ერთპიროვნული ლიდერი მოევლინება — „ოლიმპია" ნოვო მესტოში „კრკას" ესტუმრება.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპია | 5 | 5 | 0 | 465:318 | 10 |
| კრკა | 5 | 5 | 0 | 464:371 | 10 |
| კრაშკი ზიდარი | 5 | 4 | 1 | 394:399 | 9 |
| პივოვარნა | 5 | 3 | 2 | 434:396 | 8 |
| სლოვანი | 5 | 3 | 2 | 395:380 | 8 |
| ლოკა კავა | 5 | 2 | 3 | 399:427 | 7 |
| ჰელიოსი | 5 | 2 | 3 | 400:442 | 7 |
| ზაგორიე | 5 | 2 | 3 | 395:446 | 7 |
| კემოპლასტი | 5 | 1 | 4 | 433:415 | 6 |
| ტრიგლავი | 5 | 1 | 4 | 396:430 | 6 |
| სავინსკი | 5 | 1 | 4 | 381:454 | 6 |
| როგლა | 5 | 1 | 4 | 372:450 | 6 |

## თურქეთი

II ტური

**ალთაი — ფენერბაჰჩე 77:98, ანტბირლიკი — მაიდენოსი 78:75, ბუიუქ კოლეჯი — ბეშიქთაში 74:77, დარუშაფაკა — ტელეკომი 84:70, ქარშიაქა — ქომბასანი 97:77, ეფესი — გალათასარაი 82:79**

**ულქერი 78:67 ტროი**

**ულქერი: ლოლისი (16), ერდოგანი (6), ჰენდლოგტენი (19), გოლიოვიჩი (5), ერდენაი (9), აჩიკი, გონლუმი (10), ილდირიმი (7), სარიჯა (6)**
**ტროი: საჯაკი (5), თინაი (9), ი. კოჩი (6), ჩზმიჩი (16), ქანანი (2), დალი (14), ვილიამსი (15)**

სტამბოლის „ულქერმა" მეორე მატჩიც მოიგო. ამჯერად შინ და მისი მსხვერპლი „ტროი" გახდა. საქართველოს ნაკრების 16 წლის ფორვარდ-ცენტრი ზაზა ფაჩულია ათკაციან შემადგენლობაში კი იყო, ოღონდ მოედანზე არ გასულა. ულქერელთა შორის კვლავ გამოირჩეოდნენ ამერიკელები — ცენტრმა ბენჯამინ ჰენდლოგტენმა და ფორვარდმა კვადრე ლოლისმა ჯამში თავისიანთა ქულების თითქმის ნახევარი მიითვალეს. ლოლისმა ცხრა მოხსნაც გააკეთა და ამ კომპონენტში ერთით ჩამორჩა „ტროის" უმუთ თინაის. ვერც ახლა ითამაშა სათანადოდ „ულქერის" იუგოსლაველმა, შარშანდელი ევროლიგის საუკეთესო ბომბარდირმა მილან გოლიოვიჩმა: ექვსი ნასროლიდან ერთადერთხელ ჩააგდო (სამქულიანი), რასაც ორი საჯარიმო დაუმატა. „ტროის" კი ლიდერი დამირ მრშიჩი აკლდა.

„ულქერის" მსგავსად ჯერჯერობით დაუმარცხებელია სტამბოლისავე „ფენერბაჰჩე". „ალთაის" წინააღმდეგ ცხრა ფენერბაჰჩელმა ჩააგდო ბურთი, მათგან ყველაზე შედეგიანი კი იუგოსლაველი უკანახაზელი დრაგან ლუკოვსკი იყო — 18 ქულა.

სტამბოლის „დარუშაფაკა" ანკარის „ტელეკომის" დამარცხებას უკრაინელ ცენტრ ალექსანდრ ოკუნსკის უნდა უმადლოდეს. მან 32 ქულა გააკეთა, ფარს არავინ გააკარა და „ტელეკომის" ცენტრი, ამერიკელი ეისი ერლი შვიდ ქულას დააჯერა. ოკუნსკი ამ ტურის საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

ოკუნსკის ერთი ქულით ჩამორჩა ამერიკელი ბად ელი, ხოლო მისმა „ბეშიქთაშმა" ანკარაში ბოლო წამებზე აჯობა „ბუიუქ კოლეჯს". ასევე დასასრულისკენ გაირკვა ტურის უმთავრესი მატჩის ბედი — სტამბოლის „ეფესმა" თანაქალაქელ „გალათასარაის" ხორვატი დამირ მულაომეროვიჩის (20 ქულა) წყალობით მოუგო.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ულქერი | 2 | 2 | 0 | 175:129 | 4 |
| ფენერბაჰჩე | 2 | 2 | 0 | 186:150 | 4 |
| ეფესი | 2 | 2 | 0 | 164:148 | 4 |
| ბეშიქთაში | 2 | 2 | 0 | 162:153 | 4 |
| დარუშაფაკა | 2 | 1 | 1 | 163:155 | 3 |
| ქარშიაქა | 2 | 1 | 1 | 181:173 | 3 |
| ტელეკომი | 2 | 1 | 1 | 166:168 | 3 |
| გალათასარაი | 2 | 1 | 1 | 153:155 | 3 |
| ტროი | 2 | 1 | 1 | 151:154 | 3 |
| ანტბირლიკი | 2 | 1 | 1 | 151:154 | 3 |
| ბუიუქ კოლეჯი | 2 | 0 | 2 | 147:151 | 2 |
| მაიდენოსი | 2 | 0 | 2 | 144:160 | 2 |
| ალთაი | 2 | 0 | 2 | 153:182 | 2 |
| ქომბასანი | 2 | 0 | 2 | 138:184 | 2 |

## იტალია

II ტური

**რიმინი — მონტეკატინი 84:88, ფორტიტუდო — კორდივარი 78:67, მიულერი — რეჯანა 112:89, სიენა — სკავოლინი 74:76, ადეკო — ბენეტონი 66:83, აეროპორტი — სნაიდერო 93:73, იმოლა — კინდერი 66:85, კანტუ — ტრიესტი 74:76, აველინო — ვარეზე 98:79**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| კინდერი | 2 | 2 | 0 | 175:117 | 4 |
| ბენეტონი | 2 | 2 | 0 | 183:137 | 4 |
| სკავოლინი | 2 | 2 | 0 | 173:136 | 4 |
| მიულერი | 2 | 2 | 0 | 202:168 | 4 |
| ფორტიტუდო | 2 | 2 | 0 | 158:129 | 4 |
| მონტეკატინი | 2 | 2 | 0 | 1885170 | 4 |
| აველინო | 2 | 1 | 1 | 194:180 | 3 |
| კორდივარი | 2 | 1 | 1 | 151:139 | 3 |
| რიმინი | 2 | 1 | 1 | 173:174 | 3 |
| ტრიესტი | 2 | 1 | 1 | 155:164 | 3 |
| აეროპორტი | 2 | 1 | 1 | 155:170 | 3 |
| რეჯანა | 2 | 1 | 1 | 190:208 | 3 |
| სნაიდერო | 2 | 0 | 2 | 159:182 | 2 |
| კანტუ | 2 | 0 | 2 | 145:176 | 2 |
| იმოლა | 2 | 0 | 2 | 152:185 | 2 |
| ვარეზე | 2 | 0 | 2 | 141:178 | 2 |
| ადეკო | 2 | 0 | 2 | 127:167 | 2 |
| სიენა | 2 | 0 | 2 | 125:166 | 2 |

## საბერძნეთი

I ტური

**არისი — პანიონიოსი 113:111, ოლიმპიაკოსი — დაფნი 79:65, მილონი — მარუსი 95:101, აეკ — მაკედონიკოსი 89:69, ირაკლისი — ნიარ ისტი 80:74, ირაკლიონი — პანათინაიკოსი 69:92, პერისტერი — პაოკ 77:70**


**იყიდება**

ოროთახიანი ბინა დიდ დიღომში.
მეორე მიკრორაიონი, იოანე პეტრიწის ქუჩა კორპუსი №14*, მეორე სადარბაზო, მესამე სართული.
ტელ: 53-35-14, 10-დან 20 სთ-მდე
იკითხეთ ნადია




## საფრანგეთი

# პარტიზანების დახმარება

II ტური

**შალონი — გრაველინი 87:76, ლე ავრი — ნანსი 64:87, მონპელიე — ევრე 88:99, რასინგი — შოლე 83:73, ვილერბანი — ბურგი 81:55, სტრასბური — ანტიბი 79:82, ბეზანსონი — დიჟონი 66:82, ლე მანი — პო ორტეზი 89:77**

ტურის გმირად შეიძლება „ლე მანი" გამოვაცხადოთ, რომელმაც „პო ორტეზს" აჯობა. საფრანგეთის ნაკრების ახალი მთავარი მწვრთნელის ალენ ვეისის აწ უკვე ყოფილ გუნდს პოელებისთვის მთელი სამი წლის განმავლობაში ვერ ეჯობნა. ამჯერად მთელი თამაში მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა. მათ სამი საწყისი მეოთხედი მოიგეს და მხოლოდ ბოლო დათმეს, ოღონდ ერთი ქულით (16:17).

სტუმართა დამრიგებელმა კლოდ ბერჟომ წაგება იუგოსლავიაში მოგზაურობას და დაღლას დააბრალა. შეგახსენებთ, რომ „პო ორტეზი" ბელგრადის „პარტიზანთან" დამარცხდა სუპეროლიგის პირველ ტურში.

ძალიან იოლად მოიგო ჩემპიონატის შარშანდელმა ფინალისტმა „ვილერბანმა". „მწვანეების" რიგებში საფრანგეთის ნაკრების ბევრი კალათბურთელია, მაგრამ ამ მატჩში მათი უმრავლესობა საკმაოდ პასიურად გამოიყურებოდა. ჯიმ ბილბამ მხოლოდ 4 ქულა და 3 მოხსნა გააკეთა, ლორან სკიარა კი თავისიანებს 4 ქულით შეეწია, ოღონდ ამას თან 7 პასიც დაურთო და მწვრთნელის გულისწყრომას გადაურჩა. თუმცა „ბურგი" ის გუნდი არაა, „ვილერბანი" გაამწაროს და პრო A-ს დებიუტანტმაც მთელი 26 ქულა დათმო.

კიდევ ერთი ახალბედა „ლე ავრი" პირველ საშინაო მატჩს ატარებდა და საკუთარი ქომაგების წინაშე „ნანსისგან" შერცხვა კიდეც. ლოტარინგიელები მთელი შეხვედრის მანძილზე დომინირებდნენ და ლოგიკურადაც მოიგეს, მით უმეტეს, რომ ნორმანდიელები ერთობ არაზუსტად ისროდნენ.

„დიჟონი" და „შალონიც" ზემოჩამოთვლილი მატჩების გამარჯვებულებივით წაუგებელნი არიან. პირველმა „ბეზანსონი" დაჩაგრა, მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელმა მესამე მეოთხედში ძლიერ გაიბრძოლა და კინაღამ შეძლო კიდეც თამაშში გარდატეხის შეტანა. თუმცა დიჟონელთა შვედი გამთამაშებელი ჰაკან ლარსონი იმ დღეს მშვენიერ ფორმაში იყო და თავისიანებს 25 ქულა შესძინა, რამაც გატეხა კიდეც „ბეზანსონი".

არც „შალონს" ჰქონია დიდი პრობლემები „გრაველინის" წინააღმდეგ. თავიდან სტუმრები კი დაწინაურდნენ და პირველი მეოთხედიც მოიგეს (19:16), მაგრამ ბურგუნდიელები მალე გამოფხიზლდნენ და გრაველინელი სტრონგის 29 ქულა არად ჩააგდეს — მაინც გაიმარჯვეს. შალონელთა შორის ყველაზე შედეგიანები ლი და გულიაში იყვნენ. თითოეული მათგანის ანგარიშზე 20 ქულაა.

„ანტიბის" მაკკანტისმა 34 ქულა შესძინა თავის გუნდს, რაც ჯერჯერობით სეზონის რეკორდია. ანტიბელებმაც ძირითადად ამის ხარჯზე იმარჯვეს სტრასბურში და შეხვედრის ბოლო წამებზე მასპინძლებს მეორე მარცხი აგემეს.

**გაიოლ თალაძვაძე**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ნანსი | 2 | 2 | 0 | 185:149 | 4 |
| ვილერბანი | 2 | 2 | 0 | 159:124 | 4 |
| დიჟონი | 2 | 2 | 0 | 147:125 | 4 |
| ლე მანი | 2 | 2 | 0 | 178:157 | 4 |
| შალონი | 2 | 2 | 0 | 168:155 | 4 |
| შოლე | 2 | 1 | 1 | 177:148 | 3 |
| ევრე | 2 | 1 | 1 | 176:166 | 3 |
| რასინგი | 2 | 1 | 1 | 163:162 | 3 |
| პო ორტეზი | 2 | 1 | 1 | 162:161 | 3 |
| ანტიბი | 2 | 1 | 1 | 151:157 | 3 |
| ლე ავრი | 2 | 1 | 1 | 142:164 | 3 |
| სტრასბური | 2 | 0 | 2 | 138:147 | 2 |
| გრაველინი | 2 | 0 | 2 | 161:185 | 2 |
| ბურგი | 2 | 0 | 2 | 138:167 | 2 |
| მონპელიე | 2 | 0 | 2 | 153:203 | 2 |


ვილერბანი — ბურგი. ვილერბანელი ჯო სტივენი ლენზი ჰოუელს გაურბის

სარბიელი

# სპორტული ლატარია "CROCO"

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისი. I დივიზიონი. მე-15 ტური

25 ოქტომბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 009 | ბირმინგემი-ჯილინგემი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 23.45 | 010 | ბლექბერნი-ტრანმერი | 1,55 | 3,2 | 6,0 |
| 23.45 | 011 | ნოტინგემი-ბარნლი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 24.00 | 012 | ქუინზ პარკი-უენსდი | 1,8 | 3,2 | 3,8 |

საფრანგეთი. II დივიზიონი

25 ოქტომბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 037 | მონპელიე-ლორიანი | 1,9 | 2,7 | 4,4 |

ჰოლანდია. II დივიზიონი

25 ოქტომბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 038 | იგლსი-ოსი | 1,5 | 3,4 | 5,6 |

ავსტრია

25 ოქტომბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 039 | ბრეგენცი-აუსტრია | 3,3 | 3,0 | 2,0 |

ნორვეგია. პლეი-ოფი

25 ოქტომბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 041 | სიოგნდალი-ვალერენგა | 3,1 | 3,2 | 1,9 |

ჩემპიონთა ლიგა. მე-5 ტური

25 ოქტომბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 509 | ლევერკუზენი-სპარტაკი | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| 23.45 | 510 | რეალი-სპორტინგი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 23.45 | 511 | არსენალი-სპარტა | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 23.45 | 512 | ლაციო-შახტარი | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 23.45 | 513 | ოლიმპიაკოსი-ვალენსია | 2,1 | 3,0 | 3,0 |
| 23.45 | 514 | ჰერენვენი-ლიონი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 23.45 | 515 | მონაკო-გალათასარაი | 1,8 | 3,1 | 3,8 |
| 23.45 | 516 | შტურმი-რეინჯერსი | 2,6 | 2,9 | 2,5 |

უეფას თასი

26 ოქტომბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 520 | ვისლა-პორტუ | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.30 | 521 | ტიროლი-შტუტგარტი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 20.00 | 522 | ლოკომოტივი-ინტერი (ბრატ.) | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 21.15 | 523 | ლილესტრიომი-ალავესი (ნეიტრ.) | 2,6 | 3,0 | 2,4 |
| 21.30 | 524 | ნანტი-მტკ | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 21.30 | 525 | ჰერტა-ამიცა | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 22.00 | 526 | პარმა-დინამო (ზაგრები) | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 23.00 | 527 | აეკ-ჰერფიოლგე | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 23.00 | 528 | ოფი-სლავია | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 23.15 | 529 | ლოზანა-აიაქსი | 2,6 | 3,0 | 2,4 |
| 23.15 | 530 | ბაზელი-ფეიენოორდი (ნეიტრალურზე) | 2,6 | 3,0 | 2,4 |
| 23.30 | 531 | ჰალმსტადი-მიუნხენ 1860 | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| 23.30 | 532 | ბრიუგე-სენტ გალენი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 23.30 | 533 | ცრვენა ზვეზდა-სელტა | 2,4 | 3,0 | 2,6 |
| 23.45 | 534 | ბორდო-სელტიკი | 1,75 | 3,0 | 4,2 |
| 23.45 | 535 | ინტერი (მილანი)-ვიტესი | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| 00.00 | 536 | რაიო ვალეკანო-ვიბორგი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| 00.00 | 537 | ლივერპული-ლიბერეცი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 00.15 | 538 | ესპანიოლი-გრაცერი | 1,3 | 3,8 | 8,0 |
| 01.30 | 539 | ბოავიშტა-რომა | 3,1 | 3,0 | 2,2 |

უეფას თასი (შემდეგ ეტაპზე გასვლა)

26 ოქტომბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 704 | ვისლა | - 5,0 | პორტუ | - 1,1 |
| 19.30 | 705 | ტიროლი | - 5,0 | შტუტგარტი | - 1,1 |
| 20.00 | 706 | ლოკომოტივი | - 1,1 | ინტერი (ბრატ.) | - 5,0 |
| 21.15 | 707 | ლილესტრიომი | - 6,0 | ალავესი | - 1,05 |
| 21.45 | 708 | ნანტი | - 1,05 | მტკ | - 6,0 |
| 22.00 | 709 | ჰერტა | - 1,05 | ამიცა | - 7,5 |
| 22.00 | 710 | პარმა | - 1,02 | დინამო (ზაგ.) | - 10,0 |
| 23.00 | 711 | აეკ | - 1,2 | ჰერფიოლგე | - 3,1 |
| 23.00 | 712 | ოფი | - 2,0 | სლავია | - 1,4 |
| 23.15 | 713 | ლოზანა | - 3,5 | აიაქსი | - 1,15 |
| 23.15 | 714 | ბაზელი | - 4,0 | ფეიენოორდი | - 1,15 |
| 23.30 | 715 | ჰალმსტადი | - 5,0 | მიუნხენ 1860 | - 1,05 |
| 23.30 | 716 | ბრიუგე | - 1,2 | სენტ გალენი | - 3,5 |
| 23.30 | 717 | ცრვენა ზვ. | - 5,0 | სელტა | - 1,1 |
| 23.45 | 718 | ბორდო | - 1,5 | სელტიკი | - 2,0 |
| 23.45 | 719 | ინტერი (მილ.) | - 1,02 | ვიტესი | - 7,5 |
| 00.00 | 720 | რ.ვალეკანო | - 1,1 | ვიბორგი | - 5,0 |
| 00.00 | 721 | ლივერპული | - 1,02 | ლიბერეცი | - 7,5 |
| 00.15 | 722 | ესპანიოლი | - 1,1 | გრაცერი | - 5,0 |
| 01.30 | 723 | ბოავიშტა | - 7,5 | რომა | - 1,05 |

ჰოკეი

25 ოქტომბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 24.00 | 906 | კოლუმბუსი-სან ხოსე | 2,4 | 4,0 | 1,8 |
| 24.00 | 907 | ბუფალო-კაროლინა | 1,7 | 4,0 | 2,6 |
| 24.00 | 908 | ტორონტო-მინესოტა | 1,3 | 4,0 | 5,0 |
| 24.00 | 909 | პიტსბურგი-ოტავა | 1,9 | 4,0 | 2,3 |
| 24.00 | 910 | ფლორიდა-ნიუ ჯერსი | 2,2 | 4,0 | 2,0 |
| 24.00 | 911 | დეტროიტი-ტამპა ბეი | 1,35 | 4,0 | 4,4 |
| 24.00 | 912 | დალასი-ვანკუვერი | 1,4 | 4,0 | 4,0 |
| 24.00 | 913 | კოლორადო-ნეშვილი | 1,5 | 4,0 | 3,2 |
| 24.00 | 914 | ედმონტონი-ატლანტა | 1,3 | 4,0 | 5,0 |
| 24.00 | 915 | ლოს ანჯელესი-ანაჰაიმი | 1,7 | 4,0 | 2,6 |

26 ოქტომბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 24.00 | 916 | ბოსტონი-ვაშინგტონი | 1,8 | 4,0 | 2,4 |
| 24.00 | 917 | ფილადელფია-რეინჯერსი | 1,7 | 4,0 | 2,6 |
| 24.00 | 918 | სენტ ლუისი-კალგარი | 1,4 | 4,0 | 4,0 |
| 24.00 | 919 | ჩიკაგო-კოლორადო | 2,4 | 4,0 | 1,8 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**


**პარასკევს, 27 ოქტომბერს**

**ბათუმში**

**12 საათიდან კვლავ ამუშავდება «კროკოს» ბიურო**

**მისამართი: მემედ აბაშიძის (ყოფილი სტალინის) №21. ტელ. 7 30 75**

**ქუთაისში მალე კვლავ ამუშავდება კროკოს ბიურო ძველ მისამართზე:**

**პუშკინის №16 (ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში)**

**კროკოს ბიუროთა მისამართები:**

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე;
გლდანი, I სავაჭრო ცენტრი;
ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან);
ნინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)
გურამიშვილის გამზირი, 50 (მეტრო „ღრმაღელესთან")

გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი; სტალინის ქუჩა №30
თელავში — კოსტავას ქუჩა №23.
რუსთავში — შარტავას ქუჩა №7

# მაშ ვიღას ულხინს?

## უჭირთ ფრანგებს და ინგლისელებს, იტალია მთლად წყალს წაუღია



ტულუზი — ოლსტერი. მასპინძელმა ფაბიენ პელუმ ეს-ესაა თავისიანების პირველი ლელო დადო

### ევროპის თასი III ტური

I ჯგუფი

**ბიარიცი (საფრანგეთი) 29**
**ედინბურგი (შოტლანდია) 18**

ბიარიცი: 2ლ — მილერი; 2გ. და 5ს — ბოტიკა
ედინბურგი: 2ლ — მიურეი, ჰაინესი; 1გ. და 2ს — ჰოდჯი

**ნორთჰემპტონი (ინგლისი) 8**
**ლენსტერი (ირლანდია) 14**

ნორთჰემპტონი: 1ლ — უებსტერი; 1ს — დოუსონი
ლენსტერი: 1ლ — ჰიკი; 2ს — დემპსი, ჰეკენუი; 1ა — ომირა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლენსტერი | 3 | 2 | 0 | 1 | 70:46 | 4 |
| ედინბურგი | 3 | 2 | 0 | 1 | 70:72 | 4 |
| ბიარიცი | 3 | 2 | 0 | 1 | 75:83 | 4 |
| ნორთჰემპტონი | 3 | 0 | 0 | 3 | 60:74 | 0 |

II ჯგუფი

**სტად ფრანსე (საფრანგეთი) 40**
**უოსპსი (ინგლისი) 10**

სტად ფრანსე: 5ლ — დომინგესი, ლომბარი, დომინისი (2), კოლაძო; 3გ. და 3ს — დომინგესი
უოსპსი: 1ლ — ლოგანი; 1გ. და 1ს — ლოგანი

**აკილა (იტალია) 6**
**სუონსი (უელსი) 70**

აკილა: 2ს — ოსტი
სუონსი: 9ლ — პეინი, ტეილორი (2), გიბსი, მ. რობინსონი (2), ე. ტომასი, მარტენსი, უელში; 8გ — ე. ტომასი (4), რიისი (4); 3ს — ე. ტომასი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სუონსი | 3 | 3 | 0 | 0 | 142:50 | 6 |
| სტად ფრანსე | 3 | 2 | 0 | 1 | 148:35 | 4 |
| უოსპსი | 3 | 1 | 0 | 2 | 77:104 | 2 |
| აკილა | 3 | 0 | 0 | 3 | 23:201 | 0 |

III ჯგუფი

**ტულუზი (საფრანგეთი) 35**
**ოლსტერი (ირლანდია) 35**

ტულუზი: 4ლ — პელუ, ლაბი, ფილოლი, დებროსი; 3გ. და 3ს — მარფენგი
ოლსტერი: 4ლ — ფრი, ჰოუი, ბელი, ტოპინგი; 3გ. და 3ს — ჰამფრიზი

**სარასენსი (ინგლისი) 23**
**კარდიფი (უელსი) 32**

სარასენსი: 2ლ — სორელი, ბრეკენი; 2გ — კასტენიედი; 3ს — კასტენიედი, მაკრი (2)
კარდიფი: 4ლ — ლუისი, ჰოული, ქვინელი, მალერი; 3გ. და 2ს — ჯენკინსი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კარდიფი | 3 | 2 | 0 | 1 | 81:72 | 4 |
| სარასენსი | 3 | 2 | 0 | 1 | 110:79 | 4 |
| ოლსტერი | 3 | 1 | 1 | 1 | 92:113 | 3 |
| ტულუზი | 3 | 0 | 1 | 2 | 74:93 | 1 |

IV ჯგუფი

**მანსტერი (ირლანდია) 31**
**ბათი (ინგლისი) 9**

მანსტერი 3ლ — ჰორგანი (2), უოლასი; 2გ., 3ს. და 1ა — ოგარა
ბათი: 3ს — პრესტონი

**ნიუპორტი (უელსი) 21**
**კასტრი (საფრანგეთი) 20**

ნიუპორტი: 7ს — ჰოგარტი
კასტრი: 3ლ — ბიბულე, როლესტონი, ლაბრუსი; 1გ. და 1ს — თაუნსენდი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანსტერი | 3 | 3 | 0 | 0 | 89:56 | 6 |
| ნიუპორტი | 3 | 2 | 0 | 1 | 67:63 | 4 |
| ბათი | 3 | 1 | 0 | 2 | 51:72 | 2 |
| კასტრი | 3 | 0 | 0 | 3 | 62:78 | -2 |

„კასტრს“ დაკლებული აქვს 2 ქულა

V ჯგუფი

**ლიანელი (უელსი) 46**
**რომი (იტალია) 0**

ლიანელი: 5ლ — დ. ჯეიმსი (2), ვიატი, ბუკინგემი, მ. ჯონსი; 3გ. და 5ს — ს. ჯონსი

**გლოუსესტერი (ინგლისი) 22**
**კოლომიე (საფრანგეთი) 22**

გლოუსესტერი: 1ლ — საჯარიმო; 1გ. და 5ს — მონკრიფი
კოლომიე: 1ლ — ჯიოლიტი; 1გ., 4ს. და 1ა — მარტიკორენა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გლოუსესტერი | 3 | 2 | 1 | 0 | 101:54 | 5 |
| ლიანელი | 3 | 2 | 0 | 1 | 85:33 | 4 |
| კოლომიე | 3 | 1 | 1 | 1 | 42:46 | 3 |
| რომი | 3 | 0 | 0 | 3 | 17:112 | 0 |

VI ჯგუფი

**პონტიპრიდი (უელსი) 18**
**ლესტერი (ინგლისი) 11**

პონტიპრიდი: 6ს — ჯერვისი
ლესტერი: 1ლ — სტიმპსონი; 2ს — სტიმპსონი

**გლაზგო (შოტლანდია) 24**
**პო (საფრანგეთი) 46**

გლაზგო: 2ლ — ბალოკი, სიმპსონი; 1გ. და 4ს — მაკენზი
პო: 5ლ — კომბი, ტრაი, არიეტა (2), ოკანი, გულიუმე; 5გ. და 2ს — ოკანი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლესტერი | 3 | 2 | 0 | 1 | 87:57 | 4 |
| პო | 3 | 2 | 0 | 1 | 76:76 | 4 |
| პონტიპრიდი | 3 | 2 | 0 | 1 | 67:48 | 4 |
| გლაზგო | 3 | 0 | 0 | 3 | 70:119 | 0 |

**ამ დღეებში** ლონდონში შეკრებილმა ევროპის თასის სადისციპლინო კომისიამ ორი ქულით დააჯარიმა ფრანგული კლუბი „კასტრი“, რომელშიც ორი ქართველი — ლევან ცაბაძე და პავლე ჯიმშელაძე ირიცხება, ამ სანქციის მიზეზი ისაა, რომ „კასტრს“ ახალზელანდიელი სამმეოთხედელი ნორმ ბერიმანი უთამაშებია პირველ ტურში ინგლისში „ბათთან“ 13:25 წაგებულ მატჩში. რა თქმა უნდა, სამხრეთელებს ევროპაში თამაში ნებადართული აქვთ, მაგრამ „კასტრს“ თავისი ლეგიონერი ტურნირის განაცხადში არ შეუყვანია და ამიტომაც მოხვდა.

არადა, 27 წლის ბერიმანის გვარი „კასტრმა“ ევროპის თასის ორგანიზატორებს დანარჩენ 29 მორაგბის ვინაობასთან ერთად დროზე, 26 სექტემბრამდე კი აცნობა, მაგრამ თავად მორაგბემ დალუპა (ცოტა ხმამაღლა კია ნათქვამი) თავისი ახალი კლუბი. მას 29 სექტემბერს ახალი ზელანდიის პროვინციათა ჩემპიონატში მისი აწ უკვე ყოფილი გუნდის „ნორთლენდის“ შემადგენლობაში უთამაშია, რაც ევროპის თასის წესებით აკრძალული ყოფილა და სწორედ ამიტომ მიეწია გაჭირვებულ „კასტრს“ ქვა ალმართში.

ამ უქმეებზე კი ევროპის თასის მესამე ტურის მატჩები გაიმართა. „კასტრი“ პირველი გუნდია, რომელსაც მეოთხედფინალში გასვლის შანსი თეორიულადაც მოესპო. ფრანგებმა უელსურ „ნიუპორტთან“ ვერაფერი გააწყვეს და სამი ლელოს გატანის მიუხედავად, ზედიზედ მესამე მარცხი იწვნიეს. კასტრელთა ორი ლელო ტრავმამოშუშებულმა მორაგბეებმა გაიტანეს — ახალზელანდიელმა კელი რობინსონმა და ტიერი ლაბრუსმა. თუმცა სტუმრები დაცვაში ძალიან ხშირად ჯარიმდებოდნენ და ამით მშვენივრად ისარგებლა მასპინძელთა დამრტყმელმა შონ ჰოვარტმა, რომელმაც შესვენებამდე გატანილ სამ საჯარიმოს მეორე ტაიმში ოთხიც დაამატა და თავისიანებს მოაგებინა. უელსელთა რიგებში ერთ-ერთი საუკეთესო იყო 33 წლის სამხრეთაფრიკელი გარი ტეიჩმანი, რომელმაც „ქურციკების“ შემადგენლობაში 42 ტესტი გამართა და თავისი ქვეყნის ნაკრებს შარშან დაშორდა.

ჯგუფის მეორე შეხვედრაში ირლანდიის „მანსტერმა“ საოცრად იოლად სძლია ინგლისის „ბათს“ და მომდევნო ეტაპზე გასვლა ფაქტობრივად გაინაღდა.

თუ წინა ტური „ანტიფრანგულად“ მოვნათლეთ, რადგან ამ ქვეყნის ექვსი გუნდიდან ხუთი დამარცხდა და მხოლოდ ერთმა იმარჯვა, თავისუფლად შეგვიძლია, მესამე ტურს „ანტიინგლისური“ ვუწოდოთ. „ბათის“ გარდა ევროპის თასის მოსაპოვებლად კიდევ ხუთი ინგლისური კლუბი იბრძვის და მათგან მხოლოდ ერთი („გლოუსესტერი“) გადაურჩა წაგებას. ყველაზე მოულოდნელი აქამდე ბრწყინვალედ მოთამაშე „სარასენსის“ საშინაო მარცხი იყო. უელსის ნაკრების საბაზო გუნდმა — „კარდიფმა“ საქმე პირველივე ტაიმში მოითავა, როცა მასპინძლებს სამი ლელო გაუტანა. ამ ლელოებს მსოფლიოს სანაკრებო ისტორიაში ყველაზე შედეგიანმა მორაგბემ, ნილ ჯენკინსმა სამი გარდასახვა და ორი საჯარიმო დაურთო და ტაიმი სტუმრებმა 27:9 მოიგეს. ინგლისელებმა შესვენების შემდეგ კი გამოიღეს ხელი, მაგრამ ანგარიშში სხვაობის შემცირებაღა შეძლეს.

შინ შერცხვა ტურნირის შარშანდელი გამარჯვებული „ნორთჰემპტონიც“. მან ამჯერად ირლანდიულ „ლენსტერთან“ წააგო და მეოთხედფინალში გასვლის თეორიულ შანსსღა ინარჩუნებს, ისეთს, როგორიც იტალიურ კლუბებსაც აქვთ. ამ ჯგუფში ლიდერი „ედინბურგი“ „ბიარიცმა“ დაჩაგრა და შედეგად სამ გუნდს ერთნაირი ქულები დაუგროვდა. რომელი მათგანი გავა პირველ ადგილზე, ამაზე მსჯელობა ძალიან ნაადრევია.

უჭირთ ფრანგებს, უჭირთ ინგლისელებს, იტალიელები ხომ სულ წყალწაღებულნი არიან. აბა, ვიღას ულხინს? რა თქმა უნდა, კელტებს. ირლანდიელებიც და უელსელებიც მშვენივრად გამოდიან და ქულებსაც ბლომად აგროვებენ. სამი ტურის შედეგების გათვალისწინებით, უელსურმა გუნდებმა შესაძლებელი ქულების 73 პროცენტი დააგროვეს, ირლანდიელებმა — 72. ინგლისელები (47) და ფრანგები (44) შორს არიან, ისევე როგორც შოტლანდიელები (33), თუმცა სქოთების შედეგზე უარყოფითად „გლაზგოს“ უილაჯობა მოქმედებს, თორემ „ედინბურგი“, რომელიც შოტლანდიის მთავარი გუნდია, მშვენივრად იბრძვის. იტალიელებს ჯერ ქულაც არ აუღიათ, მაგრამ ეს მოსალოდნელიც იყო.

ტურის შეხვედრებიდან ყველაზე ლამაზი და დაძაბული, ალბათ, „ტულუზისა“ და „ოლსტერის“ დაპირისპირება იყო. გამარჯვება ფრანგებს ჰაერივით სჭირდებოდათ და მათაც ყველაფერი გაიღეს მის მისაღწევად, მაგრამ ირლანდიური „უტეხი სული“ მაინც ვერ გატეხეს. შეხვედრის დამთავრებამდე ათიოდე წუთით ადრე მასპინძლები 14 ქულით იგებდნენ, მათი ქომაგებიც უკვე ხარობდნენ, მაგრამ სტუმრები დანებებას სულაც არ აპირებდნენ. ჯერ ბელმა გაიტანა ლელო, რომელიც ჰამფრიზმა გარდასახა, მერე კი... იტალიელმა მსაჯმა მატჩის ძირითად დროს ხუთი წუთი დაამატა, რომლის მანძილზეც ირლანდიელებმა მეტოქე საკუთარ საჯარიმოს მიაჯაჭვეს. მათი შემართება ბოლოს და ბოლოს დაფასდა კიდეც და ტოპინგმა მეოთხე ლელო გაუტანა „ტულუზს“, ჰამფრიზმა ეს გარდასახვაც ზუსტად შეასრულა და თავისიანებს მეტად საჭირო ქულა მოუტანა.

მეოთხე ტური მომავალ უქმეებზე გაიმართება, მერე ტესტების დრო დადგება, ევროპის თასის გათამაშება კი იანვარში განახლდება.

**გაიოზ თალაკვაძე**



ბობა კვინიხიძე

# ვერ გამაცივებირებენ!

გზა ჩვენი რაგბიდან რუსთა ჩემპიონობამდე არცთუ იოლი გამოდგა. ამბიციური „ლოკომოტივი 1“-დან კრასნოიარსკის „კრასნი იარში“ გადასულ ბობა კვინიხიძეს და არჩილ კობახიძეს უცხო გარემოსთან შეგუება არ გასჭირვებიათ, მაგრამ დამქანცველი სამუშაოც საკმაო იყო. და მაინც, ჩვენს მორაგბეებს თავი არ შეურცხვენიათ და მალე ციმბირელ გულშემატკივართა სიმპათია დაიმსახურეს. რუსეთის ჩემპიონატის ფინალში ჩვენებურების „კრასნი იარმა“ დაამარცხა თანაქალაქელი „სიბტიაჟმაში“, რომელშიც კიდევ ერთი ქართველი, ექსყოჩელი რატი ურუშაძე ირიცხება. სულ მალე ქართული სამეული სამშობლოში დაბრუნდება და არდადეგებს თბილისში გაატარებს, მანამდე კი ბობა კვინიხიძეს კრასნოიარსკში შევეხმიანეთ.

**— ძნელია რუსეთის ჩემპიონობა?**

— საკმაოდ. ფინალში თანაქალაქელი „სიბტიაჟმაში“ გვერგო, მატჩის დასრულებამდე ათი წუთით ადრე მსაჯმა მოედნიდან გამაძევა, მაგრამ, საბედნიეროდ, გამარჯვება მაინც ჩვენ დაგვრჩა.

**— საქართველოში მალე ჩამოხვალთ?**

— ალბათ ამ დღეებში, მე ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაცია მომცეს, აჩიკოს კი ტვინის შერყევა აქვს. რუსეთის თასზე რამდენიმე შეხვედრა დაგვრჩა ჩასატარებელი, მაგრამ დროს მაინც გამოვძებნით — ერთი სული გვაქვს, თბილისში როდის ჩამოვალთ.

**— ძნელი სეზონის მერე ალბათ დაისვენებ...**

— არავითარ შემთხვევაში. მეც და აჩიკოც „ლოკომოტივი 1“-ს დავეხმარებით პლეი ოფის მატჩებში და იმედი მაქვს, საქართველოს ჩემპიონებიც გავხდებით.

**— უცხო გარემოსთან შეგუება ხომ არ გაგჭირვებია?**

— არა. არანაირი პრობლემა არ შემქმნია. ეგ იყო, სადებიუტო მატჩში წელი წამომტკივდა. ტკივილგამაყუჩებელი წამლები გამიკეთეს და ასეთ დღეში მყოფმა ლელოც გავიტანე, გუნდის ხელმძღვანელობისგან კი მადლობა დავიმსახურე. ისე, აქ ცოტა ზანტ რაგბის თამაშობენ, ჩემი ამპლუის მორაგბეები — ათი ნომრები სულ სხვა სტილს ანიჭებენ უპირატესობას. თუმცა თემურ ბენდიაშვილის ხელში გაზრდილმა მალე ავუღე ალღო ვითარებას და ახლა გუნდში ერთ-ერთ ლიდერად ვითვლები.

**— ქართული და რუსული რაგბის დონე ძალიან განსხვავდება?**

— ჩემი აზრით, საქართველოში უფრო მაღალ დონეზე თამაშობენ, ოღონდ რუსეთში გაცილებით უკეთესი პირობებია, ვიდრე ჩვენში.

**— ხმები დაირხა, თითქოს შენ და კობახიძეს რუსეთის ნაკრებში თამაშს გთავაზობენ...**

— სერიოზულად ჩვენთვის ჯერ არავის მოუმართავს, თუმცა ხუმრობით ხშირად გვაგონებენ ამას. ისე, ხომ გაგიგია, ყველა ხუმრობაში თავისი წილი სიმართლეაო. ვნახოთ, რა იქნება.

**— სერიოზულად რომ დაგელაპარაკონ?**

— არ დავთანხმდებით. ქართველები ვართ და საქართველოს ნაკრებში ვითამაშებთ.

**— თუ არ მიგიწვიეს?**

— რუსეთის ნაკრებში მაინც არ ვითამაშებ.

დამშვიდობებისას ბობამ „ლოკომოტივი 1“-ის ამბები გამოკითხა, მერე ბიჭებთან დამაბარა, მალე ჩამოვალთ, დაგეხმარებით და ჩემპიონებიც გავხდებითო.

**ბაჩო სვანიძე**



# 16 წლის საქართველო მსოფლიოს ჩემპიონია

**ესპანური** ოროპესა დელ მარი ბავშვთა და იუნიორთა მსოფლიოს პირველობების გამართვის საკმაოდ ტრადიციული ადგილია. წლეულსაც ასობით გოგო-ბიჭი შეგროვდა იქ და ცალცალკე, ხუთ ასაკობრივ ჯგუფში პლანეტის უძლიერესთა ვინაობა გაარკვია. 16 წლამდე მოჭადრაკეთა ოლიმპო ორივეგან ქართველებმა დაიპყრეს: ყმაწვილთაგან უძლიერესი იყო ზვიად იზორია, ხოლო გოგონათა შეჯიბრი სოფიკო ხუხაშვილმა მოიგო. შვეიცარიული სისტემით 11 ტურად მიმდინარე ჩემპიონატის ფინიშზე ხუხაშვილს მძიმე ბრძოლა გადახდა და სატურნირო ცხრილში ჩინელ სიუ ჟაოსთან ერთად 8,5 ქულით პირველი ორი ადგილი გაიყო, ხოლო კოეფიციენტებით ჩინელს კიდეც აჯობა. რეიტინგული ქულებით სადღეისოდ ხუხაშვილი ჟაოს რომ 155 ქულით ჩამორჩება, ესეც ცხადია, ბევრს ნიშნავს — ქართველმა რანგთა ტაბელში მასზე ბევრად წინ მდგარ მოჭადრაკეს გადაუსწრო.

იზორიას ამბავი ცალკე სათქმელია, რადგან მან შვეიცარიული სისტემისთვის უიშვიათესი რამ მოიმოქმედა — შეჯიბრი ქულანახევრიანი გარღვევით მოიგო. იზორიას 9,5 ქულა დაუგროვდა, ხოლო მომდევნო პრიზიორებს, დენის კიზმატულინსა (რუსეთი) და მარკ პარაგუას (ფილიპინები) — 8. 11 შესაძლებლიდან 9,5 ქულის გამოწურვა სრულიად საუცხოო შედეგია და ხონელ ყმაწვილს მილოცვა პირველ რიგში ეკუთვნის.

სხვა ასაკობრივ ჯგუფებში ნაკლები წარმატება გვერგო. 14 წლიან გოგონათა ევროპის ვიცე-ჩემპიონი ნანა ძაგნიძე გახდა, ხოლო 18 წლიან ყმაწვილთა ბრინჯაოს ბაადურ ჯობავა დაეუფლა. ძაგნიძემ 9 ქულა დააგროვა, ინდოელმა ჰუმპი კონერუმ იმდენივე და კოეფიციენტებმაც მას გაუღიმა. იმავე მიზეზით ჯობავა მეორეზე ვერ გავიდა. დასანანად ცოტა დააკლდათ პრიზიორობამდე ანა მათნაძესა და სოფო გვეტაძეს, რომლებმაც 18 წლამდე გოგონათა ჯგუფში მე-4-5 ადგილები გაინაწილეს. ხუხაშვილის გვერდით მოთამაშე ლელა ჯავახიშვილი მე-6 ადგილზე გავიდა, 12 წლამდე გოგონებში ბელა ხოტენაშვილი მე-7 იყო. მოკლედ, ჩვენი დელეგაცია სხვადასხვა ჯგუფებში პირველიდან მეშვიდემდე ყველა ადგილით ბრუნდება სამშობლოში.



# ტრინე მთავარ საქმეს შეარჩენდება

**ორმა** შუბის გატყორცნამ, წლის შუაში 69,48 მეტრსა და სიდნეის ოლიმპიადაზე 68,91 მეტრზე, 34 წლის ტრინე ჰატესტადის იმიჯი ძირფესვიანად შეცვალა. 15 წლის მანძილზე ნორვეგიელი ქალბატონი მაგარ შუბოსნად კი ითვლებოდა, ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი და ატლანტის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი იყო, მაგრამ ეს მწვერვალი არ გახლდათ. მძლეოსნობაში მწვერვალი ოლიმპიური ოქრო და მსოფლიოს რეკორდია. და აი, საუკუნის დასკვნითმა წელიწადმა ჰატესტადს რეკორდი და ოქროც მოუტანა. ეს, მოგეხსენებათ, უკვე პიკია. მაშ, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონობა რაღააო, იკითხავთ, ან მარიონ ჯონსი რაღად ცდილობდა ერთბაშად ხუთი ოქროს მოგებასო? ეს ყველაფერი ჰატესტადისთვის ძლიერ გვიანია (ასაკი ზემოთ იხილეთ) და პრინციპში არც არაფერში სჭირდება. იგი ნორვეგიაში უკვე ეროვნული გმირია და თუ გააგრძელებს... „მე მაქსიმუმს მივაღწიე — თქვა ჰატესტადმა გუშინწინ — ამიერიდან ყველაფერი რეგრესისკენ წავა, ამას კი ჯობს, წავიდე“. და ტრინე წავიდა. მან ამის შესახებ გუშინწინვე განაცხადა ოსლოში და ისიც დასძინა, რომ ორი მცირეწლოვანი შვილი ჰყავს და დარჩენილი წლები მათ უნდა მიუძღვნას.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მიხაელ შუმახერი: ახალი საუკუნე და ფერარის ერა


ჩემპიონის თასი

**კვირას** მალაიზიის დიდი პრიზის გათამაშებით დასრულდა ფორმულა 1-ის მორიგი, 51-ე ჩემპიონატი. მარათონულ სეზონში 17 რბოლა ჩატარდა, რაც მაქსიმალური რაოდენობაა და მანამდე მხოლოდ სამჯერ — 1977, 95, 97 წლებში ყოფილა. ყველაზე ცოტა — სულ ექვსი ეტაპი იყო 1950, 55 წლების კალენდარში (ინდიანაპოლისის 500-მილიანი რბოლები ფორმულის ჩათვლაში სიმბოლურად შედიოდა).

წლევანდელ შეჯიბრებაში 23 პილოტი მონაწილეობდა. ოთხ-ოთხი წარმომადგენელი გამოიყვანა ბრიტანეთმა, გერმანიამ და ბრაზილიამ. დებიუტანტიც ოთხია — ინგლისელი ჯენსონ ბატონი (უილიამსი), არგენტინელი გასტონ მაცაკანე (მინარდი), გერმანელი ნიკ ჰაიდფელდი (პროსტი) და ბრაზილიელი ლუჩანო ბურტი (იაგუარი), რომელმაც ერთ რბოლაში შეცვალა დაშავებული ედი ირვინი. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს 20 წლის ბატონის ჩინებული შედეგი — 12 ქულა და საერთო მერვე ადგილი. სულ კი ქულების მოპოვება 16-მა მოახერხა.

ოთხმა მრბოლმა (რუბენს ბარიკელო, რალფ შუმახერი, ჯანკარლო ფიზიკელა, იარნო ტრული) გაიუმჯობესა პირადი მაჩვენებელი. ბარიკელო პირველად გავიდა მეოთხე ადგილზე.

გუნდებიდან აშკარაა BAR-ის პროგრესი. ექსჩემპიონმა ჟაკ ვილნევმა და დებიუტანტმა რიკარდო ზონტამ შარშან ერთი ქულაც ვერ იშოვეს. „სუპერტეკის" უხეირო ძრავის „ჰონდათი" შეცვლამ წლეულს სასიკეთო შედეგი გამოიღო და კანადურ-ბრაზილიურმა ტანდემმა 20 ქულით კონსტრუქტორთა თასზე მეხუთე ადგილი დაიკავა.

სამარცხვინოდ ჩაფლავდა ედი ირვინისა და ჯონი ჰერბერტის „იაგუარი". ყოფილ „სტიუარტს" სახელისა და სპონსორის შეცვლით უარესი დაემართა — შარშანდელ 36 ქულასა და მეოთხე ადგილთან შედარებით ამჟამინდელი ოთხქულიანი მეცხრე ადგილი კატასტროფის ტოლფასია.

საუკუნის ბოლო სეზონის აბსოლუტური ტრიუმფატორი „ფერარი" ზედიზედ მეორედ, საერთოდ კი მეათედ დაეპატრონა კონსტრუქტორთა თასს, რაც სარეკორდო მაჩვენებელია. „უილიამსს" ცხრა ტიტული აქვს, „მაკლარენს" — 8, „ლოტუსს" — 7. კიდევ შვიდი გუნდის აქტივში თითოოროლა წარმატებაა.

მიხაელ შუმახერის გაჩემპიონებით „სკუდერიას" პირად ჩათვლაშიც ათი მოგება გაუხდა და დაწინაურებულ „მაკლარენთან" ჩამორჩენა მინიმუმამდე შეამცირა. „უილიამსსა" და „ლოტუსს" შესაბამისად შვიდი და ექვსი გამარჯვებული ჰყავს.

შუმახერმა და ბარიკელომ წლეულს ათი დიდი პრიზი დაისაკუთრეს, რაც სარეკორდოა „ფერარისთვის". 15-მოგებიანი უმაღლესი მიღწევა კი „მაკლარენის" სუპერპილოტებს ალენ პროსტსა და აირტონ სენას ეკუთვნით და 1988 წელსაა დამყარებული.

ასევე სარეკორდოა „სკუდერიასთვის" წლევანდელი 170 ქულაც. აღსანიშნავია, რომ ამ მაჩვენებლითაც სენა-პროსტის „მაკლარენი" ლიდერობს

| | | |
|---|---|---|
| **მაკლარენი** | **199** | **(1988)** |
| **უილიამსი** | **175** | **(1996)** |
| **ფერარი** | **170** | **(2000)** |
| **უილიამსი** | **168** | **(1993)** |
| **უილიამსი** | **164** | **(1992)** |
| **მაკლარენი** | **156** | **(1998)** |
| **მაკლარენი** | **152** | **(2000)** |
| **მაკლარენი** | **143,5** | **(1984)** |
| **უილიამსი** | **141** | **(1986)** |
| **მაკლარენი** | **141** | **(1989)** |

კარიერაში დაგროვილი ქულებისა და მოგებების რაოდენობით ისევ პროსტია წინ, თუმცა შუმახერის ბრწყინვალე სეზონის შემდეგ მის უზარმაზარ უპირატესობას ორივე ფრონტზე რეალური საფრთხე დაემუქრა.

მიხაელმა ცხრა მოგებითა და 108 ქულით მენსელის 8 წლის წინანდელი მიღწევები გაიმეორა. ერთ ჩემპიონატში რვა-რვა გამარჯვება აქვთ სენას (1988), ჰილს (1996), ჰაკინენს (1998) და თავად შუმის (1994).



აირტონ სენასა და ალენ პროსტის მიღწევები დღესაც ცოცხალია

| | |
|---|---|
| **ყველაზე ახალგაზრდა მსოფლიოს ჩემპიონი** | |
| ემერსონ ფიტიპალდი (ბრაზილია) | |
| 1972 წ. | 25 წლის, 8 თვის |
| **ყველაზე ხნიერი მსოფლიოს ჩემპიონი** | |
| ხუან მანუელ ფანხიო (არგენტინა) | |
| 1957 წ. | 46 წლის, 1 თვის |
| **რბოლის ყველაზე ახალგაზრდა გამარჯვებული** | |
| ბრიუს მაკლარენი (ახალი ზელანდია) | |
| აშშ-ის დიდი პრიზი (1959) | 22 წლის, 3 თვის |
| **რბოლის ყველაზე ხნიერი გამარჯვებული** | |
| ლუიჯი ფაჯიოლი (იტალია) | |
| საფრანგეთის დიდი პრიზი (1951) | 53 წლის, 1 თვის |
| **პოულის ყველაზე ახალგაზრდა მფლობელი** | |
| რუბენს ბარიკელო (ბრაზილია) | |
| ბელგიის დიდი პრიზი (1994) | 22 წლის, 3 თვის |
| **პოულის ყველაზე ხნიერი მფლობელი** | |
| ჯუზეპე ფარინა (იტალია) | |
| არგენტინის დიდი პრიზი (1954) | 47 წლის, 2 თვის |
| **ჩემპიონატის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე** | |
| მაიკ ტაქუელი (ახალი ზელანდია) | |
| კანადის დიდი პრიზი (1980) | 19 წლის, 5 თვის |
| **ჩემპიონატის ყველაზე ხნიერი მონაწილე** | |
| ლუი შირონი (მონაკო) | |
| მონაკოს დიდი პრიზი (1955) | 55 წლის, 9 თვის |

## პირადი

### ყველაზე მეტი რბოლა

| | |
|---|---|
| რიკარდო პატრეზე | 256 |
| გერჰარდ ბერგერი | 210 |
| ანდრეა დე ჩეზარისი | 208 |
| ნელსონ პიკე | 204 |
| ალენ პროსტი | 199 |
| მიკელე ალბორეტო | 194 |
| ნაიჯელ მენსელი | 187 |
| ჟან ალეზი | 184 |
| გრეჰემ ჰილი | 176 |
| ჟაკ ლაფიტი | 176 |

### ყველაზე მეტი უსწრაფესი წრე

| | |
|---|---|
| ალენ პროსტი | 41 |
| მიხაელ შუმახერი | 41 |
| ნაიჯელ მენსელი | 30 |
| ჯიმ კლარკი | 28 |
| ნიკი ლაუდა | 24 |
| ხუან მანუელ ფანხიო | 23 |
| ნელსონ პიკე | 23 |
| მიკა ჰაკინენი | 22 |
| გერჰარდ ბერგერი | 21 |
| აირტონ სენა | 19 |

### ყველაზე მეტი პოული

| | |
|---|---|
| აირტონ სენა | 65 |
| ჯიმ კლარკი | 33 |
| ალენ პროსტი | 33 |
| ნაიჯელ მენსელი | 32 |
| მიხაელ შუმახერი | 32 |
| ხუან მანუელ ფანხიო | 29 |
| მიკა ჰაკინენი | 26 |
| ნიკი ლაუდა | 24 |
| ნელსონ პიკე | 24 |
| დეიმონ ჰილი | 20 |

### ყველაზე მეტი მოგება

| | მოგება | რბოლა |
|---|---|---|
| ალენ პროსტი | 51 | 199 |
| მიხაელ შუმახერი | 44 | 145 |
| აირტონ სენა | 41 | 161 |
| ნაიჯელ მენსელი | 31 | 187 |
| ჯეკი სტიუარტი | 27 | 99 |
| ჯიმ კლარკი | 25 | 72 |
| ნიკი ლაუდა | 25 | 171 |
| ხუან ფანხიო | 24 | 51 |
| ნელსონ პიკე | 23 | 204 |
| დეიმონ ჰილი | 22 | 115 |
| მიკა ჰაკინენი | 18 | 145 |

### ქულები სეზონში

| | | |
|---|---|---|
| ნაიჯელ მენსელი | 108 | (1992) |
| მიხაელ შუმახერი | 108 | (2000) |
| ალენ პროსტი | 105 | (1988) |
| მიხაელ შუმახერი | 102 | (1995) |
| მიკა ჰაკინენი | 100 | (1998) |
| ალენ პროსტი | 99 | (1993) |
| დეიმონ ჰილი | 97 | (1996) |
| აირტონ სენა | 96 | (1991) |
| აირტონ სენა | 94 | (1988) |
| მიხაელ შუმახერი | 92 | (1994) |

### ქულები სულ

| | ქულა | რბოლა |
|---|---|---|
| ალენ პროსტი | 798,5 | 199 |
| მიხაელ შუმახერი | 678 | 145 |
| აირტონ სენა | 614 | 161 |
| ნელსონ პიკე | 485,5 | 204 |
| ნაიჯელ მენსელი | 482 | 187 |
| ნიკი ლაუდა | 420 | 171 |
| გერჰარდ ბერგერი | 385 | 210 |
| მიკა ჰაკინენი | 383 | 145 |
| ჯეკი სტიუარტი | 360 | 99 |
| დეიმონ ჰილი | 360 | 115 |

## გუნდური

### ყველაზე მეტი უსწრაფესი წრე

| | |
|---|---|
| ფერარი | 144 |
| უილიამსი | 110 |
| მაკლარენი | 101 |
| ლოტუსი | 71 |
| ბრებემი | 40 |
| ბენეტონი | 36 |

### ყველაზე მეტი პოული

| | |
|---|---|
| ფერარი | 137 |
| მაკლარენი | 110 |
| ლოტუსი | 107 |
| უილიამსი | 107 |
| ბრებემი | 39 |
| რენო | 31 |
| ბენეტონი | 16 |

### მოგებები ზედიზედ

| | | |
|---|---|---|
| ფერარი | 14 | (1952-53) |
| მაკლარენი | 11 | (1988) |
| ალფა რომეო | 9 | (1950-51) |
| მაკლარენი | 8 | (1984-85) |
| უილიამსი | 7 | (1993) |

### ყველაზე მეტი მოგება

| | მოგება | რბოლა |
|---|---|---|
| ფერარი | 135 | 636 |
| მაკლარენი | 130 | 509 |
| უილიამსი | 103 | 421 |
| ლოტუსი | 79 | 491 |
| ბრებემი | 35 | 394 |
| ბენეტონი | 27 | 300 |
| ტირელი | 23 | 430 |
| BRM | 17 | 197 |
| კუპერი | 16 | 129 |
| რენო | 15 | 123 |



მიხაელ შუმახერი წლევანდელი ფანტასტიკური სეზონის შემდეგ ყველა რეკორდის მოხსნაზე ოცნებობს

# აღმოსავლეთიდან მოდიან

## რუმსასს — ლომბარდია, ზაბელს — მსოფლიოს თასი

**ბოლო** ხანებში ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებმა ველოსპორტში თითქმის ყველაფერი მოიგეს. ჯერ იყო და ოლიმპიადაზე ინდივიდუალური რბოლა რუსი ვიაჩესლავ ეკიმოვის გამარჯვებით დასრულდა, მერე, ერთი კვირის წინ, მსოფლიოს ჩემპიონატზე უკრაინელმა სერგეი გონჩარმა იმარჯვა იმავე დისციპლინაში, ხოლო ჯგუფურ რბოლაში საუკეთესო ლატვიელი რომანს ვაინსტეინსი იყო. გასულ შაბათს კი მსოფლიოს თასის ბოლო ეტაპზე, „ლომბარდიის ტურზე", ლიტველმა რაიმონდას რუმსასმა მიაღწია წარმატებას. რუმსასი პირველი ბალტიისპირელი გახდა, რომელსაც დიდი კლასიკური რბოლებიდან ერთი მაინც მოუგია.



ერიკ ზაბელი მსოფლიოს თასს სიამით უჭვრეტს

ფინიშის ხაზზე რუმსასმა იოლად აჯობა მსოფლიო კლასიფიკაციის პირველ ნომერს, იტალიელ ფრანჩესკო კასაგრანდეს, რომელმაც ბევრი ენერგია დახარჯა დაწინაურებული შვედის, ნიკლას აქსელსონის დასაწევად.

ბერგამოს შემაღლებული ნაწილისკენ მიმავალ გზაზე, ფინიშამდე ხუთი კილომეტრით ადრე კასაგრანდემ ტიტანური შრომა გასწია, რათა აქსელსონთან დაახლოებით 20-წამიანი ჩამორჩენა გაებათილებინა. ტოსკანელის რიტმს შვედის სხვა მდევრებიდან (ბარტოლი, ბელი, რებელინი...) მხოლოდ ლიტველმა გაუძლო და მას აჩრდილივით მიჰყვა დაღმართზეც. ბოლო კილომეტრზე ლიტვურ-იტალიურ დუეტს შვედისგან მხოლოდ ოცდაათი მეტრი აშორებდა და ამ ჩამორჩენის დაძლევაც არ იყო ძნელი, რადგან აქსელსონი 35 კილომეტრის მანძილზე რბოლის სათავეში მარტოობამ ძალიან დაღალა. ბოლო მოსახვევამდე 250 მეტრით ადრე დაწინაურებულებმა სამეული შეადგინეს, სპრინტში კი რუმსასს იტალიელის გადასწრება არ გასჭირვებია. შვედმა რამდენიმე წამი წააგო.

რბოლის შემდეგ კასაგრანდემ რუმსასი აკრიტიკა, აქაოდა ჩემი დახმარება აზრადაც არ მოსვლია და სულ ჩემს ბორბალში იჯდა, რაც არაეთიკურიაო. ეს გამარჯვებულმა უპასუხოდ არ დატოვა და თავის მხრივ იტალიელს გაახსენა, რომ თავად მას რბოლის უმეტესი დროის განმავლობაში მუშაობაზე არც უფიქრია და რუმსასისა და სხვათა ხარჯზე გავიდა ფონს. თუმცა დიდი შეხლა-შემოხლა მაინც არ ამტყდარა, რადგან გაისად რუმსასი და კასაგრანდე ერთ გუნდში („ფასა ბორტოლო") გამოვლენ და ერთმანეთთან ურთიერთობის გაფუჭებას ორივე მოერიდა.

რაიმონდას რუმსასი 28 წლისაა და პროფესიონალი 1996 წელს გახდა. იგი თავიდან ერთ-ერთ მეორეხარისხოვან პოლონურ გუნდში ირიცხებოდა, შარშანდელი ზამთრიდან მოყოლებული კი, როცა ჯანკარლო ფერეტიმ ახალი გუნდი შექმნა, „ფასა ბორტოლოს" ღირსებას იცავს.

შაბათის რბოლა დაახლოებით 40 კმ/სთ საშუალო სიჩქარით წარიმართა. პელოტონი 193-ე კილომეტრზე, სელვინოს აღმართზე დაიშალა, როცა თორმეტიოდე მრბოლმა გადაწყვიტა, სამ ლტოლვილს (კამენზინდი, ტაფი, პერონი) დასწეოდა. მერე, ბერბენოს აღმართზე, აქსელსონი დანარჩენებს გაექცა და ალბათ მოიგებდა კიდეც, კასაგრანდეს რომ არ გამოედო თავი. პელოტონის მთავარმა ნაწილმა რუმსასთან სამ წუთზე მეტი წააგო. აქ იყვნენ საერთო ჩათვლის ლიდერები, ამიტომაც მსოფლიოს თასს აქამდე წინ მყოფი გერმანელი ერიკ ზაბელი დაეუფლა.

„ტელეკომის" წევრი ზაბელი 1970 წლის 7 ივლისს დაიბადა აღმოსავლეთ ბერლინში. მას ჰყავს მეუღლე კორდულა და ვაჟი რიკი, რომლებთან ერთადაც ამჟამად დორტმუნდის მახლობლად მდებარე პატარა ქალაქ უნაში ცხოვრობს. ზაბელი 1993 წლიდან პროფესიონალია და „ტელეკომის" გარდა სხვა გუნდში არ უასპარეზია. მას უამრავი რბოლა მოუგია, რომელთაგან აღსანიშნავია მილანი — სან რემო (1997, 1998, 2000), პარიზი — ტური (1994), ამსტელ გოლდ რეისი (2000), გერმანიის ჩემპიონატი (1998) და ბევრი სხვა. ზაბელი განსაკუთრებით კარგად ავლენს თავის სპრინტერულ თვისებებს „ტურ დე ფრანსზე", სადაც რვა ეტაპი მოიგო და ზედიზედ ხუთჯერ (1996 — 2000) დაისაკუთრა მწვანე მაისურა, ანუ ქულებით ჩათვლაში გახდა პირველი, რაც ფანტასტიკური შედეგია. დაბოლოს, ერიკ ზაბელი მეორე გერმანელია ოლაფ ლუდვიგის (1992) შემდეგ, რომელმაც მსოფლიოს თასი მოიპოვა.

**გაიოზ თალაკვაძე**



რაიმონდას რუმსასი

### მსოფლიოს თასი
### მეათე ეტაპი

**ლომბარდიის ტური, 258 კმ**

1. რაიმონდას რუმსასი (ლიტვა, ფასა ბორტოლო) — 6სთ 18წთ 36წმ
2. ფრანჩესკო კასაგრანდე (იტალია, ვინი კალდიროლა) — იგივე დრო
3. ნიკლას აქსელსონი (შვედეთი, პანარია) — +4წმ
4. ბეატ ზბერგი (შვეიცარია, რაბობანკი) — +9
5. მიკელე ბარტოლი (იტალია, მაპეი) — +9

### საბოლოო ჩათვლა

1. ერიკ ზაბელი (გერმანია, ტელეკომი) — 347 ქულა
2. ანდრეი ჩმილი (ბელგია, ლოტო) — 285
3. ფრანჩესკო კასაგრანდე — 230
4. პაოლო ბეტინი (იტალია, მაპეი) — 217
5. რომანს ვაინსტეინსი (ლატვია, ვინი კალდიროლა) — 204

### მსოფლიოს თასის ათივე ეტაპის გამარჯვებულები

1. მილანი-სან რემო (18 მარტი) — ერიკ ზაბელი (გერმანია, ტელეკომი)
2. ფლანდრიის ტური (2 აპრილი) — ანდრეი ჩმილი (ბელგია, ლოტო)
3. პარიზი-რუბე (9 აპრილი) — იოჰან მუსეუვი (ბელგია, მაპეი)
4. ლიეჟი-ბასტონი-ლიეჟი (16 აპრილი) — პაოლო ბეტინი (იტალია, მაპეი)
5. ამსტელ გოლდ რეისი (22 აპრილი) — ერიკ ზაბელი
6. ჰამბურგის კლასიკი (6 აგვისტო) — გაბრიელე მისალია (იტალია, ლამპრე)
7. სან სებასტიანის კლასიკი (12 აგვისტო) — ერიკ დეკერი (ჰოლანდია, რაბობანკი)
8. ციურიხის ჩემპიონატი (20 აგვისტო) — ლორან დიუფო (შვეიცარია, საეკო)
9. პარიზი-რუბე (8 ოქტომბერი) — ანდრეა ტაფი (იტალია, მაპეი)
10. ლომბარდიის ტური (21 ოქტომბერი) — რაიმონდას რუმსასი (ლიტვა, ფასა ბორტოლო)

# ფესტინას საქმე

## 1998 წლის 8 ივლისს საფრანგეთ-ბელგიის საზღვარზე...

**ორშაბათს** ჩრდილოეთ საფრანგეთის ქალაქ ლილის სასამართლოში ორი წლის გამოძიების შემდეგ როგორც იქნა დაიწყო პროცესი, რომელიც „ფესტინას საქმის" სახელითაა ცნობილი. ორი კვირის განმავლობაში უამრავი მოწმე და ათი ბრალდებული დაიკითხება, განაჩენს კი დოპინგით დაავადებულ ველოსპორტს გამოუტანენ. ამ ორი კვირის მანძილზე ჩვენ სასამართლო პროცესის შესახებ პერიოდულად მოგითხრობთ, ახლა კი ისტორიას ჩავუღრმავდებით და „ფესტინას საქმის" განვითარებას ქრონოლოგიურად გაგაცნობთ. საქმეს, რომელიც უკვე 11 ტომისგან შედგება. მაშ ასე:

08.07.98 — დილაუთენია საფრანგეთ-ბელგიის საზღვარზე, ნევილ-ან-ფერენში, „ფესტინას" მასაჟისტი ვილი ვოე ფრანგმა მებაჟეებმა დააკავეს. მას ავტომობილში 400 ფლაკონზე მეტი დოპინგი აღმოაჩნდა. მასტიმულირებელი აკრძალული ნივთიერებების აბებს ხომ თვლა არ ჰქონდა. „ტურ დე ფრანსის" დუბლინში დანიშნულ სტარტამდე სამი დღე რჩებოდა.

10.07.98 — აღიძრა საქმე აკრძალული ნივთიერებების კონტრაბანდისა და უკანონოდ შენახვის გამო. ვოე ქალაქ ლოოსში დაკითხეს და ორი კვირით წინასწარ პატიმრობაშიც ამყოფეს.

17.07.98 — ორი დღით ადრე დაჭერილმა „ფესტინას" ექიმებმა ბრუნო რუსელმა და ერიკ რიიკაერტმა შესაბამისად თერთმეტდღიანი და სამთვიანი პატიმრობა მიიღეს. ლილში დაკითხულმა რუსელმა აღიარა, რომ „ფესტინაში" საექიმო მეთვალყურეობით მრბოლებს დოპინგი ეძლეოდათ. „ტურ დე ფრანსის" დირექტორმა, ჟან-მარი ლებლანმა „ფესტინა" შეჯიბრებიდან მოკვეთა.

23.07.98 — ცხრა ფესტინელი მრბოლი ლიონში დააკავეს და სამედიცინო შემოწმება ჩაუტარეს. მხოლოდ რიშარ ვირანკმა და პასკალ ერვემ არ აღიარეს დოპინგის მიღება.

24.07.98 — „ტურის" ეტაპის სტარტი შეყოვნდა მრბოლთა გაფიცვის გამო. ლილში ვოე, რუსელი და რიიკაერტი პირველად დააპირისპირეს ერთმანეთთან.

29.07.98 — „ტურის" ეტაპი გაუქმდა, რაც მრბოლთა აღშფოთებამ გამოიწვია — სამართალდამცავებმა გუნდების საცხოვრებელი ოთახები გაჩხრიკეს. „კაზინოს" იტალიელ წევრ როდოლფო მასის კორტიკოიდები აღმოუჩინეს.

31.07.98 — ესპანური „ონსეს" ექიმი ნიკოლას ტერადოსის და მასის წინააღმდეგაც აღიძრა საქმე, მათ 1989 წლის ანტიდოპინგური კანონის დარღვევა დაბრალდათ.

13.08.98 — დაკითხეს ბელგიელი ცოლ-ქმარი პარანიები, რომლებიც ვოეს მომარაგებაში ეჭვმიტანილნი იყვნენ.

18.09.98 — „ფრანსეზის" მასაჟისტი ჯეფ დონტიც დაიკითხა და 11 დღით თავისუფლება აღეკვეთა.

23.09.98 — ერთ-ერთი ფრანგული გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში ვოემ ვირანკი სიცრუეში დაადანაშაულა. მისი თქმით, ფრანგი მრბოლიც ლებულობდა დოპინგს და ამას თავისი ნებით აკეთებდა.



REUTERS

პოლიციამ „ფესტინა" მაგიდაზე დაწყობილი აი, ამ ფაქტებით გამოიჭირა

15.10.98 — ლილში ვოე, ვირანკი და რიიკარტი დაუპირისპირეს ერთმანეთს. მრბოლი უწინდებურად უარყოფდა აკრძალული პრეპარატების გამოყენებას და თავს დამნაშავეს კი არა, მსხვერპლს უწოდებდა.

30.11.98 — 23 ივლისს ჩატარებულმა ანალიზმა დაამტკიცა, რომ ცხრიდან რვა ფესტინელი, მათ შორის ვირანკი და ერვეც, დოპინგით სარგებლობდა. მათ ორგანიზმში ეპო აღმოაჩნდათ, ოთხს კი ამფიტამინებიც.

26.01.99 — ამ დროისთვის „ფესტინასთან" დაკავშირებული თითქმის ყველა პიროვნება დაიკითხა.

26.03.99 — რიშარ ვირანკს აკრძალული ნივთიერებების გავრცელებაში, შენახვასა და გადატანაში თანამონაწილეობის ბრალდება წაუყენა ლილელმა პროკურორმა კეილმა. მრბოლი პროკურორს სამი კვირის შემდეგღა ეწვია და ყველა ბრალდება უარყო.

01.04.99 — დაიკითხა ჟან-მარი ლებლანი, რომელიც ლილის პროკურატურაში ჟანდარმების ესკორტმა შეაცილა. სამი დღის შემდეგ „ტურის" ვიცე-პრეზიდენტ როჟე ლეჟეისა და საფრანგეთის ველოსპორტის ფედერაციის პრეზიდენტ დანიელ ბაალს 1989 წლის ანტიდოპინგური კანონის დარღვევა დააბრალეს და მათ წინააღმდეგაც საქმე აღიძვრებოდა, მაგრამ სამხილები საკმარისი არ აღმოჩნდა.

23.10.00 — დაიწყო „ფესტინას" საქმის" სასამართლო პროცესი...

გაგრძელება იქნება.

**გაგი გურული**



# რუამ აურია

**საქმეებიც** ისეთი უნდა, კოლორადოელი პატრიკ რუა რომ სჩადის. ჯერ იყო და, ნჰლ-ის ახალი რეკორდის მომლოდინეთ დიდხანს არ აცდევინა, ლეგენდარულ ტერი სავჩუკს გაუსწრო და გახდა მეკარე, რომელსაც ლიგის ისტორიაში ყველაზე მეტი მოგება აქვს. თან, ძველი მიღწევა სულ ექვს შეხვედრაში დაამხო (შეგახსენებთ, 4 გამარჯვებაღა სჭირდებოდა), რისთვისაც სათანადო პატივი მიაგეს და უქმეებზე დენვერში საპატიო ცერემონიალიც მიუძღვნეს.

და აი, ასეთ პატივ-ხეირში მყოფმა... ცუდისთვისაც მოიცალა. შაბათს შინ მისულმა ცოტა გადაჰკრა, ნასვამი ცოლს აუხირდა და საწოლი ოთახის კარი ანჯამებიდან ჩამოგლიჯა. იქნებ გაიკვირვოთ, მერე რა მოხდა, ასეთი რამ ვის არ მოსვლიაო, მაგრამ რუა ხომ იმ ქვეყანაში ცხოვრობს, სადაც კანონი კანონობს და მისი დაცვა ყოველ მოქალაქეს თავის მოვალეობად მიაჩნია, ჰოდა, ერთ კეთილმოსურნე მეზობელსაც დაუყოვნებლივ პოლიციისთვის შეუტყობინებია მომხდარი აყალმაყალის შესახებ.

მეორე დღეს, დილით, რუა ციხეში აღმოჩნდა, საიდანაც მხოლოდ მას შემდეგ გაათავისუფლეს, რაც გირაო — 750 დოლარი გადაიხადა. ორშაბათს კი ეს საქმე სასამართლომ გაარჩია და დაადგინა, რომ გამოძიება 7 ნოემბრამდე გასტანს. ეტყობა, რუა ფულადი ჯარიმით დაისჯება. ჩვენ კი დავძენთ, რომ ასეთი შემთხვევა მისთვის პირველი არ არის — სამი წლის წინ მეგობართან ერთად ერთ-ერთ სასტუმროში დებოში მოაწყო.

23 ოქტომბერი

**ანაჰაიმი — ლოს ანჯელესი 4:5**

**2:3 0:1 2:0 0:1**

1:0 მაკინისი 3'21 (4); 1:1 რ. ბლეიკი 6'21 (3); 1:2 შტუმპელი 8'37 (1); 2:2 მაკინისი 11'30 (5); 2:3 კ. მიურეი 18'02 (3); 2:4 ვლასაკი 29'19 (1); 3:4 ლეკლერკი 29'26 (4); 4:4 მაკინისი 56'40 (6); 4:5 პალფი 61'04 (8)

### სატურნირო ვითარება

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ჩრდილო აღმოსავლეთი** | | | | | | | |
| ოტავა | 7 | 4 | 3 | 0 | 0 | 29:16 | 11 |
| მონრეალი | 8 | 4 | 1 | 0 | 3 | 27:27 | 9 |
| ტორონტო | 7 | 4 | 0 | 0 | 3 | 14:16 | 8 |
| ბოსტონი | 8 | 3 | 1 | 0 | 4 | 21:28 | 7 |
| ბუფალო | 7 | 2 | 1 | 1 | 3 | 20:23 | 6 |
| **ატლანტა** | | | | | | | |
| პიტსბურგი | 7 | 4 | 1 | 0 | 2 | 25:20 | 9 |
| ნიუ ჯერსი | 6 | 3 | 1 | 0 | 2 | 25:19 | 7 |
| რეინჯერსი | 6 | 3 | 0 | 0 | 3 | 20:20 | 6 |
| აილენდერსი | 6 | 1 | 2 | 0 | 3 | 17:19 | 4 |
| ფილადელფია | 8 | 1 | 2 | 0 | 5 | 21:34 | 4 |
| **სამხრეთ აღმოსავლეთი** | | | | | | | |
| კაროლინა | 6 | 2 | 2 | 0 | 2 | 16:16 | 6 |
| ვაშინგტონი | 8 | 1 | 3 | 1 | 3 | 20:26 | 6 |
| ტამპა | 7 | 2 | 1 | 0 | 4 | 25:28 | 5 |
| ფლორიდა | 6 | 0 | 2 | 2 | 2 | 9:17 | 4 |
| ატლანტა | 6 | 0 | 3 | 0 | 3 | 18:24 | 3 |
| **ცენტრი** | | | | | | | |
| სენტ ლუისი | 8 | 5 | 1 | 0 | 2 | 25:13 | 11 |
| დეტროიტი | 9 | 5 | 0 | 1 | 3 | 24:21 | 11 |
| ნეშვილი | 7 | 4 | 1 | 0 | 2 | 15:13 | 9 |
| ჩიკაგო | 8 | 2 | 0 | 1 | 5 | 16:27 | 5 |
| კოლუმბუსი | 8 | 1 | 0 | 1 | 6 | 13:31 | 3 |
| **ჩრდილო დასავლეთი** | | | | | | | |
| კოლორადო | 8 | 6 | 2 | 0 | 0 | 28:12 | 14 |
| ედმონტონი | 9 | 5 | 2 | 0 | 2 | 27:23 | 12 |
| ვანკუვერი | 8 | 5 | 0 | 1 | 2 | 29:24 | 11 |
| კალგარი | 8 | 3 | 0 | 0 | 5 | 17:20 | 6 |
| მინესოტა | 8 | 1 | 2 | 0 | 5 | 15:25 | 4 |
| **წყნარი ოკეანე** | | | | | | | |
| ფინიქსი | 8 | 6 | 1 | 0 | 1 | 29:18 | 13 |
| დალასი | 9 | 6 | 1 | 0 | 2 | 26:17 | 13 |
| ანაჰაიმი | 9 | 4 | 1 | 2 | 2 | 26:31 | 11 |
| ლოს ანჯელესი | 10 | 4 | 2 | 0 | 4 | 38:33 | 10 |
| სან ხოსე | 6 | 4 | 0 | 0 | 2 | 17:13 | 8 |

**ბომბარდირები:** *პალფი (ლოს ანჯელესი) 15 (8+7); ოდეტი (ატლანტა), რენიკი (ფინიქსი) და გერინი (ედმონტონი) 13 (3+10); ფორსბერგი (კოლორადო) 12 (7+5); რობიტაილი (ლოს ანჯელესი) 12 (6+6); უეიტი (ედმონტონი) და იაშინი (ოტავა) 11 (3+8)*

# მოდა და ჯენიფერ პორმშვენიერი



REUTERS ნიუ იორკიდან

ჯენიფერ ლოპესს თურმე ბეისბოლი ნაყვარება. ეს ამბავი, „როიტერსმა“ ნიუ იორკიდან მშვენიერი ფოტოთი შეგვატყობინა. იგი ვინმე გერი ჰერშორენმა ნიუ იორკული დერბის დროს გადაიღო. ერთმანეთს „იანკიზი“ და „მეთსი“ ხვდებოდნენ, ფოტოს სიღრმეში კი ერთი კაი რეპერი ზის, თინეიჯერებს გამოცნობისკენ მოვუწოდებთ. ახლა მთავარზე — მოდის სამყაროში ცვლილებებს უნდა ველოდეთ. გაზაფხული — შემოდგომის სეზონისთვის კუტურიეთა ყურადღებას ბეისბოლის ფორმათა ნაზავი მიიქცევს. ქვემოთ ფოტოზე მარცხნივ მსახიობი კუბა გუდინგ უმცროსი თავის ცალ ნახევარზე იმავე „ნიუ იორკ იანკიზის“ ფორმით შემოსილა და მეორეზე კიდევ — „მეთსისათი“. რაც შეეხება ფოტოს მარჯვენა ნაწილს (იფ!), იქ სუპერმოდელი ჯიზელ ბანდჩენი ჩანს, რომელსაც ნოვაცია რატომღაც სიცილად არ ჰყოფნის.



REUTERS ნიუ იორკიდან

# პარარეკორდი



REUTERS სიდნეიდან

მწვანე კონტინენტზე რიგით მეთერთმეტე პარაოლიმპიადა მიმდინარეობს, უკვე ტრადიციულად ქცეულ ინვალიდთა თამაშებს თავისი ჩემპიონები და რეკორდსმენები ჰყავს, აი, თუნდაც ეს ქალბატონი. იგი გმირია, ისევე როგორც ასობით მისი ბედის თანაზიარი, სიდნეიში მოსახვედრად ძალები რომ გამონახეს. ქალბატონის სახელი ში კოუერტია. მან გუშინწინ სასწაული საქმე ქნა, რიცა 200-მეტრიანი დისტანციის მსოფლიო[illegible]რარეკორდი მთელი 3 [illegible] წამით შეამოკლა და 28,52 გახადა.

...და ეს ყველაფერი [illegible]კვეთილი ფეხებით. გმირია, მაშ რა არის!

# ქაოსი იტალიურად

შაბათ — კვირას საფეხბურთო იტალია უჩვეულოდ გადაირია (იხილეთ გუშინდელი „სარბიელი), ყოფილა ცხვირ-პირის მტვრევა, იერიშები პოლიციაზე, ამის კონტრიერიში ცრემლსადენი გაზით და ცოცხალი იტალიური გინება. ნეაპოლში სკამებს უფრენია, ხოლო ტურინში, სერია B-ს თამაშზე თვითნაკეთი ბომბის აფეთქებით ცალ ყურში დაყრუებულა 20 წლის ფანი, ოსკარ პელაძა. საწყალი აქვს ყველაფერს...



REUTERS ტრიმოლიდან

REUTERS ნეაპოლიდან

# თვალები

ნახატი არ არის, ფოტოა, მაგრამ მზერაში ჩაქსოვილ ამგვარ ნაღველს დიდი ფერმწერებიც ძნელად თუ დახატავდნენ. ირანელი ბიჭის თვალნაღვლიანობის მიზეზი აზიის თასიდან მისი ქვეყნის გამოვარდნა გახლავთ, დგას გისოსებთან თავისუფლებამოწყურებული პატიმარივით და ფიქრობს: რა ცუდია ცხოვრება! ირანმა მეოთხედფინალის დამატებით დროში სამხრეთ კორეასთან 1:2 წააგო.



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ზურაბ მეძველია
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ვახტანგ ბზიკაძე, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის რედაქცია გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge